ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა






№ 117 (12 492) 20 მაისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**ოთხი მეკარე ნაკრებში. უკვე ნადირაშვილიც**

სანაკრებო ამბები 2

**ტიტანური ფეხბურთის დასასრული**

ისევ ოლივერ კანზე 9

## ცხვირის გატეხვა გერჩიენოს!



**1:1**

**ენერჯიმ ენერგიულად გაათანაბრა**

11

## გადაწყვეტილია: ნაკრებს სეგრტი დამოძღვრავს



## ფინკემ, მაცალეთო

3



**მანჩინი: ინტერიდან ჩელსიში?**



**რონალდინიოსთვის გზა ხსნილია**



**ეტოოს ტოტენჰემში უხმობენ**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XXVI ტური. წინათქმა

# წყნარად, მშვიდად და... უინტრიგოდ



ჩემპიონიც გარკვეულია და ლიგიდან გავარდნილიც

დღეს საქართველოს XIX ჩემპიონატი მთავრდება; მთავრდება ავად თუ კარგად, მაგრამ... უინტრიგოდ! ჰო, ეგრეა - წლიდან წლამდე ჩემპიონატის დონე უკან და უკან მიდის და ერთადერთი, ინტრიგას „შევხაროდით". ახლა კი ისეთი სიტუაცია შეიქმნა ბოლო ტურის წინ, რომ ფაქტობრივად, შვიდივე მატჩი უმოტივაციოა. დავკონკრეტდეთ და ვთქვათ, რომ გარკვეულია ჩემპიონიც, მეორე პრიზიორიც და მესამეც; ასევე ცნობილია, რომ მომავალ სეზონს რანგით დაბალ ლიგაში შეხვდებიან „მერანი", „ბათუმი" და „დილა". ერთადერთი ღია საკითხი პლეი ოფში გამსვლელი გუნდის ვინაობაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ნათელია: ქართული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანებით გაძლიერებული „ლოკომოტივი" უპრობლემოდ დაამარცხებს დაუძლურებულ „ბათუმს". სამწუხაროდ, „ბათუმმაც" გააგრძელა ქართული ფეხბურთისთვის დამღუპველი ტენდენცია და ქუთაისის „ტორპედოს", ლანჩხუთის „გურიას", ფოთის „კოლხეთისა" და „სამტრედიას" ბედი გაიზიარა. ისე, ძალიან ნუ ავჩქარდებით: გავა ორი თვე და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პირველ ლიგაში დაქვეითებული გუნდი ისევ უმაღლესში დაბრუნდება; ანდა, პირიქით - პირველიდან უმაღლესში აღზევებულ გუნდს ფინანსები არ აღმოაჩნდება და დიდი წვალებითა და ოფლისღვრით მოპოვებულ ადგილს სხვას დაუთმობს. თანაც, ამ ადგილს „კარგ ფასშიც" გაჰყიდის, აბა, მეზობლურად თუ მეგობრულად ხომ არ დაუთმობს?!

ამასთან, ნუ დაგვავიწყდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, ლიცენზირება რომ ჰქვია. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ამ საკითხში შესაშურ პრინციპულობას იცავს. მართლებიც არიან: სტადიონი თუ კეთილმოუწყობელია, მოედნის საფარი თუ არ ვარგა, ჟურნალისტებისთვის ელემენტარული პირობები თუ არ არის, მაშინ ასეთ კლუბს უმაღლესში არაფერი ესაქმება. ლიცენზირებასთან კავშირშია, ცოტა არ იყოს, ის კომიკური სიტუაციაც, ბოლო ტურის წინ რომ არის შექმნილი. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ დღემდე უცნობია იმ გუნდის ვინაობა, საქართველოს ღირსებას ინტერტოტოს თასზე რომ დაიცავს.

ევროპის საკლუბო ტურნირებიდან ყველაზე ახალმა და ყველაზე ნაკლებპრესტიჟულმა გათამაშებამ პოპულარობა ვერაფრით მოიპოვა. უეფას ახალი პრეზიდენტი **მიშელ პლატინიც**, ალბათ, სწორად მოიქცა, ამ გათამაშების გაუქმება რომ გადაწყვიტა. ანუ, მომავალი წლიდან (ისედაც ბევრი სიახლე რომ იქნება ჩემპიონთა ლიგასა თუ უეფას თასზე) ინტერტოტოს თასი აღარ იქნება და ამ გათამაშებას წელს სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ. კენჭისყრა უკვე ჩატარდა და ვიცით, რომ პირველ ეტაპზე ქართული გუნდის მეტოქე ლუქსემბურგის გუნდი იქნება. თუმცა დღესდღეობით ვერავინ გეტყვით, ინტერტოტოს თასის უკანასკნელ გათამაშებაში რომელი ქართული გუნდი იასპარეზებს. „ამერმა" ადრევე უარი თქვა, არც „ოლიმპს" უნდა ფინანსურად არაფრისმომტან ტურნირში ზედმეტი ხარჯის გაწევა. ცხრილში შემდეგი დებიუტანტი „მესხეთია", მაგრამ ახალციხელების საყვარელ კლუბს ლიცენზია არა აქვს (ისევე როგორც მეორე დებიუტანტს - ზუგდიდის „მგლებს"). „ჩავყვეთ" ცხრილს და შემდეგი „ბორჯომია", ეროვნულ ჩემპიონატს ადგილობრივი, გამოუცდელი ჭაბუკებით რომ ამთავრებს და საერთოდაც, სეზონის წინ რომ კომპლექტდება ხოლმე. ანუ, ფაქტობრივად, „ბორჯომიც" უნდა გამოვრიცხოთ. მით უმეტეს, რომ ინტერტოტოზე პირველი ეტაპის მატჩები ერთ თვეში დაიწყება. თანაც, პირველი ეტაპი თუ დავძლიეთ ( მერე რა, რომ ლუქსემბურგის გუნდია ჩვენი მეტოქე), შემდეგ უკვე რუსეთის წარმომადგენელს (სავარაუდოდ - „სატურნს") უნდა შევხვდეთ და შერცხვენა გარანტირებული გვაქვს! მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქართული გუნდებიდან ევროსეზონი ბოლნისის „სიონმა" ან თბილისის „ლოკომოტივმა" უნდა გახსნას. ოღონდ, ორივე შემთხვევაში ამ კლუბების ხელმძღვანელთა გადასაწყვეტია - გაიღონ თუ არა გაუთვალისწინებელი ხარჯები...

...გასულ უქმეებზე ევროპის წამყვანი საფეხბურთო ჩემპიონატები დასრულდა. თითქმის ყველგან არნახული ინტრიგა იყო და სწორედ ბოლო ტურში ვლინდებოდა ჩემპიონისა თუ ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის საგზურისა თუ უძლიერესთა ჯგუფიდან გასავარდნი გუნდების ვინაობა. საფრანგეთში სულაც „არანორმალური" სიტუაცია შეიქმნა - ათიდან რვა შეხვედრა გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო! ჩვენთანაც მთავრდება ეროვნული ჩემპიონატი, ოღონდ მშვიდად, წყნარად და უინტრიგოდ!..

**გია ტუხაშვილი**

# გასარკვევი თითქმის არაფერია

სეზონის დასკვნით ნაწილში მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ უმაღლეს ლიგაში ფაქტობრივად, ყველაფერი უკვე ცნობილია. თეორიულად შესაძლებელია, რომ პლეი ოფში "სპარტაკის" ნაცვლად "ლოკომოტივი" მოხვდეს, თუმცა ეს წარმოუდგენლად გვეჩვენება. მოკლედ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 24 მაისს "სპარტაკი" და "გაგრა" საგაისო უმაღლესი ლიგის ბოლო, მე-12 მონაწილეს გამოავლენენ და სეზონიც ამით დასრულდება.

**17:00 ზესტაფონი–ამერი**

20 მაისი. ზესტაფონი. ცენტრალური

სავარაუდო შემადგენლობები

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე (ჭანტურია), ლობჟანიძე, საჯაია (შ. ლონლაძე), ს. თოდუა (სანტოსი), აკუასაგა, ნ. კვასხვაძე, კესანი (ჟონატასი), ხიდეშელი (დაუშვილი), რ. ონიანი, ვიეირა, ბ. გოცირიძე (გელაშვილი)

ამერი: ნადირაშვილი (ქვაჩახია), მემარნიშვილი (მჭედლიშვილი), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, შალამბერიძე (ა. ალავიძე), რ. გოცირიძე (ტატანაშვილი)

"ზესტაფონის" წევრები რამდენიმე დღის წინათ მოგებულ თასს საკუთარ ერთგულ ქომაგებს დღეს კიდევ ერთხელ წარუდგენენ. დაგეგმილია საზეიმო ღონისძიებები მატჩის წინაც და მის შემდეგაც. უშუალოდ შეხვედრა კი წმინდა წყლის ფორმალობაა. შესაძლოა, ორივე ფინალისტმა დღეს გადახალისებული შემადგენლობით ითამაშოს.

**17:00 ოლიმპი–სპარტაკი**

20 მაისი. რუსთავი. ფოლადი

სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპი: გ. ლომაია, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, ნ. მგელაძე, კახელიშვილი, გ. რეხვიაშვილი, გაბედავა, ჯოჯუა, ხუბუა, ომელიანოვი

სპარტაკი: ქვილითაია, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, დათუნაშვილი, ტყეშელაშვილი, ქორიძე, კუპრეიშვილი, ძარია, ხიდეშელი, ვ. კვარაცხელია

დისკვალიფიკაცია: თარხნიშვილი, ბახტურიძე

"სპარტაკმა" რუსთავში უნდა მოიგოს, ამასთან "ლოკომოტივმა" უნდა წაიფორხილოს – მხოლოდ ამ შემთხვევაში აიცილებს **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი პლეი ოფში თამაშს. "ოლიმპს" კი მოტივაცია აღარ დარჩა – სულ ახლახანს გაირკვა, რომ რუსთაველები ინტერტოტოს თასზე ასპარეზობას აღარ აპირებენ.

**17:00 ლოკომოტივი–ბათუმი**

20 მაისი. თბილისი. მ. მესხი

სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა, ზ. ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, გილაური, წულაძე, დარასელია, ალექსიძე

დისკვალიფიკაცია: სამხარაძე

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, კ. მახარაძე, დემურაძე, მაკარიანი, ლ. მახარაძე, ბ. მახარაძე, ქებაძე, ა. ბაჯელიძე, ბაბუნაშვილი, კაკალაძე

წესით, "ლოკომოტივს" "ბათუმის" ძლევა არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა მოვლენებს წინ მაინც ნუ გავუსწრებთ. აჭარლებმა დიდი ხნის წინათ დაკარგეს უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი და ახლა პროფლიგისა და ფედერაციის გადაწყვეტილების იმედად არიან – არაა გამორიცხული, ზოგიერთმა კლუბმა ლიცენზირების პირობები ვერ დააკმაყოფილოს და უმაღლესში რომელიმე მათგანის ადგილი "ბათუმმა" დაიკავოს.

**17:00 დილა–დინამო**

20 მაისი. გორი. თ. ბურჯანაძე

სავარაუდო შემადგენლობები

დილა: კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი, ტლაშაძე, გაგნიძე, ი. ლომიძე, ვარდოსანიძე, ნ. ნოზაძე, აბრამიშვილი, რატიანი, გ. წინამძღვრიშვილი

დინამო: ოვონო (ლორია), შ. კაშია (თომაშვილი), ზელიჩი (გ. კაშია), კრშკო, გველესიანი, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ნერგაძე, ოდიკაძე, ხუციშვილი, აკირემი

"დინამომ" გორში შესაძლოა, არაოპტიმალური შემადგენლობით ითამაშოს. ის კი დანამდვილებით ცნობილია, რომ ვერც დღეს და ვერც უახლოესი კვირების განმავლობაში საქართველოს ჩემპიონს მათე ვანაძე ვერ დაეხმარება. ეს უკანასკნელი გასულ ტურში, "ლოკომოტივთან" მატჩში დაშავდა. ბომბარდირობა ჯერ არ გაუნაღდებია **მიხეილ ხუციშვილს**, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, უახლოეს მდევარ **დიმიტრი ტატანაშვილს** მან დაწევის საშუალება მისცეს. "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დუშან უჰრინი** ბოლო მატჩს ჩაატარებს.

**17:00 მესხეთი–ვიტ ჯორჯია**

20 მაისი. ახალციხე. მ. იაძე

სავარაუდო შემადგენლობები

მესხეთი: სომხიშვილი, თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, რაქვიაშვილი, ლეკიშვილი, მ. თაყაძე, კოშკაძე, კ. ხანიშვილი, გვირჯიშვილი, მუშკუდიანი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ბეჟვაია, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი, ჯ. ლიპარტია

რომ არა "ზესტაფონის" მიერ წინა ტურში დაკარგული ქულები, ვეტერინარებს ახალციხეში დიდი ბრძოლა გადახდებოდათ. ამ შემთხვევაში კი გასარკვევი აღარაფერია. "ვიტ ჯორჯიამ" ვერცხლის მედლები და უეფას თასის საგზური დაიბევა, "მესხეთმა" კი დებიუტანტის კვალობაზე, შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ლიცენზირებასთან დაკავშირებული პრობლემები რომ არ ჰქონდეს, ინტერტოტოსაც გაუსინჯავდა გემოს.

**17:00 მგლები–ბორჯომი**

20 მაისი. ზუგდიდი. თუთბერიძე

სავარაუდო შემადგენლობები

მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, კაკაბაძე, ვართაგავა, დ. ქირია, ჭკადუა, გ. ქირია, ნურწუმია, ჯანაშია

ბორჯომი: დათუაშვილი, თედიაშვილი, ხითარიშვილი, ხაჩიძე, ნ. ლომიძე, როხვაძე, გოგოლაძე, ბაქრაძე, გაჩეჩილაძე, გოგიჩაიშვილი, ნასყიდაშვილი

"ბორჯომში" ჯერჯერობით, გაურკვეველი სიტუაციაა. კლუბში ახალ ინვესტორს ელიან და არც ინტერტოტოზე გასვლას გამორიცხავენ. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა, სეზონს კი სამცხელები დუბლშემადგენლობით ასრულებენ. "მგლებს" კი უმაღლეს ლიგაში წარმატებული დებიუტი მივულოცოთ. მომავალ სეზონში შესაძლოა, ზუგდიდელებმა მეტსაც მიაღწიონ.

**17:00 სიონი–მერანი**

20 მაისი. ბოლნისი. თ. სტეფანია

სავარაუდო შემადგენლობები

სიონი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, შავგულიძე, კობაური, ბ. ნოზაძე, ლ. ბაჯელიძე, ზ. ჭელიძე, სანიკიძე, ზ. ავალიანი, შ. ჯიქია

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, აფშილავა, სარალიძე, ჯანგიძე, ბესარაშვილი, ბაკურაძე, კობერიძე, მ. ჟღენტი, გოჩაშვილი

ორივე გუნდმა სეზონი ჩააგდო. ერთ დროს უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლი "სიონი" მხოლოდ უმაღლესში ადგილის შენარჩუნებას დასჯერდა, კიდევ უფრო უსახურად მოასპარეზე "მერანმა" კი ესეც ვერ მოახერხა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ბოლნისში ამხანაგური მატჩი ჩატარდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზესტაფონი-ამერის შეხვედრა ფორმალობად იქცა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საკითხი

# გადაწყდა! ნაკრებს სეგრტი უხელმძღვანელებს

## ფინკე თანახმაა, მაგრამ თვენახევარი მაცადეთო



პეტარ სეგრტი

27 მაისს ესტონეთთან, ოთხი დღის შემდეგ კი პორტუგალიასთან მატჩებში საქართველოს ნაკრებს **პეტარ სეგრტი** უხელმძღვანელებს.

*„საერთოდ, ასეა მიღებული, როცა ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტი ვაკანტური ხდება, დროებით მის ადგილს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იკავებს. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ ესტონეთსა და პორტუგალიასთან მატჩებში ნაკრებს პეტარ სეგრტი უხელმძღვანელებს“,* - აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

**ბრანკო ივანკოვიჩის** მიერ საქართველოს ნაკრების გაწვრთნაზე უარის თქმის შემდეგ დარჩა ორი კანდიდატურა - **ფოლკერ ფინკე** და **მორტენ ოლსენი**. ახლა სიჩქარე არაა საჭირო, უახლოეს თამაშებში ეროვნულ გუნდს ახალგაზრდულის თავკაცმა პეტარ სეგრტმა უხელმძღვანელოს. ნაკრების ახალი თავკაცი კი ივნისის ბოლოსთვის მშვიდად შევარჩიოთ.

მორტენ ოლსენი დანიის ნაკრები თავკაცია და კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება, თუმცა ის ოპციონის წესითაა შედგენილი. ანუ, ოლსენს ამ წლის ზაფხულშივე შეუძლია მუშაობაზე უარის თქმა. ამჟამად კი აქცენტი ფოლკერ ფინკეზე კეთდება. გუშინ ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ფინკეს გერმანიაში შეხვდა. საუბარმა ორ საათს გასტანა, შეხვედრის დეტალები **უჩა უგულავამ** გაგვანდო:

*„ნოდარ ახალკაცსა და ფინკეს შორის საუბარი თბილ და საქმიან ატმოსფეროში წარიმართა. ფინკე ძალიან გაახარა ჩვენმა ჩანაფიქრმა. ის მზადაა, საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას ერთ-ერთ შვეიცარიულ ტელეკომპანიასთან ივნისის ბოლომდე კონტრაქტი აკავშირებს, ვისი ეთერითაც ევროპის ჩემპიონატის მატჩებს ანალიზი უნდა გაუკეთოს. ასე რომ, ამ დრომდე დაკავებულია. მან გვთხოვა, ბოლო მატჩების ჩანაწერები გამომიგზავნეთო. ფინანსურ საკითხებსა და სხვა დეტალებს ამჯერად საუბარი არ შეხებია,“*- გვითხრა უჩა უგულავამ.

ამ ვითარებამ ფედერაციას ალტერნატიული ვარიანტის ამოქმედებისკენ უბიძგა, ანუ მაისის ამხანაგურ მატჩებში ნაკრებს პეტარ სეგრტი უთავკაცებს.

უცხოელ მწვრთნელებთან ერთად, არც **თემურ ქეცბაია** გამოგვრჩენია და უჩა უგულავას მასზეც დავეკითხეთ:

*„23 მაისს, აფხაზეთის ფეხბურთის 100 წლის იუბილე აღინიშნება. ამხანაგური მატჩი შედგება, რომელშიც მონაწილეობას თემურ ქეცბაიაც მიიღებს. ის თბილისში ჩამოდის და მასთან აუცილებლად გვექნება საუბარი“,* - განაცხადა უგულავამ.

დაბოლოს, დღეს, 15 საათზე, ფეხბურთის ფედერაციაში პეტარ სეგრტის პრესკონფერენცია გაიმართება. ხორვატი ახალ ამპლუაში, ეროვნული ნაკრების მწვრთნელად წარუდგება საზოგადოებას და, სავარაუდოდ, ნაკრების შემადგენლობასაც დაასახელებს. ეროვნული გუნდის მოსამზადებელი შეკრება 23 მაისს დაიწყება ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“.

**დავით ცაბაძე**

# ცხოვრება გრძელდება

## ღმერთს მაქსიმალურად ავყევი




**პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო თავდამსხმელმა შოთა არველაძემ საკუთარ კარიერაში ბოლო მატჩი ითამაშა.**

**ვინ იყო ფეხბურთელი შოთა არველაძე? ტევადი თემაა და ახლა ამაზე არ შევჩერდებით - 3 ივნისს თბილისში შოთას გამოსამშვიდობებელი მატჩია და ამაზე ლაპარაკი და წერა მაშინაც მოესწრება.**

**ახლა კი თვითონ შოთას მოვუსმინოთ - რა ემოციებით, რა განცდებით დაიტვირთა ის მადრიდის „რეალთან“ მატჩში, რომელშიც ბოლო ათი წუთი ითამაშა...**

- როგორ გითხრათ... ძალიან გამიჭირდა, რაც მოხდა, თითქოს ყველაფერი აღვიქვი, მაგრამ ბოლომდე ყველაფრის გაანალიზება ჯერ ძნელია. თამაშის შემდეგ გასახდელში ყველა ჩემთან მოდიოდა და მამხნევებდა, მე კი თვალებზე ცრემლი მომადგა.

**- ალბათ უკვე განიცდი იმას, რომ ფეხბურთელი აღარ ხარ - რა ემოციებით იტვირთები?**

- სიმართლე გითხრათ, ჯერ ვერ ვგრძნობ იმას, რომ ფეხბურთელი აღარ ვარ - ახლა შვებულების პერიოდია და ყველა ისვენებს, აი მერე, როცა დამდეგი სეზონისთვის დაიწყება მზადება და ჩემ გარდა ყველა შეკრებაზე წავა, საკუთარ თავს უნდა გამოვუტყდე, რომ ფეხბურთელი აღარ ვარ - ვატყობ, ეს ადვილი არ იქნება.

**- საკუთარ თავს არ ამზადებდი ყოველივე ამისთვის? ისიცაა, რომ ბოლო წლებში მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ ძალიან გაგაწვალა და ფეხბურთელობისთვის თავის დანებება იქნებ გარკვეულწილად შვებაც იყოს...**

- თუ „ლევანტეში“ გატარებულ სეზონს არ ჩავთვლით, ბოლო წლებში მაღალ დონეზე თამაში მოვახერხე, გამორჩეულ ფეხბურთელად დავრჩი და ასე რომ არ მომხდარიყო, უფრო გამიადვილდებოდა ფეხბურთელობისთვის თავის დანებება.

**- პრიმერა დივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში გოლის გატანა ვერ მოახერხე - ეს ხინჯად გრჩება?**

- ბევრს არ ვფიქრობ ამაზე. რაც ღმერთმა ინება, ისე მოხდა და მეც მაქსიმალურად ავყევი ღმერთის ნებას. ჩემპიონთა ლიგაში და ესპანეთში თუ არა, სხვაგან ხომ გამიმართლა? ისიცაა, რომ 35 წლამდე თამაშს ყველა ვერ ახერხებს, საკმაოდ ხანგრძლივი კარიერა გამომივიდა. აჩიმ რაღა უნდა თქვას - 29 წლისამ ითამაშა ბოლო მატჩი.

**- 3 ივნისს შენი გამოსამშვიდობებელი მატჩია - უცხოელი სტუმრების სიაში ახალი ხომ არაფერია?**

- სიას დენი კუიერმანსი დაემატა. სათუოა ედგარ დავიდსის ჩამოსვლა. მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივ მაუწყებელზე იქნება.

**- შენი უცხოელი მეგობრების მწვრთნელები მორტენ ოლსენი და ლუის ვან გაალი იქნებიან, ჩვენებურების ალექსანდრე ჩევაძე და რევაზ ძოძუაშვილი. დამდეგი სეზონიდან ვინძლო ერთ-ერთის თანაშემწე გახდები...**

- რაც შეეხება „ალკმაარში“ ვან გაალის შესაძლო ასისტენტობას, უშუალო, არასატელეფონო საუბარი ჯერ არ გვქონია. ვან გაალი თბილისში რომ ჩამოვა, ალბათ, მაშინ დავილაპარაკებთ.

**- ამასობაში კი ფეხბურთელ შოთა არველაძის კარიერა დასრულდა - ალბათ სათქმელი კიდევ გაქვს რაღაც...**

- სასიხარულო იყო, რომ ბოლო მატჩი „რეალთან“ ვითამაშე და თანაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ბოლო სეზონში ძალიან ბევრი ვიწვალე, ექვსი თვე ყავარჯნები ვერ გადავაგდე. ფეხბურთელობა ძალიან მენანება, მაგრამ ცხოვრება გრძელდება...

**დავით თავართქილაძე**

# ოთხი მეკარე საქართველოს ნაკრებში

## ნადირაშვილი სიაში პირველად მოხვდა

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 27 და 31 მაისის მატჩებისთვის ხორვატი სპეციალისტი **პეტარ სეგრტი** მოამზადებს. სეგრტი და ფეხბურთის ფედერაცია იძულებული არიან, გაფართოებული სია შეადგინონ, რომელსაც შემდეგ გაცხრილავენ.

ჩვენი ინფორმაციით, სიაში ოთხი მეკარეა: "ზესტაფონის" კარის დარაჯი **როინ კვასხვაძე**, "მერანის" მეკარე **რევაზ თევდორაძე**, თბილისის "დინამოს" გოლკიპერი **გიორგი ლორია** და სიურპრიზი –ნაკრების გაფართოებულ სიაში პირველად მოხვდა თბილისის "ამერის" უკვე ძირითადი მეკარე **ლადო ნადირაშვილი**.

რაც შეეხება **გიორგი მაკარიძეს**, მასზე ინფორმაციას არ ვფლობთ. თავად კი გვითხრა, რომ თბილისის "დინამოსთან" შეთანხმებას მიაღწია და შესაძლოა, კლუბი გამოიცვალოს.

პორტუგალიასთან სათამაშოდ გამოძახებულები არიან დინამოელები, **დავით ოდიკაძე, გიორგი მერებაშვილი** და **გიორგი ხუციშვილი**. შევიტყვეთ რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელების გვარებიც, რომლებიც ტალინსა და ლისაბონში საქართველოს ღირსების დაცვას შეეცდებიან – ყაზანის "რუბინიდან" **ლაშა სალუქვაძე** და **დათო კვირკველია**, მოსკოვის "ლოკომოტივიდან" **მალხაზ ასათიანი** და **დავით მუჯირი**, ნალჩიკის "სპარტაკიდან" **გოგიტა გოგუა** და **დავით სირაძე**.

ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, ნაკრებში კვლავ ვიხილოთ თბილისის "ამერის" ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილიც**. ერთი სიტყვით, ფედერაციის უზარმაზარი დავთარი, მალე საბოლოო სახეს მიიღებს.

**მერაბ მამულაშვილი**




ლადო ნადირაშვილი

აფხაზური ფეხბურთი 100 წლისაა

ინტერვიუ მურად ანჯაფარიძესთან

# ჯილდოები, სიურპრიზები და ნაკრებების მატჩი

## ჩამოვა თუ არა დელეგაცია სოხუმიდან?


მურად ანჯაფარიძე


თემურ ქეცბაია


გიორგი ჩიხრაძე

**რამდენიმე** დღეც და აფხაზეთში ფეხბურთის 100-წლოვანი იუბილე დიდი ზარზეიმით აღინიშნება. იუბილეს მთავარი ორგანიზატორი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე გახლავთ. იუბილეს ფარგლებში მრავალი ღონისძიებაა დაგეგმილი. ინტერვიუც ამ თემას უკავშირდება:

**- აფხაზეთში ფეხბურთის ასი წლის იუბილე მასშტაბურად აღინიშნება. როდის გადაწყდა ამ თარიღის აღნიშვნა?**

- შარშან, მაისში, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ყრილობისას. მაშინ არქივში ვნახეთ, რომ აფხაზეთში, კერძოდ კი სოხუმში, პირველი საფეხბურთო კლუბი 1908 წელს შექმნილა. ყრილობაზე ითქვა, რომ 100-წლოვანი იუბილე 2008 წელს სრულდებოდა. შემდეგ მთელ რიგ ინსტანციებთან კონსულტაციები გავიარეთ და ნოემბერში აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა დადგენილება მიიღო ასწლოვანი იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით. ჩამოვწერეთ ღონიძიებათა ნუსხა და ჩვენი წინადადებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, აფხაზეთის მთავრობასა და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს წარვუდგინეთ. ჩვენი პროგრამა სამივე ინსტანციაში მოიწონეს და მხარდაჭერასაც დაგვპირდნენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფინანსურად გვეხმარება. რაც შეეხება აფხაზეთის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს, მათ სპეციალური დადგენილება მიიღეს და იუბილეს აღსანიშნავად სამთავრობო კომისია შექმნეს, სახსრები მათაც გამოგვიყვეს. აფხაზეთში ფეხბურთის დაარსების თარიღად 1908 წლის მაისია მიჩნეული. გადავწყვიტეთ, ამ იუბილეს აღნიშვნა საპარლამენტო არჩევნების თარიღს არ დამთხვეოდა და პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონოდა, ამიტომ 23-24 მაისი შევარჩიეთ. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ზემო აფხაზეთში, აფხაზეთის მთავრობის დახმარებით, ივნისის მეორე ნახევარში ჩატარდება.

ალმასკომზე დავამტკიცეთ აფხაზური ფეხბურთის საუკუნოვანი მემატიანის გამოცემა და მისი დებულება, შესაბამისი ესკიზით. წიგნის პრეზენტაცია ამ იუბილეს ფარგლებში შედგება. მასში ავსახავთ განვლილი საუკუნის პერიპეტიებს, გამორჩეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აფხაზურ ფეხბურთს მხარში ედგნენ და მის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს.

**- იქნებ დააკონკრეტოთ, რა ღონისძიებები შედის საიუბილეო პროგრამაში.**

- პროგრამის ორგანიზება გეგმურად მიმდინარეობს. წიგნის გამოცემა, პრაქტიკულად, უკვე სრულდება. სამწუხაროდ, აფხაზეთის ომმა არაერთი დოკუმენტი გაანადგურა. ამის გამო, ეს წიგნი, შესაძლოა, სრულფასოვანი არც იყოს. თუ ვინმე მოგვაწვდის დამატებით მასალებს, შევსებულ ვარიანტს კიდევ ერთხელ გამოვცემთ. გარდა ამისა, ვამზადებთ სატელევიზიო ფილმს, რომელიც 35-წუთიანი იქნება და აფხაზური ფეხბურთის ისტორიას მიეძღვნება.

23 მაისს, 18 საათზე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ამხანაგური მატჩი გაიმართება საქართველოს კლუბებისა და აფხაზეთის ნაკრებებს შორის. ამ თამაშისთვის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კლუბებიდან საუკეთესოებს შეარჩევს. აფხაზეთის ნაკრებში კი დევნილის სტატუსის მქონე ფეხბურთელთა გარდა ითამაშებენ, ვიტალი დარასელია, გრიგოლ ცაავა და კვიპროსიდან სპეციალურად ჩამოსული თემურ ქეცბაია. ვფიქრობ, თამაში საკმაოდ საინტერესო იქნება, რადგან სპორტული შინაარსით ამხანაგური მატჩის სტატუსს სცილდება კიდეც.

**- საქართველოს კლუბებისა და აფხაზეთის ნაკრებებს ვინ უხელმძღვანელებენ?**

- საქართველოს კლუბების ნაკრებს სერგო კოტრიკაძე და სერგო კუტივაძე უხელმძღვანელებენ. თუმცა კონტინგენტს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი შეარჩევს. აფხაზეთის ნაკრებს კი გიორგი ჩიხრაძე და ნუგზარ ბოჯგუა უთავკაცებენ. მათ პრაქტიკულად შერჩეული ჰყავთ შემადგენლობა და 21 მაისს მოსამზადებელ შეკრებაზეც გადავლენ. ამ მატჩის შესვენებაზე, აფხაზეთის ჩემპიონატში, სამივე ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებულთა დაჯილდოება შედგება. ამაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც მიიღებს მონაწილეობას, ჩვენ კი გამარჯვებულებს ოქროს მედლებით, დიპლომებითა და თასით დავაჯილდოებთ. ამას გარდა, 5 საუკეთესო ფეხბურთელს საიუბილეო სტიპენდიას გადავცემთ. ეს ჩვენი ერთგვარი ახალი სიტყვაა.

**- სტიპენდია რა ოდენობის იქნება?**

- სულ მცირე 150 ლარი. ეს საიუბილეო, წამახალისებელი სტიპენდია იქნება.

**- რამდენადაც ვიცი, უცხოეთიდან საპატიო სტუმრებიც გყავთ მოწვეული.**

- დიახ, სტუმრის სტატუსით ჩამოდიან თემურ ქეცბაია, გიორგი სიჭინავა, სარქის ოვივიანი, ოჯახის წევრებთან ერთად. მათ გარდა, მოწვეული გვყავს ნიკიტა სიმონიანი მოსკოვიდან, ალექსანდრე ილიადი საბერძნეთიდან.

გარდა ამისა, ვამზადებთ საიუბილეო მედალს და მათ გადავცემთ, ვინც ამ იუბილეს აღნიშვნაში თავისი წვლილი შეიტანა. ესენი იქნებიან, აფხაზეთის მთავრობის, საქართველო ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, სპონსორები. მადლობელი ვარ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის. მათი დახმარებით გაზეთ „ლელოში" ორგვერდიანი ჩანართი 24 მაისს გავა.

**- რამდენადაც გავიგე, ამ იუბილეს აფხაზებმაც დაუჭირეს მხარი და იქიდან სპეციალური დელეგაციის ჩამოსვლის საკითხიც განიხილებოდა.**

- სხვათა შორის, აფხაზურმა მხარემაც დაადასტურა ამ იუბილესადმი მხარდაჭერა. ჩვენი მათი დელეგაცია სპეციალურად მოვიწვიეთ თბილისში. თუმცა ბოლო ხანს დაძაბულობა შეინიშნება და ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინმე ჩამოვა თუ არა სოხუმიდან.

**დავით ცაბაძე**




# ალეკო რეხვიაშვილი ფეხბურთიდან წავიდა



საქართველოს ნაკრებში უამრავ ფეხბურთელს უთამაშია. მათ შორის ათასნაირი სტილისა და დონის მოთამაშე შეგვხვედრია, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ჯვაროსნებში" ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელის სახელი **ალეკო რეხვიაშვილმა** დატოვა.

ბოლო ხანია ალეკოს ასავალ-დასავალი ჩვენთვის უცნობი იყო. გუშინ შევიტყვეთ, რომ 33 წლის ასაკში ნახევარმცველმა ბუცები ჩამოკიდა – რიგის "სკონტოს" ექსკაპიტანი ამჟამად ლატვიაში ცხოვრობს და მეწარმეობა წამოუწყია.

ალეკო რეხვიაშვილი თბილისში 3 ივნისისთვის ჩამოსვლას და **შოთა არველაძის** გამოსამშვიდობებელ მატჩში მონაწილეობას აპირებს.

შეხვედრის ორგანიზება "არველაძეების ფონდმა" შეძლო. ასეთი მასშტაბის ღონისძიების გამართვა უდიდეს ხარჯს უკავშირდება და გასაგებია, რომ ფეხბურთის ფედერაცია ასეთი ძვირადღირებული მატჩების ორგანიზებას, დიდი სურვილის მიუხედავად, ხშირად ვერ მოახერხებს.

თუმცა მთელი თაობები წავიდნენ – **ცხადაძის, ქინქლაძის, არველაძეების, ნემსაძე-ჯამარაულ-ყაველაშვილის** და მათთვის ერთიანი გაცილების მატჩის ორგანიზებაც სასურველი იქნებოდა.

**ალექსანდრე რეხვიაშვილი**

**დაიბადა 1974 წლის 6 აგვისტოს**

1991–1993 "დინამო" (თბილისი) 35 შეხვედრა (0 გოლი)

1993–1997 "გორდა" რუსთავი 38 (1)

1997–2002 "სკონტო" რიგა, ლატვია 110 (9)

2003 "ტორპედო-მეტალურგი" მოსკოვი 22 (1)

2004–2005 "ვენტსპილსი" 39 (5)

2005–2006 "ბაკი" 8 (0)

**საქართველოს ეროვნული ნაკრები**

1999–2005 21 (0)

**მერაბ მამულაშვილი**

# რევიშვილმა ვარჯიში განაახლა



**ნუკრი რევიშვილმა** მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ვარჯიში განაახლა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ყაზანის "რუბინის" მეკარე ორი თვის წინათ დაშავდა და რთული დიაგნოზი დაუსვეს – მენისკის დაზიანება.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ერთი კვირაა ის მოედანს დაუბრუნდა.

*"ახლა ყველაფერი კარგად არის. ვარჯიში დავიწყე და 28 მაისს გუნდთან ერთად, შეკრებაზე გადავდივარ. ჯერ მოსკოვში ვივარჯიშებთ, შემდეგ კი ავსტრიაში. ექიმებისგან ვიცი, რომ საშიში არაფერია და ჩვეულებრივი დატვირთვის უფლება გამაჩნია. მე ისედაც დიდი დრო დავკარგე და ძირითად გუნდში დასაბრუნებლად, ორმაგი შრომა დამჭირდება. კარგად დავიწყეთ სეზონი, თუკი თავიდან მხოლოდ უეფას თასზე მოხვედრაზე ვფიქრობდით, ახლა ჩემპიონობაც რეალური მგონია.*

*რომ ვუყურებთ, რეალურად ჩვენზე ძლიერი გუნდი პრემიერლიგაში არც მეგულება. მოსკოვის "სპარტაკთან" შინ 0:3 კი წავაგეთ, მაგრამ ამასაც ახსნა აქვს. სეზონი კარგად დავიწყეთ, არც ერთ გუნდს აღარ ვეპუებოდით. ეტყობა, რაღაც მომენტში, ბიჭები მოდუნდნენ და "სპარტაკმა" ჩავარდნა არ გვაპატია. თუმცა სეზონი ჯერ კიდევ წინაა. მე კი ძალიან მინდა, რომ ასეთი ამბიციური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო,"* – გვითხრა ნუკრი რევიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# მსახიობი, რომელმაც ინფარქტი მოიგონა



ჯაბა მუჯირი (მარჯვნივ)

**ირანის ჩემპიონატის ბოლო ტურამდე ჯაბა მუჯირის „სეფაჰანი" ლიდერი იყო, მაგრამ ბოლოს თეირანში იქაურ „პერსოპოლისთან" 1:2 დამარცხდა და პირველობაც ამ გუნდს დაუთმო, არადა ჩემპიონობისთვის ფრეც ჰყოფნიდა. რა მოხდა თეირანში? ჯაბასთან ინტერვიუ ამით დავიწყეთ და მერე სხვაზეც ვისაუბრეთ.**

- ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ „პერსოპოლისს" უნდა მოეგო. მეტოქეებთან პატარა შეხებისთვისაც კი მსაჯი ჩვენს ფეხბურთელებს აფრთხილებდა და თან ემუქრებოდა, თუ კიდევ შეეხები პერსოპოლელს, გაგაძევებო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არბიტრმა მატჩს შვიდი წუთი დაამატა, გადამწყვეტი გოლიც „პერსოპოლისმა" 96-ე წუთზე გაიტანა.

**- ამ მატჩში 88-ე წუთზე შეხვედი შეცვლაზე - მას შემდეგ რაც იანვრიდან „სეფაჰანის" მწვრთნელი ჟოვან ვიეირა გახდა, თამაში იშვიათად გიწევს.**

- ჩვენი მწვრთნელი შეცვლებში შეცდა. ნახევარდაცვა ველარ ინძრეოდა. სათადარიგოებში ბურთის დამჭერი ნახევარმცველები კი გვყავდა, მაგრამ ვიეირამ მათ ნაცვლად სულ სხვა სტილის ფეხბურთელები შეიყვანა. მე კი მითხრა, ცენტრალურ მცველებს და საყრდენებს შორის იმოქმედეო, შევედი მოედანზე და მწვრთნელმა ცოტა ხანში სულ სხვა დავალება მომცა - ჩაწოდებების დროს შორეულ ძელთან დადექიო. მოკლედ ვერ გავიგე, მწვრთნელს რა უნდოდა.

**- როგორ ფიქრობ, რატომ აგითვალწუნა ვიეირამ?**

- ალბათ იმიტომ, რომ მისთვის სასურველი უცხოელის ადგილს ვიკავებ. ირანში გუნდს ხუთზე მეტი ლეგიონერის ყოლის უფლება არ აქვს. ალბათ უნდა, კლუბის ხელმძღვანელობა დაარწმუნოს, ეს ფეხბურთელი გუნდისთვის საჭირო არ არისო. მაგალითად, ერთ-ერთ ვარჯიშზე კუთხურებს ვაწოდებდი, რაც ძალიან კარგად გამომდიოდა და როგორც კი ეს შეამჩნია, კუთხურების ჩაწოდება სხვას დაავალა. „პერსოპოლისთან" მატჩში ჩვენს მარცხენა მცველს დისკვალიფიკაცია ჰქონდა და მაინც არ მათამაშა, ამ პოზიციაზე ცენტრალური მცველი გაამწესა. ვიეირამ „სეფაჰანში" ერაყელი საყრდენი ნახევარმცველი მოიყვანა, რომელიც მოედანზე დადის. ერთ-ერთ მატჩში ჟურნალისტებმა მისი თამაში ნულით შეაფასეს.

**- მერე რას აპირებ, უნდა შეეგუო ასეთ სიტუაციას?**

- ჯერ არაფერს ვამბობ, ველოდები, რა მოხდება. ვიეირა კარგი მსახიობია. აზიის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას საუდის არაბეთის „ალ იტიჰადთან" ტელეკომპანია „ალ ჯაზირა" გადასცემდა პირდაპირ ეთერში და ვიეირამ ინფარქტის ინსცენირება მოაწყო. ჯერ თავზე მოიკიდა ხელი, მერე კი გულზე და მინდორზე გაწვა. ნახევარი საათი იყო ასეთ პოზაში, სასწრაფოც მოვიდა და ვისლა აინტერესებდა თამაში -ტელემაყურებელიც ვიეირას უყურებდა , მერე კი მან თვითონ ჩაიცვა ტანსაცმელი და ვითომც არაფერი...

**- კონტრაქტი სადამდე გაქვს „სეფაჰანთან"?**

- გუნდთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს. სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, ირანის თასის მეოთხედფინალში ვართ გასულები და ვნახოთ, რა მოხდება, შედეგზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუ ვიეირა დარჩება და ისევ არ მათამაშებს, სხვა გუნდში მომიწევს გადასვლა. ერთი წელიწადი სათადარიგოთა სკამზე რომ ვიჯდე, მერე არც ერთი გუნდი აღარ ამიყვანს. მირჩევნია, ცოტა ნაკლები ხელფასი მქონდეს და სხვაგან ვითამაშო.

**დავით თავართქილაძე**

## გიორგი ონიანი:

# არ გვინდა მესამეში

საქმეს ისეთი პირი უჩანს, დამდეგი სეზონისთვის მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნილ იენის „კარლ ცაისში" არც ერთი ქართველი არ დარჩება: **გიორგი ონიანს, გიორგი სეთურიძესა და ილია კანდელაკს** ახალი გუნდის მოძებნა მოუწევთ.

მომავალი სეზონიდან რეგიონალლიგა უქმდება, მესამე ბუნდესლიგად გადაკეთდება და იქ მოყვარულების გარდა პროფესიონალებსაც შეეძლებათ კონტრაქტის გაფორმება.

*„კარლ ცაისთან" 1+1 კონტრაქტი მქონდა, რომლის მიხედვით თუ გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან არ გავარდებოდა, კიდევ ერთი სეზონი მომიწევდა აქ ყოფნა. იენელებმა შემომთავაზეს, მაინც დარჩი ჩვენთანო, მაგრამ უარი ვუთხარი, მესამე ბუნდესლიგაში თამაში არ მსურს. იგივე შესთავაზეს კანდელაკსაც და როგორც ვიცი, ისიც არ აპირებს „კარლ ცაისში" დარჩენას. მოკლედ, ჯერ არ ვიცი, რომელ გუნდში წავალ. თბილისში ჩამოვალ და ჩემი აგენტი მამუკა ჯულელი ახალ გუნდს გამომიძებნის"* - გვითხრა ონიანმა.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# მანჩინი: ინტერიდან ჩელსიში?

## ჩემპიონი მწვრთნელი ლონდონელ ბოსებთან შესახვედრად მოსკოვს მიემგზავრება

იტალიის ჩემპიონატი "ინტერის" ტრიუმფით დასრულდა. ბევრი, ამ გუნდის გამარჯვებას დამსახურებულად მიიჩნევს, ზოგიც დარწმუნებულია, რომ რობერტო მანჩინის კრებულმა სკუდეტო მსაჯების დახმარებით მოიგო. მაგალითად, "რომას" რამდენიმე ფეხბურთელმა არბიტრებს "ინტერისადმი" მიკერძოებაში დასდო ბრალი. ეს დიდი ხანია გვესმის და არა მარტო "რომას" მხრიდან. მაგრამ "ჯალოროსი" დღეს ნაგებულია და ასეთ დროს, კაცს ობიექტურობას ვერ მოსთხოვ. არ არის ადვილი დამარცხების აღიარება. მაგრამ გავა რამდენიმე დღე და ეს აღარავის ემახსოვრება. მალე დიდი სანაკრებო ბატალიები აიღებს სტარტს, პრინციპში, ევროკამპანია უკვე დაწყებულია კიდეც. კლუბებს კი თავიანთი საქმე აქვთ, თუნდაც "ინტერს", სადაც მწვრთნელის შეცვლის საკითხი დგას დღის წესრიგში, ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონთა მესვეურები ამას აღარ მალავენ...

პარმული მატჩის დასრულებისთანავე, "ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** განაცხადა - **რობერტო მანჩინი** პოსტზე რჩებაო. დადებითი ემოციების ფონზე, მსგავსი რამ არც იყო გასაკვირი. ბოსმა ყველაფერი დაივიწყა და იმ წუთში მზად იყო, "მანჩოსთვის" კიდევ ერთი წლით მიეცა კარტბლანში. მაგრამ აღარ ახსოვდა ორი თვის წინანდელი ამბავი, როცა ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ მწვრთნელმა მოულოდნელად დაახეთქა - სეზონის ბოლოს "ინტერიდან" მივდივარო. მერე გადაათქმევინეს, ფეხბურთელებზე ეს ნეგატიურ გავლენას იქონიებს და ვინძლო, სკუდეტოც გაგვიფრინდეს ხელიდანო...

მანჩინი დარჩა. დარჩა სეზონის ბოლომდე... და ეს ყბადაღებული სკუდეტოც მოიგო. მაგრამ ეჭვები იმაზე, რომ მწვრთნელი თავის პირვანდელ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, უმალვე გამძაფრდა მას მერე, რაც მანჩინიმ და მისმა ასისტენტმა **სინიშა მიხაილოვიჩმა** პრესასთან კომენტარებზე უარი თქვეს და ტელეკამერებსაც მოერიდნენ.

იტალიელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ მანჩინის წასვლა დროულია. მან ზედიზედ სამჯერ (აქედან, ორჯერ ალალად) მოიგო სერია A. გარკვეულწილად, ის ვალმოხდილი წავა "ინტერიდან", მაგრამ ჩემპიონთა ლიგა? ერთადერთი მოტივაცია, რის გამოც მანჩინი, შეიძლება, კიდევ ერთი წლით დარჩეს "სან სიროზე", სწორედ ესაა. მაგრამ, ასევე დიდია რისკი, რომ მომავალ სეზონში საერთოდ ხელცარიელი დარჩეს. ასე წასვლას კი, ნამდვილად სჯობს, დღეს წავიდეს...

გუშინ, "ინტერის" სხვა ჩინოსნებმაც გააკეთეს კომენტარები. მაგალითად, საინტერესოა კლუბის სპორტული დირექტორის **გაბრიელე ორიალის** (მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი) სიტყვები: *"თუ საკითხის ტექნიკურ მხარეს გულისხმობთ, მანჩინის პოზიციები არანაირ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მან თავად უნდა მოჰფინოს ნათელი საკუთარ მომავალს და ღიად დაელაპარაკოს პრეზიდენტ მორატის. იმედია, ისინი რაღაც შეთანხმებამდე მივლენ. ეს შეხვედრა ან ამ კვირაში იქნება, ან თასის ფინალის (24 მაისი) შემდეგ. კიდევ ვიმეორებ, ყველაფერი მალე გაირკვევა. ამ მომენტისთვის კი, შემიძლია ვთქვა, რომ 80 პროცენტით ის მომავალ სეზონშიც ჩვენი მწვრთნელი იქნება".*

■ ■ ■

ამასობაში, უკვე აქტიურად მუსირებს ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ მანჩინი, შეიძლება, "ჩელსიში" გადაბარგდეს. ამ ინფორმაციას ორი ინგლისური გამოცემა - "დეილი ექსპრესი" და "მირორი" ავრცელებს. საუბარია იმაზე, რომ ჯერ კიდევ "ინტერის" დამრიგებელმა "არისტოკრატებს" დასტური მისცა საკუთარ სურვილზეც და იმაზეც, რომ მზადაა, მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ დაიწყოს. "დეილი ექსპრესი" სანდო წყაროზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ მანჩინი მოსკოვში, ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასასწრებად მიემგზავრება. ცხადია, ამ ვოიაჟის მთავარი მიზეზი "ჩელსის" მესვეურებთან შეხვედრა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონური კლუბი ფინალში გავიდა, **ავრამ გრანტის** პოზიციები მეტისმეტად მყიფეა. სხვათა შორის, თავად გრანტიც არ არის დიდად მოწადინებული, რომ სამწვრთნელო საქმიანობა გააგრძელოს. მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა პრესას გაუმხილა, რომ "სტემფორდ ბრიჯისთვის" ერთობ არაპოპულარული სპეციალისტი სპორტული



დირექტორის პოსტზე აპირებს დაბრუნებას. ის პუბლიკამ მაინც არ მიიღო, არ მიიღო ისე, როგორც **ჟოზე მოურინიო**, და ეს მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელისთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალი, ჯერჯერობით, ოცნებად რჩება...

ძნელი სათქმელია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი "ჩელსი" ხვალ მთავარ ევროსაკლუბო ტიტულს მოიგებს. შესაძლოა, გრანტმა დირექტორის სკამზე გადანაცვლება გადაიფიქროს, ანდაც პირიქით, უფრო გაუმყარდეს რწმენა, რომ მისი ადგილი სწორედ კაბინეტშია და არა მწვანე მინდორზე. ეს გრანტის პირადი გამარჯვებაც იქნება იმ ხალხზე, ვისაც მისი დღემდე არ სწამს.

უფრო შორს მიდის "მირორი", რომელსაც ვითომ მანჩინის სიტყვები მოჰყავს - "ჩელსის" ახალი მწვრთნელი ვიქნები მე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდებაო. "მირორის" თქმით, "ჩელსის" ხელმძღვანელობა გრანტის პოზიციებთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს, რაც მოსალოდნელ ცვლილებებზე ეჭვს კიდევ უფრო აღვივებს. თავად მწვრთნელი კი ამას ამბობს: *"თუ კლუბი ჩემით უკმაყოფილოა, არ არის პრობლემა, გადავდგები. მაგრამ თუ მე ვიქნები კლუბით უკმაყოფილო, არ მგონია, ჩემს ნებისმიერ გადაწყვეტილებას ხელმძღვანელობამ რაიმე დაბრკოლება შეუქმნას".*

სად წავა (ან წავა თუ არა საერთოდ) მანჩინი ერთია, და ვინ შეიძლება იყოს მისი შემცვლელი, ეს უკვე სხვა საკითხია. ჯერჯერობით, ყველაზე ძლიერ კანდიდატურად ჟოზე მოურინიო რჩება. ამ რამდენიმე დღის წინათ, პორტუგალიელმა სპეციალისტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ერთ ან ორ კვირაში უკვე ეცოდინება ახალი სამსახურის ადგილსამყოფელი. დააკვირდით, დაახლოებით ამ ვადაში უნდა გაირკვეს მანჩინის მომავალიც.

მოურინიოს კომენტარიდან ჩანს ისიც, რომ ინგლისი და საფრანგეთი (ბოლოს მიწვევა "პარი სენ ჟერმენიდანაც" ჰქონდა) ამ ეტაპზე უნდა გამოირიცხოს, თუმცა პრემიერლიგაში არის ერთი კლუბი, რომელიც ჟოზეს დაქირავებას ცდილობს. ეს გახლავთ "მანჩესტერ სიტი", რომელიც ამ დღეებში **სვენ გორან ერიქსონს** ოფიციალურად დაემშვიდობება.

---

### აგირე ატლეტიკოში რჩება

**ხავიერ აგირე** მადრიდის "ატლეტიკოში" დარჩება. მექსიკის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა "როხიბლანკოში" შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. კლუბმა სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა და ჩემპიონთა ლიგის საგზური ხვდა წილად. მადრიდელები პრესტიჟულ ევროპულ ტურნირში 1996 წლის შემდეგ პირველად მოხვდნენ. აგირემ გადაწყვიტა, "ვისენტე კალდერონზე" კონტრაქტის დასრულებამდე დარჩეს. მისი ხელშეკრულება გაისად, ამ დროს ამოიწურება. სენიორ ხავიერი "ატლეტიკოში" 2006 წლის ზაფხულში, "ოსასუნიდან" გადავიდა. მან გუნდი პირველსავე სეზონში უეფას თასზე გაიყვანა. ის პირველი მწვრთნელია, რომელმაც 2002 წლის შემდეგ "ატლეტიკოს" დამრიგებლად ერთ წელიწადზე მეტხანს იმუშავა. შეგახსენებთ, 2002 წელს მადრიდული კლუბი პრიმერა დივიზიონს დაუბრუნდა.

### გაზაევი, შეიძლება, ლაუდრუპმა შეცვალოს

მოსკოვის ცსკა-მ რუსეთის თასი დაისაკუთრა, თუმცა **ვალერი გაზაევს** თანამდებობის დატოვება მაინც მოუწევს. ამ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. გაზაევი დღეს უნდა გადადგეს. გუნდის დროებით დამრიგებლად ჰოლანდიელი სპეციალისტი, **იელე გუსი** დაინიშნება. გუსი ცსკა-ს თანამშრომელია. მას ბავშთა და იუნიორთა გუნდები აბარია. არმიელთა ხელმძღვანელობა მსოფლიო დონის მწვრთნელის მიწვევას აპირებს. გაზეთი "სოვეტსკი სპორტის" ცნობით, არმიელებს "ხეტაფეს" თავკაცი **მიქაელ ლაუდრუპი** ჩაიბარებს. დანიელმა სპეციალისტმა დაადასტურა, რომ "ხეტაფედან" მიდის, თუმცა მოსკოვური ვარიანტის თაობაზე არაფერი უთქვამს. ცსკაში დანიშვნის შემთხვევაში, მას მრავალმილიონიან კონტრაქტს გაუფორმებენ. მიქაელი რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახდება.

### გარაი, რეალის პირველი შენაძენი

მადრიდის "რეალმა" საზაფხულო ტრანსფერების სეზონი გახსნილად გამოაცხადა. სამეფო კლუბის პირველი შენაძენი სანტანდერის "რასინგის" მცველი **ესეკილ გარაი** იქნება. გაზეთი "მარკა" იუწყება, რომ კლუბები უკვე შეთანხმდნენ. ახალგაზრდა არგენტინელი ექვსწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. "რასინგი" თავდაპირველად 7.5 მილიონ ევროს მიიღებს. თუ ფეხბურთელი მადრიდელთა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდება, სანტანდერელებს კიდევ ნახევარ მილიონი ევროს გადაუხდიან. ერთ თვეში ესეკილი ესპანეთის მოქალაქე გახდება. ესე იგი, გარაის "რეალში" უცხოელთათვის განკუთვნილი კვოტა აღარ შეეხება. ეს გარემოება მის ტრანსფერებს კიდევ უფრო ხელსაყრელს ხდის.

---

იუვენტუსი

# პრეზიდენტი მზადაა, ვარსკვლავები იყიდოს

## პალადინოს სამპდორიაში უშვებენ

"იუვენტუსმა" სერია A მესამე ადგილზე დაასრულა და ჩემპიონთა ლიგის საგზური ვადაზე ადრე მოიპოვა, რაც კლუბის დირექტორატმა დიდ წარმატებად შეაფასა. ასე რომ, **კლაუდიო რანიერის** პოსტი ხელუხლებელია. ახლა უკვე სამომავლო მიზნებზეა საუბარი. სკუდეტო - სწორედ ეს იქნება "ბებერი ქალბატონის" უმთავრესი საგაისო ორიენტირი. მაგრამ კლუბში ისიც კარგად ესმით, რომ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებებია საჭირო. პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლო ჯილი** პირობას დებს, რომ რამდენიმე მაღალი რანგის მოთამაშეს იყიდის. როგორც თავად აცხადებს, იმედი აქვს, რომ "იუვეს" სატრანსფერო გურუ **ალესიო სეკო** და გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** ამ ამოცანებს თავს წარმატებით გაართმევენ:

*"შემიძლია დავარწმუნო ფანები, რომ ბლანი და სეკო ზაფხულის სატრანსფერო კამპანიისას დიდ სამუშაოს ჩაატარებენ. ამ სამუშაოს მიზანი კი ისაა, რომ "იუვენტუსი" ყველა რგოლში გავაძლიეროთ. გავაკეთებთ ხმაურიან შენაძენებს, მაგრამ არ დავივიწყებთ იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც კლუბმა არენდით გაუშვა და წარმატებული სეზონი ჰქონდათ".*

ამ ახალგაზრდებიდან სამი უკვე ცნობილია: "ემპოლიში" განათხოვრებული ფორვარდი **სებასტიან ჯოვინკო**, რომელსაც "ახალ დელ პიეროდ" მიიჩნევენ, ასევე, ცენტრალური მცველი



ჩაბი ალონსო იუვეში?

**დომენიკო კრიშიტო**, ვინაც ან დასრულებული სეზონის პირველი ნაწილი "იუვენტუსში" გაატარა, იანვარში კი კვლავ "ჯენოას" დაუბრუნდა. ამათ შორის უნდა მოვიხსენიოთ სიენელი ნახევარმცველი **პაოლო დე ჩელიეც**.

რაც შეეხება უფრო ნაცნობ სახეებს, ვგონებთ, თავი მოგაბეზრეთ **კარვალიო ამაურის** ტრანსფერზე საუბრით, მაგრამ ეს საკითხიც დღის წესრიგში რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელ ფორვარდთან დაკავშირებით "პალერმოსთან" მოლაპარაკებები უსაშველოდ გაიწელა, ამ ფეხბურთელის ტურინული ტრანსფერი 90 პროცენტით გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს.

"იუვეს" სამიზნეშია აგრეთვე ლივერპულელი საყრდენი ნახევარმცველი **ჩაბი ალონსოც**, პლუს ამას, კლუბი მზადაა, "ბარსელონადანა" **ჯანლუკა ძამბროტაც** დაიბრუნოს. მაგრამ არიან სხვა ფიგურებიც, რომლებზეც "სინიორას" ბოსები, ჯერჯერობით, დუმილს ამჯობინებენ და ეს ბუნებრივიცაა. ამიტომ, დაველოდოთ იმ დღეს, როცა კობოლი ჯილი კარტებს გახსნის.

ცალკეულ მოთამაშეთა ტრანსფერის გასაღები, შესაძლოა, **რაფაელე პალადინოს** გასხვისებაც იყოს. ის, რომ 24 წლის ფორვარდი ტურინს დატოვებს, კლუბის მიერ უკვე დადასტურებულია. "კორიერე დელო სპორტს" თუ დავუჯერებთ, პალადინოზე პრეტენზიას აცხადებს "სამპდორია", რომელიც ახალგაზრდა **კლაუდიო მარკიზიოსაც** (განათხოვრებულია "ემპოლიში") ითხოვს, თავად კი მზადაა, "იუვეს" მცველი **უგო კამპანიარო** და ნახევარმცველი **ანჯელო პალომბო** დაუთმოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ საათს

# იუვე და ამაური გადაწყდა?

გუშინ, გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაციით, "პალერმოსა" და "იუვენტუსის" მესვეურები **კარვალიო ამაურის** ტრანსფერზე შეთანხმდნენ. ამით წერტილი დაესვა საგას, რომელიც ლამის ერთი წელია გრძელდება. ბრაზილიელით "მილანიც" იყო დაინტერესებული, შესაბამისად, ფეხბურთელი სერია A-ს საბოლოო შედეგებს ელოდებოდა. რაკი "როსონერიმ" ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვა, ამაურიმ ბედი "ბებერ ქალბატონს" დაუკავშირა. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, ფორვარდის აგენტი **მარიანო გრიმალდი,** "იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** და "პალერმოს" სპორტული დირექტორი **რინო ფოსკი** დღეს დილით საბოლოო შეხვედრას გამართავენ და წერტილსაც დასვამენ.

ამაურის კონტრაქტი 4-წლიანია. ხელფასის სახით ის 3 მილიონ გირვანქას მიიღებს. "იუვენტუსს" კი გარიგება 9.5 მილიონი გირვანქა დაუჯდება. ამას გარდა, სიცილიელები სანახევრო უფლებებს მიიღებენ იმედისმომცემ ფორვარდ **დავიდე ლანცაფამეზე,** ხოლო **ანტონიო ნოჩერინოს** პირდაპირ "რენცო ბარბერაზე" უკრავენ თავს.

მილანი

# გატუზო რჩება, ბოლომდე

**ჯენარო გატუზომ** "მილანში" დარჩენა გადაწყვიტა. არადა, გუშინდელ მედიაში საუბარი იყო დაპირისპირებაზე, რომელიც "რინოსა" და "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** შორის მოხდა. როგორც ჩანს, ინფორმაცია, რომ გატუზომ "ბაიერნთან" წინასწარი შეთანხმება გააფორმა, მართალი იყო. გალიანიმ ფეხბურთელზე მეტისმეტად მკაცრ ტონში ისაუბრა და ირონიულად "მისტერ გატუზოდაც" მოიხსენია...

საბოლოოდ, ყველაფერი სამთა შეხვედრის დროს გადაწყდა. გალიანიმ, გატუზომ და **კარლო ანჩელოტიმ** დახურულ კარს მიღმა კარგა ხანს ისაუბრეს. ამ საუბრის საბოლოო შედეგი ის არის, რომ ჯენარომ "მილანს" ბედი კიდევ 3 წლით დაუკავშირა, ჟურნალისტებთან კომენტარისას კი ისიც გაამხილა, რომ კარიერას "სან სიროზე" დაასრულებს.

### ბოსნია უმწვრთნელოდ დარჩა

ბოსნიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **მეხო კოდროს** კარისაკენ მიუთითეს. მიზეზი ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებთან წარმოქმნილი უთანხმოებაა. 26 მაისს, ბოსნიელებს პოლონეთთან ამხანაგური მატჩი უნდა გაემართათ. მოულოდნელად, გეგმები შეიცვალა. ფედერაცია ირანელ კოლეგებს მოურიგდა და თეირანში, ადგილობრივ ნაკრებთან სპარინგს დასთანხმდა. კოდრომ და მისმა ასისტენტმა **ელვირ ბოლიჩმა** ამ გადაწყვეტილებას სასაცილო უწოდეს და ირანში გამგზავრებაზე უარი განაცხადეს. ფედერაცია იძულებული გახდა, ირანთან მატჩი გადაედო. მწვრთნელს სასწრაფოდ შეუწყვიტა კონტრაქტი და ნაკრების გაძღოლა დროებით ახალგაზრდული ნაკრების თავკაც **დენიალ პირიჩს** დაავალა. 1 ივნისს, აზერბაიჯანთან მატჩში, გუნდს სწორედ ის გაუძღვება.

არსენალი

# გომესი თუ სანტა კრუსი?

## ვენგერმა ტურამს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა

"არსენალმა" "ბლექბერნთან" მოლაპარაკებები წამოიწყო. "მეთოფეებს" პარაგვაელი თავდამსხმელის, **როკე სანტა კრუსის** შეძენა სურთ. 26 წლის სანტა კრუსს **ემანუელ ადებაიორის** შემცვლელად განიხილავენ. ტოგოელმა ფორვარდმა, შეიძლება, რომელიმე იტალიურ გრანდს მიაშუროს. ადებაიორს "ბარსელონაც" ეპატიჟება. ის "არსენალის" საუკეთესო ბომბარდირია, თუმცა კვირაში მხოლოდ 50 ათას ევროს უხდიან. "ბლექბერნი" სანტა კრუსის გაყიდვას არ აპირებს. ფეხბურთელს ლონდონში შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. "არსენალი" "ბარსელონის" ცენტრალურ მცველ **ლილიან ტურამსაც** ეპატიჟება. 36 წლის ვარსკვლავს კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ის ლონდონში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა. **არსენ ვენგერი** თანამემამულეს ერთწლიან კონტრაქტს შესთავაზებს.


მეთოფეებმა როკე სანტა კრუსს ლონდონში უხმეს

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც ინგლისურმა სააგენტოებმა გუშინ გაავრცელეს. „დეილი მეილის" მტკიცებით, „შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **მარიო გომესი,** შეიძლება, "არსენალში" ჩაირიცხოს. 22 წლის ფეხბურთელს „ჩელსი", „რეალი", „მილანი" და „იუვენტუსი" აკვირდებიან. შვაბები გომესის სანაცვლოდ 10 მილიონი ევროს ითხოვენ. ეს თანხა არცერთი ევროპული გრანდისათვის არ წარმოადგენს პრობლემას, მაგრამ როგორც ჩანს, მარიო ყველაზე მეტად „არსენალს" უნდა. იმავე გამოცემაში ვკითხულობთ, რომ ჩამოთვლილ კლუბთაგან ფეხბურთელს ყველაზე სარფიანი კონტრაქტი „მეთოფეებმა" შესთავაზეს. ამიტომ თუ ის „შტუტგარტიდან" წავა, „არსენალში" ჩაირიცხება. კლუბებს, ან ფეხბურთელს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

ლივერპული

# რიერა ენფილდზე

## მერსისაიდელები სამ მეკარეს უშვებენ, ბერისა და კრაუჩის საკითხები გაურკვეველია...

"ლივერპულმა" "ესპანიოლის" მარცხენა გარემარბ **ალბერტ რიერას** დაადგა თვალი. ესპანეთის ნაკრების 26 წლის მოთამაშეს "ტოტენჰემი", "რეალი", "ბარსელონა" და "ფიორენტინაც" აკვირდებიან. თუ ფეხბურთელი "ენფილდზე" გადავა, ბარსელონელებს, რამდენიმე მილიონი ევროს გარდა, ახალგაზრდა არგენტინელ მცველ **სებასტიან ლეტოსაც** დაუთმობენ. ლივერპულელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "სანის" ცნობით, კლუბი "მანჩესტერ სიტისა" და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალურ ნახევარმცველ **მაიკლ ჯონსონს** ყიდულობს. მერსისაიდელებს ეს სიამოვნება 8.5 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"ლივერპულის" გოლკიპერ **სკოტ კარსონს** "ასტონ ვილაში" გადასვლა სურს. მან გასული სეზონიც "ვილა პარკზე" გაატარა, ოღონდ ერთწლიანი იჯარით, რის სანაცვლოდაც მერსისაიდელებმა 1.5 მილიონი გირვანქა მიითვალეს. ბირმინგემელთა თავკაც **მარტინ ონილს** 22 წლის მეკარის გამოსყიდვა სურს. "ლივერპული" კი 10 მილიონ გირვანქას ითხოვს. კარსონმა ამ თანხას სასაცილო უწოდა. მან კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვა, ნუ ჩაუშლიან ტრანსფერს არარეალური ფასის მოთხოვნით.

კარსონი "ლივერპულში" 2005 წელს ჩაირიცხა. მან სამი წლის განმავლობაში სამ კლუბში იჯარით თამაში მოასწრო ("ასტონ ვილამდე", "შეფილდ უენსდეისა" და "ჩარლტონში"). კარსონის შეძენა "ფულჰემსაც" სურს (ლონდონელთა ორივე მეკარე - კეისი კელერი და ანტი ნიემი 30 წელსაა გადაცილებული), მაგრამ ფასის გამო, მოლაპარაკებების დაწყებისაგან ისიც თავს იკავებს.

კარსონის გარდა, "ენფილდს" კიდევ ორი მეკარე დატოვებს - **პეპე რეინას** დუბლიორი **ჩარლზ იტანჯე** (რომელმაც გასულ სეზონში შვიდჯერ ითამაშა და მხოლოდ ერთ მატჩში არ გაუშვა გოლი) და სათადარიგო გუნდის მეკარე **დევიდ მარტინი.** ამ უკანასკნელს ერთწლიანი იჯარით გაუშვებენ. **რაფა ბენიტესს** რეინას დუბლიორი სჭირდება. მას ბირმინგემელი **მაიკ ტეილორის** შეძენა სურს.

მარტინ ონილმა უარყო სპეკულაციები, თითქოს **გარეთ ბერის** "ლივერპულში" გადასვლა გადაწყვეტილი იყოს. 27 წლის ბერი ბირმინგემელთა კაპიტანია. მერსისაიდელები "ვილას" 10 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. ბირმინგემელებმა ფეხბურთელს ხელფასის გაზრდა აღუთქვეს. მოლაპარაკებები გრძელდება. მიმომხილველთა ვარაუდით, თუ "ლივერპული" რამდენიმე მილიონს დაამატებს, ბერის უპრობლემოდ ჩაიგდებს ხელში.


ალბერტ რიერა

"პორტსმუთი" არ ადასტურებს ინფორმაციას **პიტერ კრაუჩთან** მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. სპეკულაციების თანახმად, ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი "ლივერპულიდან" მიდის. "სანი" იუწყება, რომ ფეხბურთელის შეძენა ყველაზე მეტად "პორტსმუთის" თავკაც **ჰარი რედნაპს** სურს. პიტერი "საუთჰემპტონშიც" რედნაპის შეგირდი იყო.


ეს მოსალოდნელი იყო: თომას დოლი დორტმუნდის ბორუსიის მთავარი მწვრთნელი აღარ არის

დორტმუნდი

# დოლი წავიდა!

## ბეენჰაკერი უარზეა, რას იტყვის კლოპი?

ორშაბათის ნომერში, გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მიმოხილვაში ვწერდით, რომ **თომას დოლს** დორტმუნდის "ბორუსიის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდხანს აღარავინ გააჩერებდა და აი, დღეს შეგვიძლია გამცნოთ, რომ თომასი BVB-ს თავკაცი აღარ არის. მწვრთნელმა ვესტფალიური კლუბის ბაზა გუშინ ყოველგვარი კომენტარის გარეშე დატოვა, ჟურნალისტებს ის კი მიაძახა, მორჩა, საერთოდ მივდივარო. დორტმუნდული კლუბის ოფიციალური განცხადება ასეთია: ნაშუადღევს დოლმა მენეჯერ **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** და სპორტულ დირექტორ **მიხაელ ცორკს** განცხადება შეუტანა და გაშვება მოსთხოვა. ბოსებმა თომასის "თხოვნა" მაშინვე დააკმაყოფილეს. არაოფიციალური ვერსია კი ასეთია: ბოსებმა თომასს სხვა გზა აღარ დაუტოვებს გარდა იმისა, რომ გადამდგარიყო.

შესაძლოა, ბევრმა იფიქროს, რომ თომასის წასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ბოლო ტურში განცდილი მარცხია (2:4 "ვოლფსბურგთან", საკუთარ მოედანზე), მაგრამ ფაქტია, დორტმუნდელებმა ამ უქმეებზე გასრულებულ სეზონში უფრო სამარცხვინო წაგებებიც განიცადეს. და ზოგადად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბორუსიას" დოლის ხელში უფრო უარესი შედეგები ჰქონდა, ვიდრე მისი წინამორბედის, **ბერტ ვან მარვიიკის** დროს. თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ "ვოლფსბურგთან" მარცხი შეფების მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ თომასმა გუნდი გერმანიის თასის ფინალში გაიყვანა, საიდანაც "ბორუსიამ" უეფას თასზე თამაში გაინაღდა, სეზონი (მე-13 ადგილი) იმდენად უარყოფითად შეფასდა, რომ წინდაწინვე ცნობილი იყო, დოლის დღეები "დორტმუნდის" თავკაცის რანგში დათვლილი იყო.

არადა, თომასის კონტრაქტს ვადა 2010 წლამდე ჰქონდა და სხვათა შორის, ახალი ხელშეკრულება მან თებერვალში გააფორმა. ხელმძღვანელები მწვრთნელს უამრავი ფაქტორის გამო ემდუროდნენ. ერთ-ერთი უმთავრესი კი ის გახლდათ, რომ ვესტფალიის სიამაყე "ბორუსიამ", ამ სეზონში 62 (!) გოლი გაუშვა და ბუნდესლიგაში ამ მხრივ ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, თომასის შემცვლელად ყველაზე რეალური კანდიდატი "მაინცის" ახლა უკვე ყოფილი დამრიგებელი **იურგენ კლოპია,** რომელსაც გასულ შაბათს ხსენებულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა. კლოპი "მაინცის" სიამაყეა - ამ გუნდში მან 18 წელი (ჯერ როგორც ფეხბურთელმა, მერე როგორც მწვრთნელმა) გაატარა და კლუბის ფანებს ის ძალიან უყვარდათ. იურგენმა აქტიური სპორტული კარიერის დროს, "მაინცის" რიგებში 325 მატჩი ჩაატარა და 52 გოლი გაიტანა (მეორე ბუნდესლიგა). გუნდის მთავარ მწვრთნელად ის 2001 წლის 28 თებერვალს დაინიშნა. მის ხელში მაინცელებმა, არსებობის განმავლობაში პირველად, ელიტაში აღზევება მოახერხეს (2004 წელს) და მხოლოდ შარშანღა გავარდნენ. ჯერ კიდევ გასულ კვირას გახდა ცნობილი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მაინცელები ელიტაში არ დაბრუნდებოდნენ (შანსი ბოლო ტურამდე ჰქონდათ), კლოპთან ახალი კონტრაქტი აღარ გაფორმდებოდა. "დორტმუნდის" ხელმძღვანელები იურგენთან მოლაპარაკებებს ადასტურებენ. ჩნდება ეჭვი, რომ ისინი კლოპს მინიმუმ ერთი თვის წინათ მოურიგდნენ, დოლი კი იძულებული გახადეს, განცხადება დაეწერა. აქვე გეტყვით, რომ ერთ-ერთმა კანდიდატმა, **ლეო ბეენჰაკერმა** ვესტფალიელთა გაწვრთნა იუარა.

თომას დოლმა BVB 2007 წლის 13 მარტს ჩაიბარა და მაშინ ამ პოსტზე **იურგენ რიობერი** შეცვალა, რის შემდეგაც მან "ბორუსია" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნა (შარშან "დორტმუნდმა" მე-9 ადგილი დაიკავა). წლეულს კი, როგორც გითხარით, ვესტფალიელები მე-13 ადგილზე გავიდნენ და უნდა გითხრათ, რომ ეს ბოლო 20 წლის განმავლობაში "ბორუსიის" ყველაზე ცუდი შედეგია...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ლაპორტა: რონალდინიო პატივით გაცილებას იმსახურებს

## პრეზიდენტმა პირველად აღიარა, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავის კატალონიური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. წასასვლელად ემზადება ეტოოც, გუარდიოლა კი გეგმებს ჯერ არ ამხელს

პეპ გუარდიოლა მომავალი სამუშაოს შესახებ კომენტარების გაკეთებას არ ჩქარობს. ის ისევ "ბარსელონის" სარეზერვო გუნდის მწვრთნელია. მისმა შეგირდებმა ტერსერა ლიგა მოიგეს. ახლა გუნდი სეგუნდა B-ში გადასასვლელი პლეიოფებისთვის ემზადება. გუარდიოლა დიდი "ბარსელონის" საქმეებს მხოლოდ ამ მატჩების შემდეგ გადაიბარებს. ესპანელი მიმომხილველები ამ დღეს მოუთმენლად ელოდებიან:

*"სალაპარაკოდ დრო თავზესაყრელად გვექნება. მაგრამ ამ კვირაში მხოლოდ მომავალ მეტოქეზე უნდა ვიფიქრო. ჩემმა ფეხბურთელებმა მაღალ ლიგაში გადასვლა დაიმსახურეს. უსამართლობა იქნებოდა, საერთო საქმის ნაცვლად, ჩემს პირად საქმეებზე მეფიქრა. ლიგაში პირველი ადგილის დაკავება უხმაუროდ აღვნიშნეთ. წინ კიდევ ოთხი უმნიშვნელოვანესი მატჩი გველოდება. ზეიმი მოიცდის."*

გუარდიოლამ უკომენტაროდ დატოვა სპეკულაციები მის ასისტენტად **ლუის ენრიკეს** შესაძლო დანიშვნის თაობაზე. არსებობს სხვაგვარი ინფორმაციაც: რომ ლუის ენრიკე ბარსელონა B-ში გუარდიოლას შემცვლელად დაინიშნება. პეპმა ძველი მეგობრის შესახებ მხოლოდ ეს განაცხადა: *"მას ძალიან უნდა მწვრთნელობა. მისი ენთუზიაზმითა და გამოცდილებით, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ თანამდებობაზე წარმატებას მიაღწევს."*

მიმომხილველებს არა მარტო გუარდიოლას მოსაზრებები აინტერესებთ. ისინი **ტიერი ანრისაც** დაუკავშირდნენ და ცვლილებების შესახებ ჰკითხეს. ანრიმ მიუგო - ჯერ არ ვიცი, დავჭირდები არა ახალ მწვრთნელს. არ გამოვრიცხავ, ახალი სამსახურის მოძებნა მომიხდესო.

ანრის თაობაზე მითქმა-მოთქმა არ ცხრება. ტიერის ესპანეთში რთული სადებიუტო სეზონი ჰქონდა. მისგან უფრო მეტს ელოდნენ. ფეხბურთელს ესპანურ ლიგაში ადაპტაცია გაუჭირდა. ამიტომ შეიძლება ინგლისში დაბრუნდესო. სპეკულაციებს ფრანკ რაიკაარდის გათავისუფლებაც დაემატა. ტიერი "ბარსელონაში" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გადაიყვანა. ახალ მწვრთნელს მისი სამსახური შეიძლება აღარ დასჭირდეს.

*"ხოსეპ გუარდიოლას რამდენჯერმე შევხვედრივარ. გვისაუბრია კიდეც, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რას აპირებს, აქვს თუ არა ჩემი იმედი, აპირებს თუ არა ჩემს თამაშს და თუ აპირებს, რა პოზიციაზე,"* - ამბობს ანრი. რაიკაარდი ტიერის სამკაციანი თავდასხმის მარცხენა ფლანგზე აყენებდა. "ბარსელონა" "არსენალზე" უფრო ნელ ტემპში თამაშობს. ფორვარდს ახალი სქემისა და ტემპისთვის მოუხდა ფეხის აწყობა. მან ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომა მთელი სეზონის განმავლობაში ვერ მოახერხა.

უარყოფითი გავლენა მოახდინა ტრავმებმაც. დაახლოებით ერთი თვით ესპანურ გაზეთებში გაჩნდა ინფორმაცია ანრით "ნიუკასლისა" და "ასტონ ვილის" დაინტერესების თაობაზე. სპეკულაციებმა ფეხბურთელის ყურამდეც მიაღწია. ტიერი ამ საკითხზე კომენტარების გაკეთებისაგან თავს იკავებს. ის აპირებს, რამდენიმე დღე დაისვენოს, შემდეგ ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადოს და საკლუბო საქმეებზე მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ფიქრი: *"უკომენტაროდ და უყურადღებოდ დავტოვებ ყველაფერს, რაც ჩემს შესახებ მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში დაიწერება. ბარსელონურ კონტრაქტში კიდევ სამი წელი მაქვს. ამ წუთისთვის ბარსელონას ვეკუთვნი. თუ კლუბი გადაწყვეტს, რომ მე აღარ ვჭირდები, მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებ ფიქრს სამომავლო გეგმებზე."*

სანამ გუარდიოლა ახალი სამუშაოსთვის მოიცლიდეს და ტრანსფერებზე დაიწყებდეს მუშაობას, შემოგთავაზებთ იმ ცნობებს, რომელსაც ესპანური გაზეთები ავრცელებენ. ბოლო ორი დღის განმავლობაში ბევრს წერენ აიაქსელი **კლაას იან ჰუნტელაარისა** და ინტერელი **კრისტიან კივუს** შესაძლო ტრანსფერების შესახებ. შემადგენლობას გადახალისება სჭირდება. ხუმრობა ხომ არ არის: კატალონიურმა გიგანტმა ორი სეზონი უტიტულოდ გაატარა.

კლუბს არა ერთი ვარსკვლავი დატოვებს. წამსვლელთა სიაში არიან **სამუელ ეტოო, რონალდინიო** და **ჯოვანი დოს სანტოსი**. გუარდიოლას კვალიფიციური თავდამსხმელი დასჭირდება. "მარკა" იუწყება, რომ "ბარსელონის" უპირველესი სამიზნე **ქარიმ ბენზემაა**. ჰუნტელაარს კი იმ შემთხვევაში იყიდიან, თუ ლიონელი ფორვარდის ტრანსფერი არ შედგებაო. ჰოლანდიურ წყაროებს თუ დავუჯერებთ, ჰუნტელაარი "აიაქსში" კიდევ ერთ სეზონს გაატარებს. მისი დარჩენა ამსტერდამელთა მომავალ მწვრთნელთან, **მარკო ვან ბასტენთან** შეხვედრის შემდეგ გადაწყდა.

რაც შეეხება კივუს, "ბარსას" რუმინელი ვარსკვლავი გასულ ზაფხულსაც სურდა, მაგრამ მან "ინტერს" მიაშურა. კრისტიანს წელიწადში 4.5 მილიონ ევროს უხდიან. "ნერაძურიმ" ეს-ესაა სკუდეტო მოიგო. ფეხბურთელს უკმაყოფილების არავითარი საფუძველი არა გააჩნია, მაგრამ მას არც არასოდეს დაუმალავს, რომ "ბარსელონაში" თამაში სურს. ამიტომ თუ კატალონიელები დიდ ფულს ჩამოვლენ, ტრანსფერი შეიძლება შედგეს. კივუს აგენტიც ამას ამბობს - ნურაფერს გამორიცხავთო.

და აი, ინფორმაცია, რომელიც ესპანურმა სააგენტოებმა გუშინ გაავრცელეს. "ბარსელონის" პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ** განაცხადა - რონალდინიოს გარემოს შეცვლა სჭირდებაო. ეტოოს შესახებ კი თქვა - თუ წავა, სათანადო პატივით უნდა გავაცილოთო. რონალდინიოს წასვლაზე რამდენიმე თვეა საუბრობენ. იმასაც ამბობენ, თუ გუნდი არ გაუშვებს, ფეხბურთელი თავად გამოისყიდის საკუთარ კონტრაქტს და ახალ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურებსო.

ლაპორტას ჰკითხეს, სეზონის ბოლოს რონალდინიოს რატომ აღარ ათამაშებდნენო. პრეზიდენტმა მიუგო: *"მე გუნდის ხელმძღვანელი ვარ და ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს, მაგრამ შემადგენლობის საკითხები მწვრთნელის გადასაწყვეტია. მე მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებები შემიძლია, გაგიზიაროთ: ნათელი იყო, რომ რონალდინიოს ტემპის აყოლა უჭირდა. არა მგონია, ეს ენთუზიაზმის არარსებობის, ანდა პირადი ცხოვრების ბრალი ყოფილიყო. მწვრთნელმა დაინახა ის, რასაც ყველა თვალნათლივ ხედავდა და გადაწყვიტა აღარ ეხმო. გთხოვთ, გაითვალისწინოთ - ერთია, როდესაც შემადგენლობაში არ გაყენებენ და მეორე, როდესაც გუნდიდან გაგდებენ. რონალდინიო გუნდიდან არავის გაუგდია."*

ლაპორტამ ისიც აღიარა, რომ ერთი წლის წინ "ბარსელონის" ხელმძღვანელობა სერიოზულად განიხილავდა ბრაზილიელი ვარსკვლავის გაყიდვის საკითხს, მაგრამ საბოლოოდ მისი შენარჩუნება არჩია იმ იმედით, რომ რონალდინიო ოპტიმალურ ფორმას აღიდგენდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა:

*"რონალდინიო ნამდვილი პროფესიონალია. მას "ბარსელონისთვის" საუცხოო შედეგები მოჰქონდა. ამიტომაც მივიჩნიეთ, რომ კლუბში დარჩენას იმსახურებდა. ჩემი აზრით, მას ახალი გამოწვევა სჭირდება. ყველა პროფესიონალისთვის დგება მომენტი, როდესაც მან გარემო უნდა შეიცვალოს. მინდა, რომ რონალდინიომ, რაიკაარდის მსგავსად, "ბარსელონა" სადარბაზო კარიდან დატოვოს. ამასვე ვიტყოდი ეტოოს შესახებ. სამუელი ბოლო წლების ბარსელონის ერთ-ერთი სიმბოლო იყო. მან უთვალავი ბედნიერება მოგვანიჭა. ისიც დიდი პატივითა და სიყვარულით იმსახურებს გუნდიდან გაცილებას."*






ჰუნტელაარმა, შეიძლება, ბარსას მაისურა მოირგოს

ტოტენჰემი

# ეტოო: 24 მილიონად ლონდონში?

## კამერუნელს კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალ ხელფასს ჰპირდებიან, მამლებმა დეკუსაც დაადგეს თვალი

ტოტენჰემი" **სამუელ ეტოოს** შეძენას ცდილობს. "მამლებმა" "ბარსელონას" "მილანსა" და "ინტერზე" უკეთესი წინადადება შესთავაზეს. ესპანური სააგენტოების ცნობით, ლონდონელები 24 მილიონ გირვანქას იხდიან. ეს თანხა იტალიელებისას 8 მილიონით აღემატება. "ტოტენჰემში" გადასვლის შემთხვევაში, ფეხბურთელს კვირაში 107 ათას გირვანქას გადაუხდიან. კამერუნელი ვარსკვლავი კლუბის უმდიდრესი ფეხბურთელი გახდება. "მამლებს" ეტოო **დიმიტარ ბერბატოვის** შემცვლელად სჭირდებათ. ბულგარელი თავდამსხმელი სამსახურის შეცვლას აპირებს. მისი გაყიდვით მიღებული ფული ეტოოს ტრანსფერს მოხმარდება. კლუბის თავმჯდომარე **დანიელ ლევი** ბარსელონაში გამგზავრებასა და მოლაპარაკებების გამართვას აპირებდა. ვიზიტი გადაიდო. ის უახლოეს დღეებში შედგება. მიმომხილველები "ტოტენჰემის" შანსებს სკეპტიკურად უყურებენ. კლუბი ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს. მან მხოლოდ უეფას თასის საგზური მოიპოვა (ლიგის თასის დაუფლებით). თუმცა **ხუანდე რამოსი** ისეთი გუნდის შექმნას აპირებს, რომელიც უეფას თასს დაეუფლება და პრემიერლიგის საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად იბრძოლებს.

რაც შეეხება ბერბატოვს, კლუბს მისი ტრანსფერის თაობაზე კონკრეტული შეთავაზება ჯერაც არ მიუღია. ეს ინფორმაცია "ტოტენჰემის" მეორე მწვრთნელმა **გუსტავო პოიეტმა** გაავრცელა. იანვრის ტრანსფერებისას დიმიტარი "ბარსელონამ" და "მანჩესტერ იუნაიტედმა" მოიკითხეს. ამ კლუბებს "მამლებთან" მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყიათ. ლონდონელები ჩქარობენ. მათ სურთ, ბერბატოვი იმ დრომდე გაყიდონ, სანამ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყება. ზაფხულის არდადეგების შემდეგ, კლუბი 3 ივლისს შეიკრიბება.

შეიძლება, "ტოტენჰემში" აღმოჩნდეს "ბარსელონის" კიდევ ერთი ვარსკვლავი **დეკუ** სოუზა. 30 წლის ნახევარმცველმა განაცხადა, რომ სამსახურის შეცვლა სურს: *"ბარსელონაში" თამაშით დიდი ხნის ოცნება ავიხდინე. "კამპ ნოუზე" ოთხი დაუვიწყარი სეზონი გავატარე... სიამოვნებით წავიდოდი იტალიაში, ან ინგლისში. ესპანეთში არ დავრჩები. პრიმერა დივიზიონში "ბარსელონის" დონის მხოლოდ ერთი კლუბია - მადრიდის "რეალი". "რეალში" გადასვლას კი კატეგორიულად გამოვრიცხავ."* "ტოტენჰემის" გარდა, დეკუს შეძენა "ჩელსისათ" სურდა. ინგლისურ კლუბებს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

"მამლები" ფეხბურთელების შეძენას ინგლისშიც აპირებენ. "უაით ჰარტ ლეინზე" "მანჩესტერ სიტის" კაპიტან **რიჩარდ დანს** ელიან. მას "სიტისთან" კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი. ამიტომაც საკმაოდ იაფი, 5 მილიონი გირვანქა ღირს. ირლანდიელ მცველს "ნიუკასლი", "ვესტ ჰემი" და "სანდერლენდიც" ეპატიჟებიან, მაგრამ მას "ტოტენჰემში" გადასვლა სურს. იქ ირლანდიის ნაკრების კიდევ ერთი ვარსკვლავი, **რობი კინი** თამაშობს. ლონდონელებს დაცვის ცენტრში პრობლემები აქვთ. მათ კაპიტანს, **ლედლი კინგს** ქრონიკული ტრავმები აქვს. რამოსმა სამი ცენტრალური მცველი - **რიკარდო როჩა, იუნეს კაბული** და **ენტონი გარდნერი** ტრანსფერზე დააყენა.

და კიდევ, მწვრთნელმა "ვესტ ჰემის" თავდამსხმელ, **დინ ეშტონსაც** დაადგა თვალი. 24 წლის ფეხბურთელი 15 მილიონი გირვანქა ღირს. ის ინგლისის ნაკრების კანდიდატად განიხილება. "ტოტენჰემს" "ვილიარეალის" მეკარის, **დიეგო ლოპესის** შეძენაც სურს. ეს უკანასკნელი "რეალის" სკოლის აღზრდილია. მას ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად მიიჩნევენ. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.



სამუელ ეტოომ, შეიძლება, ლონდონს მიაშუროს

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბუცები ლურსმანზე

# ტიტანურობის დასასრული

"ბაიერნს" ჰყავდა ფეხბურთელები, რომლებიც ისტორიას თუნდაც ერთი ქმედების გამო შემორჩნენ. მაგალითად, **დიტერ ჰიონესი**, რომელმაც 1982 წელს გერმანიის თასის ფინალში დასისხლიანებული თავით გადამწყვეტი გოლი გაიტანა (4:2 ნიურნბერგთან).

"ბაიერნს" ჰყავდა ისეთი ფეხბურთელებიც, რომლებიც ისტორიას რეკორდების (და არა მხოლოდ რეკორდების) გამო შემორჩნენ და ამ მხრივ საუკეთესო მაგალითი **გერდ მიულერია**, რომელმაც 1971/72 წლების სეზონში ბუნდესლიგაში 40 გოლი გაიტანა. და შანსი იმისა, რომ ნაციის ბომბარდირის ეს მიღწევა მომავალში ვინმემ გაიმეოროს, უმცირესია.

"ბაიერნს" ჰყავდა ისეთი მოთამაშეებიც, რომლებიც სხვა რომ არაფერი გაეკეთებინათ, მხოლოდ ერთი საქციელის გამო შემორჩებოდნენ ისტორიას და ამ შემთხვევაში უპრიანია, 1997 წელი გავიხსენოთ, როცა "ფრაიბურგთან" მატჩის დროს (0:0) **იურგენ კლინსმანმა** შეცვლის შემდეგ სარეკლამო აფიშას წიხლი უთავაზა დაააყირავა.

და "ბაიერნს" ჰყავდა (ხაზს ვუსვამთ, ჰყავდა და უკვე აღარ ჰყავს) **ოლივერ კანი**, ფეხბურთელი, რომელიც ისტორიას ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ასპექტის გამო შემორჩება. ოლი გერმანიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და მართალია, ამით ახალს არაფერს ვამბობთ, მაგრამ მოდით, მაინც გადავხედოთ მის კარიერას. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ბუნდესლიგაში "ტიტანად" წოდებულმა მეკარემ 557 მატჩი ჩაატარა! სხვა მიღწევებთან ერთად, ოლი "ბაიერნში" რვაჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და ექვსჯერ მოიგო გერმანიის თასი, რაც რეკორდია. გერმანიის თასი ექვსჯერ სხვა არცერთ ფეხბურთელს არ მოუგია, ხოლო, რაც შეეხება რვაგზის ჩემპიონობას - ასეთი მიღწევა, კანის გარდა მხოლოდ **მეჰმეთ შოლს** აქვს. საერთო ჯამში, ოლიმ ბუნდესლიგაში 195 მატჩი გაშვებული გოლის გარეშე ჩაამთავრა და აქედან, ზედიზედ 19 შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა.

გერმანული ფეხბურთისა და "რეკორდმაისტერის" ფანები არასდროს დაივიწყებენ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩს არგენტინასთან, როცა კანმა ყველა წყენა დაივიწყა, პენალტების სერიის დაწყებამდე, კონკურენტ **იენს ლემანთან** მივიდა, ხელი ჩამოართვა და წარმატებები უსურვა. არადა, ყველამ ვიცოდით და ვიცით, რომ იმ მომენტში კანს ლემანზე მეტად არავინ სძულდა. სხვათა შორის, წინა კვირაში კანი და ლემანი ტელეკომპანია ZDF-ის სპორტულ შოუში იყვნენ მიწვეულები.

ლემანი კანს: *"მიუხედავად ჩვენი დაუნდობელი მტრობისა, უნდა ვთქვა, რომ შენი შემართებითა და ბრძოლისუნარიანობით ყოველთვის მოხიბლული ვიყავი. შენ ხარ იმის მიზეზი, რომ ვარჯიშებზე თავი არასდროს დამიზოგავს. კონკურენცია და მით უმეტეს, ვინმესთან მტრობა ადამიანს მაგრად აძლიერებს. ყოველთვის ვიცოდი და მახსოვდა, რომ მიუნხენში თამაშობდა მეკარე, რომელიც შესაძლოა ჩემზე მეტს ვარჯიშობდა, რადგან უნდოდა, რომ ჩემზე ძლიერი ყოფილიყო. და ეს ფაქტი მეც მაძლიერებდა, მონდომებას მიათმაგებდა. კონკურენციის შეგრძნება 1998 წლის შემდეგ, როცა მე პირველად მოვხვდი გერმანიის ნაკრებში, ძალიან მეხმარებოდა. ამიტომაც გიხდი მადლობას!"*

რას იზამს ოლი მომავალში? ფაქტია, რომ ფეხბურთის გარეშე ვერ გაძლებს და რაღაც ფორმით აუცილებლად დაბრუნდება. გამორიცხული არ არის, რომ ეს სწორედ ტელეკომპანია ZDF-ში მოხდეს, რომლის ხელმძღვანელები "ტიტანთან" მოლაპარაკებებს აწარმოებენ - უნდათ, რომ შოუ გააკეთონ, რომელსაც TV-Titan დაერქმევა და რომლის წამყვანი კანი იქნება. უახლოეს მომავალში ოლი მხოლოდ დაისვენებს - 21-წლიანი კარიერის შემდეგ დასვენება და ხეირიანი განტვირთვა მართლაც სჭირდება.

კანი: *"ყოველთვის ვოცნებობდი იმაზე, კვირების ან თუნდაც თვეების განმავლობაში ზღვაში გემით მესეირნა. პირველ რიგში, ამ ოცნებას ავისრულებ - ვისეირნებ ოკეანეში და სხვას არაფერს გავაკეთებ."*

ფაქტია, რომ ეს მოგზაურობა მსოფლიოს სამგზის საუკეთესო მეკარისთვის (1999, 2000, 2001) გაცილებით მარტივი იქნება, ვიდრე მისი ემოციებით დატვირთული და უაღრესად წარმატებული კარიერა. ფეხბურთის თამაშისას ოლის ხომ მძიმე შემთხვევებიც ჰქონდა - მაგალითად, როცა ტრიბუნებიდან ბანანები დააყარეს ან როცა უსტვენდნენ. შურდათ? დიახ, რა თქმა უნდა, და მეტსაც გეტყვით: ეჯავრებოდათ კიდეც.

*"ოლიზე ხშირად ძალიან ცუდი რაღაცები მესმოდა და მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ყურადღება არ მიმექცია. ძალიან ხშირად მას ცუდ ადამიანად წარმოაჩენდნენ ხოლმე. არადა, ფაქტია, რომ დღესდღეობით მსოფლიო ფეხბურთს სწორედ ასეთი ტიპები აკლია,"* - ეს ოლის მამის, **როლფ კანის** სიტყვებია, რომელიც 1963-დან 1965 წლამდე პროფესიონალი ფეხბურთელი იყო და ბუნდესლიგაში, "კარლსრუეს" რიგებში 11 თამაში აქვს ჩატარებული.

გასულ შაბათს "ტიტანი" უკანასკნელად გავიდა მოედანზე, დიდ საფეხბურთო სცენაზე. ეს გახლდათ რიგით 557-ე მატჩი და "ალიანს არენაზე" შეკრებილი ქომაგებიც თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში ყვიროდნენ, ოლი, შენ საუკეთესო ხარ, ულრმესი მადლობა შესანიშნავი წლებისთვისო.

კანთან ერთად, მიუნხენელებმა **ოტმარ ჰიტცფელდიც** გააცილეს. მატჩის დაწყებამდე, მოედანზე ოფიციალური გამომშვიდობებისთვის უხმეს, მან თავი ველარ შეიკავა და ატირდა. ატირდა და "ბაიერნის" ბოსებიც აატირა - თვალები მენეჯერ **ული ჰიონესსა** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესაც** დაუსველდათ. შაბათსვე, მიუნხენში საფეხბურთო სცენიდან მსაჯი **მარკუს მერკი** და "ბაიერნის" მეკარეების მწვრთნელი, ლეგენდარული **ზეპ მაიერიც** გააცილეს.

ყველაფერთან ერთად, კანმა შაბათს კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. რაკი "ჰერტასთან" მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, ამ სეზონში საერთოდ 21 მიღებული გოლი დაუგროვდა. აქამდე, ერთ სეზონში გაშვებული გოლების მიხედვით საუკეთესო შედეგი **ოლივერ რეკს** ჰქონდა, რომელმაც 1987-88 წლების სეზონში "ვერდერის" რიგებში 22 გოლი გაუშვა. ჰიტცფელდმა მატჩის 88-ე წუთზე კანი **მიხაელ რენზინგით** შეცვალა - მეკარით, რომელმაც რეკორდმაისტერში უნდა შეცვალოს "ტიტანი". ალბათ ზედმეტია იმის დამატება, რომ კანს მთელი სტადიონი ფეხზე წამოუდგა.

მერე კი მერკმაც უკანასკნელად მისცა საფინალო სასტვენი და კანი ისევ მოედანზე შეიჭრა, რათა მიელო უკანასკნელი სიამოვნება და დოპინგი მომავალი დღეებისთვის, თვეებისთვის ან სულაც წლებისთვის - ფეხბურთის გარეშე.

ოლივერ კანს მხოლოდ ერთი ოცნება დარჩა აუხდენელი. ამას წინათ თქვა, ჩემს სტატისტიკას რომ გადახედოთ, აბსოლუტურად ყველა გრაფაში დიდი რიცხვები წერია და მხოლოდ ერთში ვკითხულობთ ნულსო. ალბათ მიხვდით, რომ გოლის გატანაზეა საუბარი. კარიერის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ სცადა პენალტის დარტყმა და ვერ გაიტანა. მას მერე თერთმეტმეტრიანის შესრულება აღარ უცდია და არც სურვილი გასჩენია. მაგრამ არა უშავს, იმდენი რამ აქვს გადატანილი, ამასაც შეეგუება როგორმე.

ფაქტია, ოლივერ კანი ფეხბურთს ძალიან დააკლდება...

**გოტფრიდ ლენცი**

გაგრძელება. დასაწყისი №41

# ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები



## ცარცი და ბურთი

იმის გამო, რომ ცარცი, რომლითაც სათამაშო სქემებს ხატავენ, ბურთზე წინ დააყენეს, თამაში სულ უფრო და უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ტაქტიკისკენ მიდრეკილ მეომრებს, ვიდრე განვითარებული აზროვნების მოთამაშეებს. მე ამას ვერ ვურიგდები. თამაში იმისთვის არსებობს, რომ სიხარული მოგვანიჭოს, სერიოზულობას გავექცეთ, სხვა ადამიანებთან დავმეგობრდეთ, ოდნავ უფრო ბედნიერები გავხდეთ. და პირიქით, "შედეგისადმი" ლტოლვაში ფაშისტურ საწყისებს ვხედავ, ვხედავ მსოფლიოს დამპყრობლებად და დამონებულებად, მდიდრებად და ღარიბებად, თეთრებად და შავებად, გამარჯვებულებად და დამარცხებულებად დაყოფას. ვერ ვიტან ასეთ მისწრაფებას, მის წინააღმდეგ ყოველთვის ავჯანყდები.

"სპორტივოს" მწვრთნელს, **უგო არდუსოს** ფიქრი უყვარდა, მაგრამ იდეები არ გააჩნდა. უფრო უარესი - მისი იდეები არასოდეს არაფრად ვარგოდა. მისი პრინციპული შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ თავი **ლუის სესარ მენოტი** ეგონა, არადა, გუნდში არ ჰყავდა **პასარელა, კემპესი, მარადონა**... მისი მმართველობა ხანგრძლივ მონოლოგებზე იყო აგებული.

ერთხელ, მორიგი ენაწყლიანობის დროს, უცებ თავი ასწია და მზერა **"ნეგრე" კარდოსოს** მიაპყრო, მარცხენა მცველს, წარსული დროის კუმირს, რომელსაც 40 წლის ასაკში ზედმეტი კილოგრამები უშლიდნენ ხელს და, მაინცა და მაინც, არც გონება უჭრიდა.

- კარდოსო, უნდა დაივიწყოთ თქვენი პოზიცია. დღეს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანებისთვის გვჭირდებით. უნდა გამოიყენოთ მთელი ფლანგი და განაპირა ფორვარდად ჩამოყალიბდეთ. როგორც კი ჩვენი გუნდი ბურთს ხელში ჩაიგდებს, ტყვიასავით წინ უნდა გავარდეთ.

კარდოსომ ერთი საპასუხო კითხვით, მიწაზე ჩამოიყვანა მწვრთნელი: *"და რომელ საათზე უნდა დავბრუნდე?"*

მეჩვენება, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთს, "ნეგრე" კარდოსოს რეალიზმი აკლია. განაპირა მცველები მოედნის შუაში თამაშობენ და პირიქით; მეურვეები წინ მიიწევენ, მეურვეობით კი, მათი მეტოქეები არიან დაკავებულნი, ბრაზილიელები ბასკებივით თამაშობენ, ბასკები ჰოლანდიელებივით, სახელგათქმულ "ბუტრეს ხუთეულს" სერიოზულ სამუშაოს ავალებენ. ამას იქამდე მივყავართ, რომ ფეხბურთში დომინირებას იწყებს კონსერვატიული, პროგნოზირებადი გეომეტრიული ტენდენციები. მთელს მსოფლიოში მწვრთნელები ძალაუფლებას საკუთარ ხელში იღებენ და ზოგიერთი მათგანი, მაგალითად **კალოს სალვადორ ბილარდო** პროგნოზირებს: *"ვხედავ ფეხბურთს თავდამსხმელების გარეშე"*.

მე მგონი, ეს იდეა იმაში მდგომარეობს, რომ გუნდი მცველებითა და შუა ხაზის მოთამაშეებით უნდა ჩამოყალიბდეს, ერთადერთხელ უნდა დაესხას თავს მეტოქის საჯარიმო მოედანს და მორჩა. და თუ თქვენ იტყვით, რომ ასეთი ფეხბურთი საშინელებაა, უვიცად მოგნათლავენ.

## როგორ არ უნდა წააგო

1998 წელს, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე მეტოქის შეჩერების ორმა ხერხმა საერთო ენა იპოვნა: იტალიური დაცვა და ნორვეგიული ტაქტიციზმი. პირველ შემთხვევაში, მოთამაშეს შეტევის წარმართვაში უშლიდნენ ხელს, მეორეში - კომპიუტერი ფიქრში უშლიდა ხელს. ეს სკოლები, რომლებიც გასწავლიან, როგორ არ უნდა წააგო მატჩი, მერვედფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. და თამაშის ყოველი წუთი გვარწმუნებდა იმაში, რომ ჩვენ, ფეხბურთის მოყვარულებს გვძარცვავდნენ. **პედრო ოჩოა**, შორეულ წარსულში ბრწყინვალე არგენტინელი ფეხბურთელი ბავშვური გულუბრყვილობით ხსნიდა, თუ რაში მდგომარეობდა შემოქმედებითი ფეხბურთის მომხიბვლელობა: *"ვფიქრობ თუ არა თამაშის დროს? ხანდახან კი, მაგრამ როცა ერთ მეტოქეს ვუვლი გვერდს, ჩემს წინ მეორე და მესამე აღიმართება და ამ დროს, ფეხები ავტომატურ რეჟიმში იწყებენ მუშაობას"*. დღეს ვინღა ფიქრობს ფეხებზე? ყველაფერი მწვრთნელის ტვინზე გადის. გუნდში თავისუფალი მოქმედების უფლება ერთ-ორი ფეხბურთელს აქვს და ისიც არამილიტარიზებულ ზონებში.

ფეხბურთი იდიოტიზმს ემსგავსება, ორი უმნიშვნელოვანესი სიტყვით: გამარჯვება ან წაგება. და მათ, ვინც სპორტის ამ სახეობაში მხოლოდ შედეგს ხედავს, ვურჩევ სტადიონზე 90-ე წუთისთვის მივიდეს, რათა ტაბლოს გახედოს. გამარჯვებულს - დიდება, წაგებულს - როზგი.

კარგად ვიცი, რას ნიშნავს მოსთხოვო სუსტ გუნდს შეტევაში წასვლა - ეს იგივეა, რომ ღარიბს ფულის შეგროვება ურჩიო. ამასთან, ქუჩაში ან ბარში ფეხბურთზე მოსაუბრენი ამტკიცებენ, რომ სულ უფრო და უფრო მცირდება სხვაობა ძლიერ და სუსტ გუნდებს შორის. თუ ასეთი რამ გეჩვენება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ორი ქმედება ერთმანეთს უახლოვდება. პირველი: ბევრი სუსტი გუნდი პარტიის მხოლოდ ნახევარს თამაშობს - თავს იცავს. ხოლო, როცა სურთ უფრო ძლიერებად წარმოაჩინონ თავი, საპირისპირო ეფექტს იღებენ, ანუ საკუთარ კარში ხუთ გოლს იღებენ. მეორე: ძლიერები ცდილობენ გაიტანონ პირველი გოლი, დანარჩენ დროს კი, ანგარიშის შენარჩუნებას ანდომებენ. ხოლო თუ მეორეს, მესამეს და ა.შ. გაიტანენ, სხვაობა სკანდალურ სახეს იღებს.

კითხვა: "რა მოვიმოქმედოთ, როცა გუნდები მთლიანად იკეტებიან?" პასუხი ძალიან მარტივი ჩანს: ის უნდა გაალო. ხოლო თუ როგორ უნდა გააკეთოეს, ამ კითხვით სჯობს საფეხბურთო თემის უხუცესებს ვკითხოთ. აი რას ამბობს სესარ ლუის მენოტი: *"როცა ჩვენ ვუტევთ, ტერიტორია მკვეთრად მცირდება, მაგრამ სიგანე ყოველთვის ერთი და იგივე რჩება - 70 მეტრი"*. გამოდის, რომ შეტევის მთელი ფრონტის გამოყენებას უნდა ეცადო.

სამწვრთნელო თემა ამოუწურავია და ამჯერად გენერლებზე დასკვნის გაკეთება ერთ ძველ ჯარისკაცს მივანდოთ. **ლუჩო სოსა**, არგენტინული ფეხბურთის "ოქროს" ეპოქის ალბათ, ყველაზე ელეგანტური განაპირა მცველი ამბობს: "ადრე, მწვრთნელს თავისი გუნდის ნებისმიერ ფეხბურთელზე ნაკლები წონა ჰქონდა, ახლა კი, ის თერთმეტივე ერთად აღებულზე მეტს უდრის. საერთოდ რაზეა საუბარი, როცა ის სათადარიგო მოთამაშეს მოედანზე შეშვებამდე სქემას უხაზავს, თუ როგორ უნდა ითამაშოს დარჩენილ წუთებში?!"

დაბოლოს ისტორია, რომელიც არ მჯერა, რომ სინამდვილეში არსებობდა. ის გამოხატავს მწვრთნელის პრეტენზიას, იყოს თამაშის აბსოლუტური მმართველი. გამარჯვების შემდეგ, ეიფორიაში მყოფი მწვრთნელი გასახდელის კარს აღებს, ხელებს მაღლა სწევს და ყვირის: *"ბრწყინვალე თამაში იყო. ისღა დამრჩენია საკუთარ თავს უნდა მივულოცო"*.

## ფეხბურთისთვის ცხოვრება

როცა თამაში მთავრდება და საფეხბურთო სპექტაკლი ისტორიის კუთვნილება ხდება, იწყება განვლილის გააზრებისა და ანალიზის პერიოდი. რამდენიმე საათის განმავლობაში, ფეხბურთელის აშლილი ნერვიული სისტემა გონებაში აღადგენს ბოლო მატჩის ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე ამაღელვებელ მომენტებს. რაღაც მიზეზით, ის ირჩევს გაფუჭებულ ეპიზოდებს, ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს... მაინც, რატომ არის წაგების გემო ასეთი მწარე და რატომ ავიწყდებათ გამარჯვებები ასე მალე? მაგალითად, მადრიდის "რეალში" გამარჯვებით გამოწვეული სიხარული მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე მთავრდება, მაგრამ წაგება, მომდევნო მატჩამდე არ აძლევს მოსვენებას. *"ჩვენთის გამარჯვება - ნორმაა და ამიტომაც არ ითვლება ის დიდ ზეიმად"*, - მიხსნიდნენ "რეალის" უხუცესები მაშინ, როცა თავიანთ რიგებში მიღებდნენ. ამაში დავრწმუნდი, როცა უეფას თასზე "ანდერლეხტს" 6:1 მოვუგეთ. ეს იყო ჩემი პირველი წვლილი კლუბის კეთილდღეობის საქმეში. ორი საათის შემდეგ, გუნდის კაპიტანმა მომდევნო თამაშის სადღეგრძელო წარმოთქვა. და მე მარტო დავრჩი, არ ვიცოდი ვისთან გამეზიარებინა ჩემი სიხარული, ვისთან მესაუბრა თამაშზე, ვისთან მომეხსნა გამოყოლილი დაძაბულობა. გახედვაც ვერ მოვასწარი, რომ ყველანი დასაძინებლად წავიდნენ.

ალბათ, არ არსებობს სხვა ისეთი გუნდი, სადაც გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს ასე უცებ ივიწყებდნენ. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არაფერია იმაზე ტკბილი, ვიდრე გასული მატჩის მომენტებს გახსენებითა და სასიამოვნო ემოციებით დაძინება. ეს არის შენს თავთან თანხმობის ერთგვარი პაქტი.

სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ თამაშის ცხელ გულზე განხილვის აუცილებლობას. როგორც წესი, მძიმე დღეებში ეს ტყუილი ბრალდებების გაცვლა-გამოცვლაა და მეტი არაფერი: ხან მსაჯის მისამართით, რომელიც თურმე ერთ მხარეს უსტვენდა, ხან მოწინააღმდეგის, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენზე ძლიერი არ იყო, უბრალოდ, ჩვენ წავაგეთ მატჩი. ყოველ გამოუყენებელ ასპროცენტიან მომენტში ყოველთვის დამნაშავე ბუცი გამოდის. ბედნიერ დღეებში კი, ეს ყველაფერი სხვანაირად გამოიყურება.

მწვრთნელები ვალდებულებების მიხედვით ოცნებობენ, დაფაზე თავიანთი ფანტაზიის ნაყოფს ხატავენ და მოთამაშეებს ჰოროსკოპის ფორმით ანვდიან. ისინი შეეჩვივნენ სათამაშო ტერიტორიის კვადრატებად დაყოფას, თითქოს მინდორი საჭადრაკო დაფა იყოს. აყენებენ იქ მოთამაშეებს და მათ პაიკებად აქცევენ. ერთადერთი, რაც მათ ხელს უშლის, ბურთია, არადა ის არის ამ თამაშში მთავარი. **გარაიკოეჩეამ**, არგენტინელმა კარიკატურისტმა გამოსახა მწვრთნელი, რომელიც თავის ფეხბურთელებს ინსტრუქციებს სასკოლო დაფაზე აძლევს. შუა მეცადინეობის დროს, ფანჯარა იმსხვრევა და ოთახში ბურთი ვარდება - ქუჩაში ვიღაც ბიჭმა ცუდად მოიქნია ფეხი. ყველაფერი ერთ ნახატშია: შუშა, დაფა, მოსწავლეების გაკვირვებული სახეები და მწვრთნელი, რომელიც გაოცებული უყურებს ოთახში შემოვარდნილ მრგვალ საგანს: **"კი მაგრამ, ეს რა არის?"**

ამასთან დაკავშირებით, მახსენდება არგენტინის ნაკრების მწვრთნელის, **ალფიო ბასილეს** ფრაზა, რომელიც თანამედროვედ ჟღერს და თან მისთვის დამახასიათებელი იუმორიც ახლავს თან: *"ჩემს მოთამაშეებს სწორად ვაყენებ, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ როცა თამაში იწყება, ისინი მოძრაობას იწყებენ"*. რა თქმა უნდა, ბურთთან ერთად.

**გია თვალაბეიშვილი**

გაგრძელება იქნება



ლუის სესარ მენოტი



კარლოს ბილარდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს XVI ჩემპიონატი. ფინალი. II მატჩი

# ცხვირის გატეხვა გერჩივნოს!

18 მაისი, რუსთავი
ფინალი
**ენერჯი-ავია 90:83**
31:25, 20:23, 13:19, 26:16

| ენერჯი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 38 | 26 | 4 | 4 | 2 | 0 |
| ბაბიაშვილი | 28 | 26 | 5 | 1 | 2 | 2 |
| სტეფანოვი | 27 | 10 | 10 | 3 | 0 | 0 |
| გოგოზერიშვილი | 28 | 10 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ჟოჟუა | 28 | 9 | 1 | 2 | 0 | 1 |
| ჩიტაშვილი | 26 | 8 | 2 | 3 | 3 | 0 |
| ტუჯანი | 24 | 1 | 7 | 0 | 0 | 1 |
| დიდია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **ავიამშენი** | **წთ** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** |
| ნიკოლაძე | 37 | 5 | 2 | 6 | 2 | 0 |
| კვიმსაძე | 36 | 9 | 5 | 4 | 2 | 0 |
| ტულუში | 40 | 22 | 8 | 6 | 1 | 0 |
| მათიაშვილი | 29 | 26 | 10 | 1 | 0 | 1 |
| მინაშვილი | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 1 |
| ბერაია | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| იმნაძე | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როდუმტა | 24 | 13 | 11 | 1 | 1 | 1 |

**მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი**
**სერიის ანგარიშია - 1:1**
მომდევნო მატჩი: 22 მაისი, სპორტის სასახლე

ფინალური სერიის პირველ მატჩში „ავიატორმა" კოტე ტულუშმა დაამტკიცა, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებს. გუშინ, მეორე შეხვედრაში იგივე დაამტკიცა ლაშა გამყრელიძემ. სხვათა შორის, კოტესაც და ლაშასაც ცხვირები აქვთ დაზიანებული და შესაბამისი დამცავი ატრიბუტებით თამაშობენ. ცხვირების ამბავით პარალელი იმიტომ გავავლე, რომ მეთქვა - ვინც თამაშობს ტრავმებსაც იღებს, სამაგიეროდ შედეგი უფასდება:

ისევე როგორც წინა დღეს კოტემ, გუშინ გამყრელიძემაც გადამწყვეტი ტყორცნა შეასრულა:

თითქმის ცენტრიდან ნასროლი ზუსტი სამქულიანით (სირენამდე წუთით ადრე) „ენერჯის" უპირატესობა 6 ქულამდე გაზარდა, 89:83 და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

მსაჯობა...

რეპორტაჟის არბიტრებზე საუბრით დაწყებას კი ვაპირებდი, მაგრამ ბოლო მომენტში გადავიფიქრე, რადგან შეიძლება ვინმეს ეფიქრა, სტატიის ავტორი „ენერჯის", უფრო სწორად გამყრელიძის გამარჯვების გაფერმკრთალებას ცდილობსო. მოდით, ლაშას თემა განვაგრძოთ და მსაჯებზე ბოლოს ვისაუბროთ. მათ ხომ ბოლოს გამოიდეს თავები.

თამაშის დასრულების შემდეგ ერთი სპეციალისტი ამბობდა - არც მსაჯობა მომეწონა და არც თამაშის ხარისხიო. მეორემ უთხრა, ხარისხს საქართველოში რატომ ეძებო. ვფიქრობ, ნაწილობრივ ორივე მართალია: მაღალი ხარისხის თამაშები მხოლოდ ევროლიგასა და NBA-შია, მაგრამ ხომ შეიძლება ქართულმა გუნდებმაცააწყონ თამაში და დალაგებული ტაქტიკით მეტ-ნაკლებად ხარისხიანი შეხვედრები გვიჩვენონ? მოკლედ ხარისხი კომბინაციურ თამაშს მოაქვს, ხოლო როცა შეტევითი ტაქტიკა დაცვითთან პირწმინდად აგებს, სწორედ ამას მოსდევს სანახაობრივი მხარის დაქვეითება. „ენერჯი"-"ავიას" გუშინდელ მატჩში შეტევას დაცვა სჯობნიდა. ასეთ დროს დაცვის მჯობნი მხოლოდ ინდივიდუალიზმია. ჰოდა, რუსთავში მოიგო იმან, ვისაც უკეთესად გამოუვიდა ინდივიდუალური ამაში - ისევ **ლაშა გამყრელიძეს** მივადექით. მან გადამწყვეტ მეოთხედში სამი სამქულიანი ჩააგდო, სწორედ იმდენი, რამდენიც საწყის სამ პერიოდში. საბოლოოდ ლაშას მონაგარმა 26 ქულა, 4-4 მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა შეადგინა. ასევე 26 ქულა მიითვალა ზვიად ბაბიაშვილმა, რომელიც ფარქვეშიდან კარგად უწყობდა მხარს გამყრელიძეს.

„ენერჯის" კალათბურთელებზე რადგან ვსაუბრობთ, **ბესიკ ლეჟავაც** უნდა ვახსენოთ. მან წინა მატჩში **რიჩარდ მათიაშვილთან** გაწევ-გამოწევის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო და მეორე შეხვედრის გამოტოვება მოუწია. გუშინ ლეჟავას გაძევების საკითხთან დაკავშირებით სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა და ვიდეოფირის გაშიფვრის შემდეგ გამოჩნდა, რომ ბესოს წაქცეული მათიაშვილისთვის ფეხი არ ჩაურტყამს, აგრესიულად გაიწია რიჩარდისკენ და ხელი ჰკრა. „ასეთ რამეებზე მხოლოდ ტექნიკურებს იძლევიან და ძალიან მაინტერესებს, თუკი სადისციპლინო კომიტეტმა დაინახა, რომ გაძევებას არ ვიმსახურებდი, მაშინ რატომ არ შეცვალა გადაწყვეტილება და მეორე მატჩი რატომ გამომატოვებინა?" - ლოგიკურ კითხვას სვამს დასჯილი ლეჟავა.

დავუბრუნდეთ გუშინდელ მატჩს, რომლის დროსაც „ავიატორებისგან" არაერთხელ გაიგებდით - **მაჩალაძე** მხოლოდ ჩვენ საწინააღმდეგოდ სტვენსო. ბოლო ორ წუთში უამრავი სადავო ეპიზოდი იყო: ნიკოლაძე ფარქვეშ შევიდა და წაიქცა, ბურთი ჯერ პირით ხაზს მიღმა, შემდეგ გვერდითი ხაზიდან სადავო ვითარებაში გადავიდა, კოტე ტულუშმა დაჯარიმებიდან მეორე წამში ბურთი ისე ისროლა, მოძრაობის ტრაექტორია არ შეუცვლია და ჩააგდო, მაგრამ არ ჩაითვალა... ჰოდა, ბოლო ორ წუთში მსაჯებს ხელი „ენერჯის" მხარეს ერთხელაც არ გაუშვერიათ. კოტე ტულუშის სროლის მომენტში იქვე იდგნენ ზაზა მაჩალაძე და დავით ბერეკაშვილი, რომლებმაც მხრები აიჩეჩეს, ვერ გაარკვიეს ჩაეთვალათ თუ არა და დახმარებისთვის უკან მდგომ არბიტრ მაკა კუპატაძეს უხმეს, რომელმაც ბურთი არ ჩათვალა. არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად ორქულიანი უნდა დაფიქსირებულიყო, ეს ჩემზე უკეთ მსაჯებმა იციან, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იციან, იმ ეპიზოდში არ უნდა შეყოყმანებულიყვნენ, თუ სიმართლის დაფიქსირება არ ერიდებოდათ...



გამყრელიძე (ბურთით) ტულუშის წინააღმდეგ

ზემოთაც ვთქვი, რომ რუსთაველები მსაჯების დაუხმარებლადაც მოიგებდნენ, მაგრამ ის, რასაც ნეიტრალური ადამიანიც ხედავს, გაზეთის ფურცლებზე აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს.

**„ავიასა" და „ენერჯის" მესამე შეხვედრა 22 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი. გიორგი ცინცაძე

# კალევი აიბუეს

**ვინც გიორგი ცინცაძის დღიურებს კითხულობდა, ემახსოვრება, რა თქვა გიორგიმ ესტონეთის პირველობის ფინალური სერიის მესამე მატჩზე: გასვლაზე "კალევი" ერთხელ მაინც თუ დავამარცხეთ, კარგი იქნება, ხოლო ამ ორიდან პირველი თუ მოვიგეთ, ჩემპიონობა ჯიბეში უნდა დავიგულოთო.**

მისი სურვილი გამართლდა და "ტარტუ როკმა" "კალევი" ტალინში 73:63 დაამარცხა. მატჩის მსვლელობაზე ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, მეოთხედების ანგარიშებს გადავხედოთ: "კალევი"-"როკი" 15:22, 21:14, 17:23, 10:14. როგორც ხედავთ, ცინცაძის თანაგუნდელებმა სამ პერიოდში მოახერხეს მეტოქის ძლევა, შესაბამისად გამარჯვებაც "კალევზე" მეტად ეკუთვნოდათ.

ეს სასიამოვნო ამბავია, მაგრამ უფრო სასიხარულო ის გახლავთ, რომ "როკერთა" წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი ქართველ გამთამაშებელს მიუძღვის. გიორგი ცინცაძე არა მხოლოდ "ტარტუს", არამედ მთლიანად მატჩის სნაიპერი გახდა. თუ წინა ორ შეხვედრაში მან 9 და 11 ქულა ჩააგდო, მესამე ცდაზე ეს რიცხვები დააჯამა, ერთიც მიუმატა და 21 ქულას მოუყარა თავი. მატჩის ბომბარდირობა რეალიზაციის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის გარეშე წარმოუდგენელია: ბუმ 4-დან 2 ორქულიანი, 9-დან 5 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. 21 ქულის გარდა გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 4 შედეგიანი გადაცემა და თითო ჩაჭრა-მოხსნაა. მწვრთნელმა გიორგი მხოლოდ 76 წამით დაასვენა.

ვიცე-სნაიპერობას დასჯერდა წინა მატჩებში "როკის" მთავარი მექულე **ბრაიან კუსვორსი** – 20 ქულა.


ცინცაძე კალევთან მატჩში

ესტონეთის ჩემპიონატის მეოთხე ფინალი ისევ ტალინში, "კალევის" მოედანზე 21 მაისს გაიმართება. ვნახოთ, "როკერები" ოქროს მედლებს ესტონეთის დედაქალაქში ჩამოიკიდებენ, თუ მეხუთე მატჩს დაელოდებიან, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, 25 მაისს უნდა გაიმართოს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ტატიშვილის პირველი ტიტული

18 წლის **ანა ტატიშვილმა** ამერიკის ქალაქ რალიში ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის (25 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგი მოიგო. მან 19 წლის ამერიკელ **კიმბერლი კაუტსთან** (347) დუეტში ფინალში გააღწია, სადაც შვეიცარიელი **სტეფანია ბოფას** და ავსტრიელი **ნიკოლ როტმანს** მოუგო - 6:3, 6:4. ეს ანას პირველი ტიტულია პროფესიონალებში.

თურქულ სტამბოლში WTA-ს ტურნირის (200 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ვერ გააღწია 19 წლის **სოფიო შაფათავამ**, რომელმაც ფინალურ წრეში მეორე ნომრად განთესილ **ლიანა უნგურთან** (რუმინეთი) პირწმინდად წააგო - 1:6, 2:6. მატჩი 55 წუთს გაგრძელდა, გამარჯვების შემთხვევაში შაფათავა კარიერაში პირველად ითამაშებდა WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში.

მოსკოვის ტურნირის (25 ათასი დოლარი) პირველ საკვალიფიკაციო წრეში 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** 16 წლის რუსი **დარია კუჩმინა** დაამარცხა, თუმცა მოულოდნელად, დიდი ბრძოლის გადახდა მიიუწია - 6:4, 4:6, 6:4. მეორე წრეში ოქსანა მე-13 ნომრად განთესილმა ჰოლანდიელმა **მარლო მედენსმა** (747) გაანადგურა - 1:6, 0:6. ოქსანა წყვილთა თანრიგს შემორჩა, რუს **იულია ეფრემოვასთან** (537) დუეტში.

ისრაელში, რაანანას ტურნირში (10 ათასი დოლარი) მესამე ნომრად არის განთესილი **მანანა შაფაქიძე**, რომელიც პირველ წრეში მასპინძელ **ესტერ მასურის** ხვდება. ამერიკულ ლენდსვილში (10 ათასი დოლარი) ჩოგბურთს უნდა დაბრუნებოდა **სოფიო მელიქიშვილი**, რომელსაც მაჯის ტრავმის გამო ცხრა თვე გაუცდა, მაგრამ ბოლო მომენტში ის გათამაშებიდან მოიხსნა.

გუშინ WTA-ს ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, რომელშიც ქართველთათვის ბევრი საინტერესო ცვლილებაა. **მაკა ჩახნაშვილი** 166 ქულით 180-ე პოზიციაზეა, გასული კვირის შედეგს ეს სამი ადგილით სჯობს. ანა ტატიშვილმა კიდევ ოთხი ადგილით წაიწია წინ და კარიერის ახალი მიღწევა დააფიქსირა, ანას 101 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 257-ე ჩოგანია. მსოფლიოს 325-ე ჩოგანი გახდა სოფიო შაფათავა, მან 13 ადგილით წაიწია წინ (68 ქულა), ესეც კარიერის მიღწევაა. დიდი ნაბიჯი გადადგა წინ **თინათინ ყავლაშვილმა**, რომელმაც 43 საფეხურით წაიწია წინ და 37 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 479-ე ადგილი დაიკავა. ყავლაშვილმაც კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა. სხვები: 598 (-4) **სალომე დევიძე** - 23 ქულა, 645 (+19) ოქსანა კალაშნიკოვა - 19, 670 (+5) **სოფიო ქვაცაბაია** - 18, 693 (-81) მანანა შაფაქიძე - 17, 811 (+10) **ეკა გორგოძე** - 10, 934 (-) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6, 974 (-) სოფიო მელიქიშვილი - 5. ქვაცაბაიამ კარიერის საუკეთესო მიღწევა გააუმჯობესა, ხოლო მაგდა ოქრუაშვილი საერთოდ პირველად შევიდა ქალთა რეიტინგში.

ვაჟთა რეიტინგში **ლადო ჩიხლაძე** 458-ე ადგილზეა 62 ქულით, რაც გასული კვირის შედეგს 2 საფეხურით სჯობს. სხვები: 1225 (-4) **ნოდარ ითონიშვილი** - 4 ქულა, 1577 (-10) **გიორგი ჭანტურია** - 1, 1781 (-17) **გიორგი ხრიკაძე** - 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებამ შემოგვინახა

# გლდანელსაც არ აპატიეს

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ქართველი ფალავნები ყველგან და ყოველთვის ამჟღავნებდნენ რაინდულ სულს, განსხვავლად იცავდნენ ტრადიციების იმ პრინციპებს, რაც ჩადებულია ჩვენ ხალხურ საუნჯეში, ქართულ ჭიდაობაში. ამიტომ იყო, რომ ხალხი ტრადიციიდან გადახვევას არავის აპატიებდა, არც ლეგენდარულ კულა გლდანელს აპატიეს, რის შესახებ ინფორმაცია შემოგვინახა გაზეთმა „დროებამ“. აი, რას წერდა იგი:

„ჩვენ მიგიღეთ წერილში გაზეთში დასაბეჭდად:

ამას წინათ, დავესწარით ცირკში გლდანელის ჭიდაობას და მონაწილე ვიყავით იმ უკადრისის საქციელისა, რომელიც ამ გამოჩენილმა ფალავანმა ჭიდაობის დროს მოიმოქმედა. ის ეჭიდებოდა პატარძეულელ კაცს გვარად დალაქიშვილს და როცა რამდენჯერმე დასცა ძირს ხანში შესული მოჭიდავე, ორჯერ მუშტი ჩაარტყა ცხვირ-პირში. ეს საქციელი სწორედ გათამამებულის და, მივსცემთ ჩვენს თავს ნებას, გაბრიყვებულის კაცის საკადრისია და არა განთქმულის და სახელგავარდნილი ფალავნისა. ნაიძია კაცი თითქმის ქალარა-შეთეთრებული და არა ღონიერი, ორჯერ და სამჯერ დასცა ძირს. ესეც საკმარისი იყო მისთვის სულიერად და ხორციელად დასასჯელად, რომ კიდევ მუშტები არ ჩაერტყა დაცემულის კაცისათვის, რომელსაც სხვა არა იცოდა რა, როგორც ამბობენ, გლდანელის ტოლა შვილები ჰყავსო. ამ საზიზღრის საქციელით გლდანელმა ბევრი დაკარგა და ზიზღისა მეტი არა დაუმსახურებია-რა ხალხისა და საზოგადოებისაგან. ამგვარი ბარბაროსობა შეჰფეროდა ველურს და გაუთლელ ბრიყვს და არა ფალავანს, სახელის გმირს; გმირი მაშინ გმირობს, როცა სულ-გრძელობას იჩენს. არსენა იმიტომ არის საყვარელი ხალხისათვის, რომ მას კაცთმოყვარეობით ხელი არ შეუსვრია და მტერსაც სულგრძელობით ხვდებოდა. წარმოდგინეთ, რომ გლდანელის ნაცვლად ვინმე, ვთქვათ, თუგანინე ჩიტო კალატოზიშვილი და ამგვარი საქციელი ჩაიდინა. ხომ მას ორ დღეს აღარ აცოცხლებენ. და ჯერ ვინ იცის შერცხვა ის შეურაცხყოფა, რომელიც მან მიაყენა დალაქიშვილს, თუ არა; ჯერ კიდევ ვინ იცის დალაქიშვილის შეურაცხყოფას არ მიიღებს თავის შეურაცხყოფად ის სოფელი, ის მხარე, რომელსაც დალაქიშვილი ეკუთვნის?!

კაცი უნდა კაცი იყოს ყველგან და ყველა შემთხვევაში და ისეთ გმირს, როგორიც არის გლდანელი, ამგვარი საქციელი ყოვლადვარს მიზიდულობას დაუკარგავს ხალხისას და დღეს განთქმული და სახელგანთქმული, ხვალ შეიქმნება საზიზღარი და საქვეყნოდ თავლაფდასხმული. ხვალ რომ გლდანელი დაამარცხონ და ჩასცხონ ცხვირ-პირში, სასიამოვნო იქნება მისთვის?

ამაზედ უნდა იფიქროს გლდანელმაც და მისმა მფარველებმაც, რომელთაც არ შეჰფერის ამგვარი საქციელის ნაქეზება.“

(„დროება“ 1882 წ. №272).

იყო ასეთი შემთხვევა

# ანეკდოტი არ გეგონოთ

ᲐᲡᲔᲗᲘ სათაურით რუსულმა ჟურნალმა „ფიზკულტურა“, 1925 წელს გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღწერილი იყო ნამდვილი ამბავი, რაც თავს გადახდა თბილისის საფეხბურთო გუნდს. გაზეთი წერდა: „ახლახან ტიფლისის გუნდმა ორი მატჩი ჩაატარა ლონდონში. პირველ დღეს სტუმრები მოედნიდან უკმაყოფილონი გავიდნენ, მათ კარში 11 მეტრიანის მიკერძოებით, მასპინძლების სასარგებლოდ დანიშვნის გამო. თამაში შეწყდა.

მეორე დღეს იმავე მსაჯმა სტუმრებს განუცხადა, რომ გუშინდელ ჯარიმას მასპინძლები დღეს დაარტყამდნენ. დარტყმა შესრულდა, მაგრამ გოლი არ გავიდა. იქვე გაისმა მატჩის დასრულების მაუწყებელი იმავე მსაჯის სასტვენის ხმა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა მოედანზე თბილისელთა მეორე მეტოქე. ეს მატჩი უკვე სხვა არბიტრმა იმსაჯა“.

# ოქროს მზის ქალაქიდან




კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბელდუხ გავაშელიშვილი

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ქალაქ შაულიაიში დასრულდა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი ქამრიან ჭიდაობაში.

სიტყვა შაულიაი (საულიაი) ლიტვურად მზეს ნიშნავს. მზის ქალაქში, მართალია, ღრუბელი და წვიმა დაგვხვდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფიცხელი ორთაბრძოლები იყო ცენტრალურ სპორტულ დარბაზში.

13 ქვეყნის ქამრიან მორკინალთა შორის იყვნენ ქართველი მოჭიდავეები - 66, 81, 90 და +90 წონით კატეგორიაში. ქამრიანი ჭიდაობა ანუ ეროვნული, ტრადიციული ჭიდაობების ერთგვარი სინთეზი, იმითაცაა საინტერესო, რომ იქ ჭიდაობის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენელს შეუძლია მოსინჯოს ძალა. ამჯერად ჩვენები თავისუფალი სტილის მოჭიდავეებით წარდგნენ სარბიელზე.

საქართველოს ხუთეულიდან სამეულმა მედალი დაიმსახურა. შარშანდელის მსგავსად გვყავს ჩემპიონი - ბელდუხ გავაშელიშვილი (+90კგ) (მწვრთნელი ბიჭიკო პაპაშვილი და ზაზა თურმანიძე). 25 წლის თელაველი ფალავანი მესამედ ასპარეზობდა ქამრიანთა ევროპის ჩემპიონატზე და პირველად მედალი ოქროსი იგემა. ისე, რომ, შარშანდელის მსგავსად, მძიმე წონაში ევროპის ჩემპიონი ქართველი ქამრიანია.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს შარშანდელმა ფინალისტმა მალხაზ ქურდაძემ (66) და მალხაზ ჯორბენაძემ (90კგ), რომლისთვისაც ეს ზედიზედ მესამე „ბრინჯაოა“ ევროპის ჩემპიონატებზე.

ჩემპიონატის შემდეგ გაიმართა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. გამოცხადდა, რომ ფილამი გაწევრიანებას 27 მაისს მოეწყობა ხელი.

გაბრიელ ბარპაძე
შაულიაი-თბილისი

# პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოდან და სსრკ კავშირიდან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იყო **გივი კარტოზია.** ეს ტიტული მოიპოვა 1953 წელს. ამის შემდეგ მან კიდევ ორჯერ მოიგო მსოფლიოს პირველობა და 1956 წელს, მელბურნში, ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა.

**პირველმა** საქართველოს და სსრ კავშირის ოლიმპიური ოქროს მედალი ძიუდოში მოუტანა გორელმა ფალავანმა **შოთა ჩოჩიშვილმა.** იგი ოლიმპიურ ოქროს მედალს მიუნხენში, 1972 წლის ოლიმპიადაზე დაეუფლა.

**პირველად** ქალ მოჭადრაკეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული **ნონა გაფრინდაშვილმა** მოიპოვა 1962 წელს. ამის შემდეგ იგი კიდევ ოთხჯერ - 1965, 1969, 1972 და 1975 წლებში დაეუფლა ჩვენს პლანეტაზე უძლიერესის სახელს. ნონა ამავე დროს საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებულია.

# ესეც მეასე



ᲐᲡᲘ სამახსოვრო ბურთი, ხელნაკეთი, სურათებით განყობილი, უნიკალური, რომელსაც ანალოგი არ დაეძებნება. იდეა 1982 წელს, ბავშვობის მეგობრის ლეგენდარული ვიტალი დარასელიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ჩაისახა. პირველი ნამუშევარი მის ხსოვნას მიუძღვნა. მერე მოვლენების შესატყვისად იქმნებოდა ახალი საჩუქრები. 50-ე, ა. ჩივაძის დაბადებიდან 50 წელს დაუკავშირა. და აი, მეასეც. ესაა თავისებური ნაკრები. აქ შეხვდებით ყველაზე გამორჩეული ქართველი ფეხბურთელების, ჩვენი თუ სტუმრად ჩამოსული ფეხბურთის ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტებს, დიუსელდორფის მატჩის ამსახველ კადრებს.

კითხვაზე, თუ როდის შეწყვეტს ასეთი სუვენირების დამზადებას, ზ. მიქავა მოკლედ პასუხობს: „არც არასდროს, ყველა ნამუშევარი ვიტალის ხსოვნას ეძღვნება, ვიტალის კი არც მე და არც საქართველო, არასდროს დაივიწყებს“.

# ოლიმპიური ვიქტორინა

**1. ვისი სახელით ასპარეზობდა თავისუფალი სტილის მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილი 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიადაზე?**

ა - საქართველოს
ბ - რუსეთის
გ - უკრაინის

**2. რამდენი ქართველი ფალავანი გახდა 2004 წლის ჩათვლით ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში?**

ა - ორი
ბ - სამი
გ - ოთხი

**3. რამდენ ქართველ ფეხბურთელს უასპარეზია ოლიმპიურ თამაშებში სსრკ ნაკრებში?**

ა - ექვსს
ბ - ხუთს
გ - ოთხს

**4. ვინ მოუტანა პირველი ოლიმპიური მედალი საქართველოს ტყვიის სროლაში?**

ა - ნინო სალუქვაძემ
ბ - შოთა ქველიაშვილმა
გ - მარლენ პაპავამ

**5 . რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა სულ 1952-1992 წლებში საქართველოდან სსრკ ნაკრებში?**

ა - 126
ბ - 134
გ - 143

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ა, 4 - ბ, 5 - გ.

რუბრიკის პრემიერა

**„წარმატებული ფედერაციები“ - ეს არის „ლელოს“ ახალი რუბრიკა, რომელიც ჩვენი ქვეყნის იმ ეროვნულ ფედერაციებს წარუდგენს მკითხველს დროდადრო, რომლებმაც საყველთაო ყურადღება მიიპყრეს და აღიარება ჰპოვეს მსოფლიოში და ჩვენს კონტინენტზე მაღალი სპორტული მიღწევებით თუ ორგანიზაციული საქმიანობით. გამოცდილების განზოგადება, ვფიქრობთ, სამაგალითო გახდება სხვა ფედერაციებისთვის.**

**რით უნდა დაგვეწყო? თავსატეხი აქ არაფერია. ვისაც გსურთ ჰკითხეთ, არჩევანს რჩეულთა შორის უთუოდ ძიუდოზე შეაჩერებენ.**

# ტატამად განფენილი საქართველო

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია 1991 წელს შეიქმნა და იმ პერიოდიდან მოყოლებული, უცვლელი პრეზიდენტი ჰყავს - დილარ ხაბულიანი. თავად წარმატებული ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონი სსრ კავშირის ხუთგზის პრიზიორი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი... წარმატებული მწვრთნელი, 1983 წელს საქარველოს ნაკრები მისი ხელმძღვანელობით გახდა სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი.



**- ბატონო დილარ, მალე, 3 ივნისს, ზუსტად 17 წელიწადი შესრულდება, რაც თქვენ დამოუკიდებელი საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას უდგეხართ სათავეში. ფედერაცია მაშინ ჩაიბარეთ, როცა დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი გეკავათ. მინისტრიც პირველი იყავით, ფედერაციის პრეზიდენტიც. რა განცდა გეუფლებათ 17 წლის გადასახედიდან?**

- მოკლედ გეტყვით, კმაყოფილების.

**- ანუ...**

- ნაბიჯ-ნაბიჯ ვიარეთ წინ და, მხოლოდ და მხოლოდ წინ, თანამოაზრეებთან ერთად. ძიუდო ქართულ სულთან თანხვედრაშია, ქართული რაინდული ბუნების განსახიერება კი ჩვენი ეროვნული საგანძური - ქართული ჭიდაობაა.

**- ნათქვამია, წარმატებას ის აღწევს, ვინც სწორ არჩევანს აკეთებსო. რა იყო თქვენი არჩევანი?**

- საქართველოს გადაქცევა ძიუდოს მოწინავე ქვეყნად. ვგრძნობდი, რომ ეს შესაძლებელი იყო.

**- დაკონკრეტებას, განვლილი გზისას, მაინც ვერ ავცდებით, გთხოვთ...**

- ყველაფერი იმით დაიწყო, რომ უფროსი თაობის ბრწყინვალე ტრადიციები, ქართული ეროვნული დროშის ქვეშ, პირველმა ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა აიყვანა ახალ სიმაღლეზე, როცა ბარსელონაში, მართალია, გაერთიანებულ გუნდში, მაგრამ საქართველოს სახელით, ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. მერე იყო ატლანტა, 1996 წელი და უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველი ოლიმპიური მედალი (ბრინჯაო), რომელიც მოიგო სოსო ლიპარტელიანმა. მაგრამ, დამეთანხმებით, სულ სხვა იყო ათენის ოლიმპიადაზე ზვიადაურის გაჩემპიონება - ოქროს პირველი ოლიმპიური მედალი საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

**- ბუნებრივია, სპორტის განვითარებას ესაჭიროება შესაფერისი სოციალური, გნებავთ პოლიტიკური ფონიც და საყრდენიც. საქართველომ ძნელბედობის წლები გამოიარა, უჭირდა სპორტსაც. როგორ ახერხებდით მუხტის შენარჩუნებას.**

- საქმისადმი ერთგულებით, ძიუდოს სიყვარულით. გახსოვთ, ალბათ, 2002 წელს, პირველად როცა მოვიპოვეთ ევროპის გუნდური პირველობა, მთელ კონტინენტზე, ეს ამბავი, სენსაციად აღიქვეს. ერთი წლის შემდეგ უძლიერესის სახელი ევროპაში ისევ შევინარჩუნეთ, მსოფლიოში კი გუნდურ მეორე ადგილზე გავედით,მერე 2005-ში მესამეზე და პირველად ქართული ძიუდოს ისტორიაში 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონები გავხდით. შარშან უკვე მესამედ მოვიპოვეთ ევროპის გუნდური პირველობა და ყველამ ირწმუნა კანონზომიერება.

**- გეთანხმებით. კანონზომიერი იყო ისიც, რომ სწორედ 2003 წლის ბოლოდან, როცა საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, ქართულ სპორტს, საერთოდ, მეტი სტიმული მიეცა. ძიუდოსადმი დამოკიდებულება კი სპორტის წარმატებული სახეობებისადმი განსაკუთრებული მიდგომის ნიმუშად იქცა. ახლა, თქვენ გააგრძელეთ სათქმელი...**

- სიამოვნებით დავძენ, რომ შემუშავდა ჩვენ ქვეყანაში ძიუდოს განვითარების პროგრამა. მობილური სატელეფონო თუ ტელესიგნალის ტერმინს დავესესხები და ვიტყვი, რომ დაფარვის ზონამ, ცხადია, ძიუდოს ვგულისხმობ, მთლიანად მოიცვა საქართველო მისი ერთი უკიდურესი წერტილიდან - უშგულიდან, აქეთ, ლაგოდეხის რაიონის ბოლო სასაზღვრო სოფლამდე.

**- ანუ, ტატამი განეფინა მთელ საქართველოში...**

- დიახ, დიახ, ასეა და ჩათვალეთ, რომ მყარი საფუძველი ჩაეყარა მომავალ წარმატებებს. პროცესი გრძელდება. რაც მთავარია, თითოეული კერა იქნება ინფრასტრუქტურით გამართული. ტატამი საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი.

**- ძიუდოს კერების სიმრავლე კარგია, კადრები?**

- რაც მთავარია, ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელები თითქმის ყველგანაა. ავამოქმედებთ სპეციალურ ცენტრს, სადაც მომზადდება და გადამზადდება კადრები, მათ შორის უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტებიც. არ გამოვრიცხავთ ცნობილი სპეციალისტების მოწვევას უცხოეთიდან, როგორც ხსენებულ ცენტრებში, ისე კლუბებში გამოცდილების გასაზიარებლად.

**- ვთქვათ, პირდაპირ, დღეს იაპონიის შემდეგ საქართველოა მსოფლიოში ძიუდოს ელიტად აღიარებული. ეს ხომ დიდი პასუხისმგებლობაა.**

- გვეამაყება, რომ ასეა. პასუხისმგებლობა გვამოძრავებს, გვაფხიზლებს, გვავალდებულებს...

**- რა ოცნება გრჩებათ აუსრულებელი...**

- ახლა, მთავარი ოცნება ძიუდოს აკადემიის შექმნა არისო, რომ გითხრათ, მთლად ზუსტი არ იქნება. ეს ოცნება უკვე რეალიზებადია და იმიტომ. დიახ, ეს იყო ჩემი დიდი ოცნება.

**- რა სიმაღლეზეა ახლა ფრთაშესხმული ოცნება?**

- ყველაფერი დათქმულ ვადებში დასრულდება. გვექნება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ძიუდოს თანამედროვე, სრულყოფილი კერა დიღმის მასივში, საჭიდაო კომპლექსის ფარგლებში.

**- ზემოთ თქვით, რომ ტატამმა საქართველოს ყველა კუთხე „დაფარა“. რამდენი ახალი დარბაზი აიგო?**

- 56, ბოლო სამ წელიწადში. თითოეული აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. გაისად კიდევ 12 შეემატება - ზოგან ორი, ზოგან - სამტატამიანი. ახალი ბაზების გახსნა,გვინდა ალმავლობის აპოგეას, ძიუდოში ევროპის ჩემპიონატს დავამთხვიოთ, რომელიც თბილისში გაიმართება.

**- კონტინენტის ჩემპიონატის მასპინძლობა დიდი პატივია, რაც ძიუდოისტებს პირველად გხვდათ წილად. ცხადია, ძიუდოში შეტანილი წვლილი არ იქნებოდა მხოლოდ საკმარისი ამ უფლების მოსაპოვებლად**

- რა თქმა უნდა. ზოგადად, საერთო იმიჯმაც იმოქმედა დადებითად. პირად კონტაქტებზე აღარაფერს ვამბობ.

**- ახლოვდება პეკინის ოლიმპიადა და არ შეიძლება არ გკითხოთ, რას გეგმავთ?**

- გეგმების აფიშირება არ მინდა. ალბათ, ეჭვი არავის შეეპარება, რომ ყველაფერს გავაკეთებთ საქარველოს ოლიმპიური პრესტიჟის დასაცავად. სრული გუნდით გამგზავრება ოლიმპიადაზე, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

**- წარმატებებს გისურვებთ.**

- დიდი მადლობა.

ესაუბრა
თენგიზ თომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი

# აურზაური ლევან ბერძენიშვილის გამო

## მეთვრამეტე ოქროც ტექნიკურია



ლევან ბერძენიშვილის შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**თბილისი-სტუ/თელავი 22:25**

თბილისი: ანდრიაძე, ი. ტორონჯაძე, ჯიშკარიანი, ქარდავა (2), კალანდაძე (9), ნივნივაძე (2), ჟღენტი, გელაშვილი (3), ქუთათელაძე, მაისურაძე (6), ღლანიძე

სტუ: თევზაძე, სამყურაშვილი, გოგალაძე (6), ქობელაშვილი, ა. ყიფიანი (3), ბერძენიშვილი (2), ზაალიშვილი, გ. ჩიქოვანი, კობახიძე (6), საჯაია, ი. ჩიქოვანი (4), ტალახაძე (4), ნიკოლაიშვილი, ო. ყიფიანი

მსაჯები: ელენე არაბული, თამარ არჩაია

**საჩემპიონო პლეი ოფის გადამწყვეტი მატჩი, მოლოდინისამებრ, საკმაოდ დაძაბული და დრამატული გამოდგა. სამწუხაროდ, შეხვედრის მიწურულს მომხდარმა ინციდენტმა ყველაფერი გააფუჭა, მაგრამ იქამდე ვიხილეთ ერთსაათიანი ფრიად თვალსასეირო თამაში.**

წინა შეხვედრის მიმოხილვაში გითხარით, რომ „თბილისის" შეფი **მამუკა მჟავანაძე** პროტესტს გამოთქვამდა თურქეთიდან ახლად დაბრუნებულ **ლევან ბერძენიშვილის** სტუ-ში თამაშის გამო. იქვე ისიც გვეწერა, რომ ხელბურთის ფედერაციის განმარტებით, ბერძენიშვილს 5 მაისს ამოწურვია „ჩაიკურთან" საიჯარო ხელშეკრულების ვადა და სტუ-ში თამაში შეეძლო.

გუშინდელი მატჩის წინ, მამუკა მჟავანაძემ კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება - ხელბურთის ფედერაციამ მანახოს ოფიციალური საბუთი, რომ ბერძენიშვილს სტუ-ში თამაშის უფლება აქვს და ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ საბუთი დღემდე ვერ მანახესო.

ვერ გეტყვით, ამ გაუგებრობით გამოწვეული ემოციების ბრალი იყო თუ სხვა რამ მოხდა, მაგრამ მატჩის მიწურულს, სწორედ ბერძენიშვილზე იყარა მარცხით გამოწვეული ჯავრი „თბილისის" მოთამაშე მწვრთნელმა **ტიტე კალანდაძემ**, რის გამოც მატჩი ვერ დასრულდა. თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ...

„თბილისს" პირველი მატჩი 24:26 ჰქონდა წაგებული და გუშინ მინიმუმ, 2 ბურთით უნდა მოეგო. აღსანიშნავია, რომ „თელავი" კვლავ ვერ ახერხებს ეროვნული ნაკრების კაპიტან **გიორგი ქობელაშვილის** სრულფასოვნად გამოყენებას. გიორგის მენისკის ოპერაცია სჭირდება, ხოლო სტუ-ს ფინანსურად უჭირს და ოპერაციისთვის საჭირო თანხა დღემდე ვერ გამოინახა. ამდენად, ქობელაშვილი მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ ახერხებს მოედანზე გამოსვლას. ისე, მალე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის სამზადისს დაიწყებს და კაპიტნის ჯანმრთელობის საკითხი დროულადაა მოსაგვარებელი...

მართალია, თავიდან სტუ-მ „დაასველა" ანგარიში 2 უპასუხო ბურთით, მაგრამ მერე **ტიტე კალანდაძე** და მისი შეგირდები გამოფხიზლდნენ, დაცვაში მარწუხებს მოუჭირეს და მალე აქეთ გავიდნენ წინ. შესვენებამდე 15 წუთით ადრე, მასპინძლები 10:6 დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმის მიწურულს, სტუელებმა მინიმუმამდე დაიყვანეს ჩამორჩენა. ბოლო წამებზე კი კალანდაძემ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა და თავისი გუნდი ორბურთიანი ფორით გაიყვანა შესვენებაზე - 12:10.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მატჩის პირველ ნახევარში, ტაბლოს პრობლემები ჰქონდა და ანგარიში საბჭოური დროის გადასაფურცლ ტაბლოზე ინერებოდა, დროს კი სამდივნო მაგიდასთან აღნუსხავდნენ. ტაბლო მხოლოდ მეორე ტაიმში ამუშავდა, მაგრამ ხარვეზებით - მხოლოდ დრო ეწერებოდა.

ასევე ცალკე გამოსაყოფია მსაჯების საკითხი. სტუ - „თბილისის" მატჩებში მუდამ ორივე გუნდი უკმაყოფილოა ხოლმე მსაჯობით, მაგრამ გუშინ **ელენე არაბულისა და თამარ არჩაიას** მიმართ საკმაოდ ცოტა პრეტენზიები იყო...

მეორე ტაიმი კვლავ თბილისელთა უპირატესობით დაიწყო, რომელთაც ორჯერ აღადგინეს ოთხბურთიანი სტატუს-კვო. თუმცა დასკვნით 15-წუთიან მონაკვეთში, გუნდს დაღლა დაეტყო, რითაც მშვენივრად ისარგებლა სტუ-მ და მატჩის შემობრუნება დაიწყო.

**ირაკლი კეკელიძემ** მოედანზე უხმო **აკაკი ტალახაძეს**, რომელმაც ზედიზედ სამი გოლი გაიტანა და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი სულაც 21:20 დააწინაურა თანაგუნდელები. იქვე, **ამირან ყიფიანმაც** შეაგდო და, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა მატჩის ბედი - „თბილისი" ფსიქოლოგიურად გატყდა. ტიტე კალანდაძე მაქსიმალურად შეავიწროვეს, დარტყმები არ მისდიოდა **ლევან გელაშვილსაც**, ხოლო დანარჩენი თბილისელებიდან ვერავინ შეძლო ლიდერის ტვირთთან შეჭიდება. ამას გარდა, „თბილისს" იღბალმაც შეაქცია ზურგი - ბურთს ჯიუტად არ უნდოდა კარში შესვლა და ხან ძელს ხვდებოდა, ხანაც **შოთა თევზაძის** ლუკმა ხდებოდა. ფრთაშესხმულმა სტუ-ელებმა კი ოთხბურთიანი ფორა მოიპოვეს და ცხადი გახდა, რომ ყველაფერი დამთავრდა - დარჩენილ ორ წუთში, „თბილისი" ექვსი გოლის გამტანი აღარ იყო.

მატჩის დამთავრებამდე 1:23 წუთი რჩებოდა, რომ საკმაოდ უსიამოვნო ინციდენტმა ლამაზ ფინალს გვარიანი ჩრდილი მიაყენა.

ანერვიულებულმა **ტიტე კალანდაძემ ლევან ბერძენიშვილს** მოულოდნელად, ჯერ მუხლი მიარტყა ფეხში, მერე კი ხელითაც შეეხო. ამას მოჰყვა დიდი ჩხუბი ორივე გუნდის მონაწილეობით და აირია მონასტერი...

არადა, ტიტე კალანდაძე მუდამ გაწონასწორებული პიროვნება იყო, მისი ჩხუბი არასოდეს მინახავს და ძალიან საკვირველი იყო, როგორ ვერ მოთოკა ნერვები ასეთმა გამოცდილმა ხელბურთელმა.

იქვე, ხელბურთის ფედერაციაზე განაწყენებულმა მამუკა მჟავანაძემაც ვერ შეიკავა ემოციები და ფედერაციის გენერალურ მდივანს უთავაზა მუშტი...

საბოლოოდ, დაახლოებით ათწუთიანი აურზაურის შემდეგ, ჩხუბი ჩაცხრა, კალანდაძე და ბერძენიშვილი შერიგდნენ, მაგრამ „თბილისმა" მატჩის დამთავრება აღარ ისურვა და დარბაზი დატოვა. ამდენად, იმ დროისათვის დაფიქსირებული ანგარიში (22:25) ძალაში დატოვეს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, ზედიზედ მეთვრამეტედ გაჩემპიონდა.

ამას მოჰყვა ჩემპიონთა დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც ინციდენტის შემდეგ, საკმაოდ უხალისოდ წარიმართა.

28 მაისს, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე, გუშინდელი ინციდენტიც განიხილება და დამნაშავეებს სასჯელებს ჩამოურიგებენ.

**დავით ნამგალაური, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:** - საკმაოდ ლამაზი მატჩი იყო. სამწუხაროდ, შეხვედრის მაღალმა ტემპერატურამ ბოლოს გადაჭარბებული ემოციები შობა, მაგრამ რას ვიზამთ, სპორტია და ასეთი ფაქტებისგან დაზღვეული არავინაა.

**ირაკლი კეკელიძე, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი:** - თუ არ ჩავთვლით ბოლოს მომხდარ უსიამოვნებას, ძალიან კარგი შეხვედრა გამოდგა. კონფლიქტზე კი თქვენი ნებართვით, არაფერს ვიტყვი - ყველაფერს ხელბურთის ფედერაცია განსჯის. „თბილისის" კოზირი გამოცდილება იყო, სტუ-ს უპირატესობა კი ახალგაზრდული ჟინია. სწორედ ამის ხარჯზე ვიმარჯვეთ - მატჩის ბოლოს ჩვენს ახალგაზრდებს უფრო მეტი ენერგია აღმოაჩნდათ და მეტოქე ფიზიკურად დავჩაგრეთ. ძალიან დამაჯერებლად ითამაშა მეკარე შოთა თევზაძემაც.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩვენი გუნდის ვეტერანმა წევრმა ომარ ყიფიანმა დღეს ბოლო მატჩი ითამაშა - მან კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

**ლევან ბერძენიშვილი:** - ძალიან მონდომებულები ვიყავით. მატჩის მიწურულს, ჩვენმა ტაქტიკამ გაამართლა - ტიტე კალანდაძის განეიტრალებაზე გავაკეთეთ აქცენტი, რომლის გარეშეც „თბილისს" თამაში გაუჭირდა. რაც შეეხება ჩემსა და ტიტეს შორის მომხდარ ინციდენტს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მატჩის დაძაბულობიდან გამომდინარე მოხდა - სხვა არაფერი პირადული დაპირისპირება არასოდეს გვქონია. ეს სპორტია, სადაც ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება ხოლმე. სტუ-ში თამაშის უფლება კი ნამდვილად მქონდა. თურქეთში იჯარით ვთამაშობდი, რომლიც ვადაც უკვე დამიმთავრდა და გათავისუფლების ფურცელიც ჩამოვიტანე. თურქულ კლუბს ზაფხულში დავუბრუნდები და ახალ კონტრაქტზე მაშინ დავილაპარაკებთ, იქამდე კი ოფიციალურად, სტუ-ს საკუთრება ვარ.

**კობა ხატისაშვილი**

სუმო

# კოკაი მორჩა, ტოჩინოშინსაც უჭირს

2006 წლის ნოემბრის ბაშოზე კომუსუბის დაკარგულ ტიტულს **კოკაი (ლევან ცაგურია)** ველარ დაიბრუნებს, ყოველ შემთხვევაში ზაფხულის ტურნირზე ცუდი ასპარეზობით აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა სანუკვარ მიზანს, რომელთანაც ასე ახლოს იყო, კვლავ დაშორდა – ცხრა დღის გასვლის შემდეგ ქართველმა უარყოფითი ბალანსის „დაბევება" მოასწრო, ივლისის ბაშოსთვის ჩვენებური გაცილებით დაბალი რეიტინგით შეხვდება. გუშინ, კოკაის იმედები 21 წლის კომუსუბიმ, **კისენოსატომ** უვატენაგეს ილეთით დაასამარა. კოკაის ამ მარცხის შემდეგ 1-8 ბალანსი გაუხდა. ახლა მან რაც შეიძლება მეტი დარჩენილი ორთაბრძოლა უნდა მოიგოს, რომ რაც შეიძლება ნაკლები საფეხურით დაიხიოს უკან. დღეს კოკაი მესამე მაეგაშირა **მიაბიამას** შეხვდება, რომელთანაც ბოლო ორი ორთაბრძოლა წააგო.



ტოჩინოშინი (მარცხნივ)

გუშინ, **ტოჩინოშინს** მძიმეწონოსანმა **ივაკიამამ** აჯობა შიტატენაგეს ილეთით. დებიუტანტ ქართველს ბაშოზე პირველად გაუხდა ბალანსი უარყოფითი – 4-5. დღეს ტოჩინოშინი მე-13 მაეგაშირა **კაკიძოეს** შეხვდება. ბაშოს 9-9 მოგებით იოკოძუნა **ჰაკუჰო** და ოძეკი **კოტოოშუ** ლიდერობენ, მათ კვალში 8 მოგებით იოკოძუნა **ასაშორიუ** უდგას. სავარაუდოდ, იმპერატორის თასიც ამ სამ სუმოისტიდან ერთ-ერთს დარჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაცუ ბაშო**

**მაისის სუპერტურნირი**

11-25 მაისი. ტოკიო (იაპონია)

IX დღე: კოკაი (1)-კისენოსატო (კ) 0:1 (უვატენაგე); ტოჩინოშინი (14)-ივაკიამა (11) 0:1 (შიტატენაგე); ასაშორიუ (ი)-ამა (ს) 1:0 (იორიკირი); ჰაკუჰო (ი)-კაკურიუ 1:0 (უვატენაგე); ამინიშიკი (4)-კოტომიცუკი (ო) 1:0 (ჰატაკიკომი); კაიო (ო)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0 (ოკურიდაში); კოტოოშუ (ო)-ტოკიტენკუ (4) 1:0 (იორიკირი); კოტოშოგიკუ (ს)-ასასეკირიუ (კ) 1:0 (მაკიოტოში); ვაკანოჰო (2)-ბარუტო (1) 1:0 (იორიკირი); მიაბიამა (3)-კიოკუტენჰო (2) 1:0 (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა. 9-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); კოტოოშუ (ოძეკი). 8-1: ასაშორიუ (იოკოძუნა). 7-2: ტოიონოშიმა (მაეგაშირა 5), ივაკიამა (მ 11). .. 4-5: ტოჩინოშინი (მ 14).. 1-8: კოკაი (მ 1).

X დღე: კოკაი (1)-მიაბიამა (3); ტოჩინოშინი (14)-კაკიძოე (13); ჰაკუჰო (ი)-ამა (ს); ასაშორიუ (ი)-კოტოშოგიკუ (ს); კაიო (ო)-კიოკუტენჰო (2); კოტომიცუკი (ო)-ჩიოტაიკაი (ო); კოტოოშუ (ო)-კაკურიუ (3); ასასეკირიუ (კ)-ვაკანოჰო (2); კისენოსატო (კ)-ბარუტო (1); ამინიშიკი (4)-ტაკამისაკარი (7).

ჭადრაკი

# ჯობავას პირველობის შანსი აქვს

ბაქოში მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალზე ორი ტურიც გაითამაშეს მონაწილეებმა და დღეს ბოლო, მეცხრე ტურიღა დარჩა გასამართი. მეშვიდეს წინ ჩემპიონობისთვის ბრძოლის კი გვეიმედებოდა, მაგრამ ნაკლებად გვჯეროდა, რადგანაც რუსი **ევგენი ნაიერი** ექვსიდან 6 ქულით ახლოს არავის იკარებდა და უახლოეს მდევართა ჯგუფს ერთქულიანი უპირატესობით უსწრებდა. თუმცა კრეისერივით წინსვლა ნაიერმა ველარ გააგრძელა, ჯერ ერთ აზერბაიჯანელ რიფს წამოედო და ნახევარი ქულა დაკარგა, მერვე ტურში კი მეორე აზერბაიჯანელმა „წყალქვეშა" წინაღობამ შეუნელა სვლა - **ყადირ გუსეინოვმა** და **ფარიდ აბასოვმა** გაუჩინეს სხვებს, და პირველ რიგში, ბაადურ ჯობავას პირველობის შანსი.

ნაიერის 8 ტურის შემდეგ 7 ქულა აქვს და კვლავ ლიდერობას ერთპიროვნულად, მაგრამ ახლა უკვე სამი მდევარი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება - **ფარიდ აბასოვი, ბაადურ ჯობავა** და რუსი **ალექსანდრ ლასტინი**. ამ სამეულიდან ყველაზე კარგი შანსი ქართველს აქვს, რადგანაც ბოლო ტურში სწორად იგი ხვდება ნაერს; მოუგებს და ჩემპიონიც გახდება; ლასტანი და აბასოვი კი ერთმანეთს შეებრძოლებიან. ბაადურს ნაიერის დარი დიდოსტატები ბევრჯერ დაუმარცხებია, მაგრამ ამჯერად შავი ფერით უწევს თამაში, რაც შედარებით ართულებს საქმეს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბაადური ბაქოში ქულებს უფრო შავი ფერით იხვეჭს და, იმედია, ამ ტენდენციას ბოლო პარტიაშიც შეინარჩუნებს.

სხვა ჩვენებურთაგან გამოსარჩევია **მალხაზ სულაშვილის** წარმატება, რომელმაც მერვე ტურში შავებით დაამარცხა უკრაინელი დიდოსტატი სტანისლავ სავჩენკო (2560). მალხაზს 6 ქულა გაუხდა და, მართალია, კოეფიციენტი ხელს არ უწყობს (12 ექვსქულიანთა შორის ბოლოა), მაგრამ თუკი ბოლო ტურშიც ივაჟკაცებს, სერიოზულ წარმატებას მიაღწევს; ალბათ ყველაზე საშური დიდოსტატის ბადის მოპოვება იქნება... მეცხრე ტურში სულაშვილი თეთრებით აზერბაიჯანელ **ყადირ გუსეინოვს** (2625) ხვდება.

საპრიზოზე გასვლის შანსი ქართველთაგან არავის შერჩა, მაგრამ თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ფულადი პრიზები პირველ 24 ადგილს ეძლევა, მაშინ ამ „აკვატორიაში" მოხვედრის შესაძლებლობა ბარე სამ და ოთხ ჩვენებურს ძალუძს: **თამაზ გელაშვილს** 6 ქულა აქვს და მერვეა დღეისთვის; **მალხაზ სულაშვილსაც** 6 ქულა აქვს და მეჩვიდმეტეა; **მიხეილ მჭედლიშვილი** 5.5 ქულით 21-ეა; ამდენივე აქვს **კონსტანტინე შანავას** და გაიოზ ნიგალიძეს, - კოეფიციენტით შანავას 24-ე ადგილი უჭირავს, ნიგალიძეს კი 29-ე. შესაძლოა საპრიზოთი დატვირთული მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტეს ერთ-ერთი ხუთქულიანი; ასეთი ქართველი ოთხია: **თორნიკე სანიკიძე, დავით მალალაშვილი, ბელა ხოტენაშვილი** და **ნინო ბაციაშვილი**.

**ზვიად შათირიშვილი**

სამბო

# ჩემპიონები ბრესტიდან

გუშინ, ბრესტში ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა, თუმცა ჩვენამდე ჯერ მხოლოდ პირველი ორი დღის შედეგებმა მოაღწია. ახალგაზრდებში ჩემპიონები **გიორგი გეჯაძე** (48) და **ნიკოლოზ კუცია** (82) გახდნენ, **გიორგი ტაბატაძე** (62) მეორეზე გავიდა, **თამაზ ნოზაძე** (52), **დავით კარბელაშვილი** (90) და **დავით ბოჭორიშვილი** (+100) - მესამეზე.

ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი **ნოდარ კუდუხაშვილი** (75) გახდა, ვერცხლის მედლები **მერაბ დვალმა** (60) და **ზვიად კაპანაძემ** (65) მოიპოვეს, ბრინჯაოსი - **იაგო მესტვირიშვილმა** (81) და **გურამ მჭედლიძემ** (+87).

## ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი

**ფინალი**

| რუსეთი-კანადა | 5:4 (ო) |
|---|---|

3:1, 1:1, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 სიომინი-5 (ოვეჩკინი-5, ფიოდოროვი-6), 1:1 ბერნსი-2 (რუა-5, მ. გრინი-8), 2:1 კუნიტცი-2, 3:1 ბერნსი-3 (სენტ ლუისი-8, ჰიტლი-8), 3:2 სიომინი-6 (კორნეევი-5, ა. მარკოვი-2), 4:2 ჰიტლი-12 (გეტცლაფი-11), 4:3 ტერეშჩენკო-2 (სიომინი-7, ტიუტინი-1), 4:4 კოვალჩუკი-1 (პროშკინი-3, რადულოვი-3), 4:5 კოვალჩუკი-2 (ფიოდოროვი-7, ოვეჩკინი-6).

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| დენი ჰიტლი (კან) | 20 (12+8) |
| რაიან გეტცლაფი (კან) | 14 (3+11) |
| რიკ ნეში (კან) | 13 (6+7) |
| ალექსანდრ სიომინი (რუს) | 13 (6+7) |
| მატიას ვეინჰანდლი (შვედ) | 13 (5+8) |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (რუს) | 12 (6+6) |
| სერგეი ფიოდოროვი (რუს) | 12 (5+7) |
| მაიკ გრინი (კან) | 12 (4+8) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| დენი ჰიტლი (კან) | 12 |
| პატრიკ ელიაში (ჩეხ) | 6 |
| პატრიკ ჰორნკვისტი (შვედ) | 6 |
| ფილ კესელი (აშშ) | 6 |
| რიკ ნეში (კან) | 6 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (რუს) | 6 |
| ალექსანდრ სიომინი (რუს) | 6 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| რაიან გეტცლაფი (კან) | 11 |
| ტომაშ კაბერლე (ჩეხ) | 9 |
| მაიკ გრინი (კან) | 8 |
| დენი ჰიტლი (კან) | 8 |
| მარტინ სენტ ლუისი (კან) | 8 |
| მატიას ვეინჰანდლი (შვედ) | 8 |

**საუკეთესოები მოთამაშეები**

მეკარე: ევგენი ნაბოკოვი (რუსეთი)
მცველი: ბრენტ ბერნსი (კანადა)
საუკეთესო ფორვარდი: დენი ჰიტლი (კანადა)
MVP: დენი ჰიტლი (კანადა)

**სიმბოლური ნაკრები**

ევგენი ნაბოკოვი (რუსეთი) - მაიკ გრინი (კანადა), ტომაშ კაბერლე (ჩეხეთი) - დენი ჰიტლი (კანადა), ალექსანდრ ოვეჩკინი (რუსეთი), რიკ ნეში (კანადა).

# ყველა დროის ნაკრები




მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინ, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ სპორტის ამ სახეობის ასწლიან ისტორიაში, ამპლუების მიხედვით ექვსი საუკეთესო მოთამაშე დაასახელა.

სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა კენჭისყრის შედეგად დადგინდა. გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდა 16 ქვეყნის 56 ექსპერტი. ყველაზე მეტი ხმა (54) საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილმა მცველმა, **ვიაჩესლავ ფეტისოვმა** მოიპოვა.

ყველა დროის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

**მეკარე** - ვლადისლავ ტრეტიაკი (რუსეთი); **მცველები** - ვიაჩესლავ ფეტისოვი (რუსეთი), ბორიე სალმინგი (შვედეთი); **თავდამსხმელები** - ვალერი ხარლამოვი (რუსეთი), უეინ გრეტცკი (კანადა), სერგეი მაკაროვი (რუსეთი).

**გია თვალაბეიშვილი**

## ცურვა. პეკინის ოლიმპიადის წინ

# საცურაო ეკიპირება ისევ დავის საგანია

პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე სამ თვეზე ნაკლებილა რჩება, საცურაო ეკიპირებასთან დაკავშირებული უთანხმოებანი კი მალე სასამართლოში განიხილება. საქმე ისაა, რომ კალიფორნიაში ბაზირებული კომპანია "TYR სპორტი" კონკურენტ "სპიდოს" მფლობელ კომპანია "ვარნაკო სვიმვეარს" ფედერალურ სასამართლოში უჩივის. მომჩივანი ირწმუნება, რომ "სპიდოს" ხელმძღვანელობა კონსპირაციულ გარიგებაშია აშშ-ის ცურვის ფედერაციასთან, რის საფუძველზეც, აშშ-ის მოცურავეთა ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი **მარკ შუბერტი** ყველა მოცურავეს ურჩევს, რომ ისინი "სპიდოს" ეკიპირებაზე გადავიდნენ, რაც ფაქტობრივად, გადაბირებაა და ბაზრის მონოპოლიზაციას იწვევს.

*"ოლიმპიური ნაკრების სათავეში უნდა იმყოფებოდეს ადამიანი, რომელსაც ქვეყნის ცურვის ფედერაცია დანიშნავს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მარკ შუბერტი, მწვრთნელობის გარდა, "სპიდოს" პრეს ატაშეს მოვალეობასაც ასრულებს და კომპანიისგან შესრულებული სამუშაოსთვის ხელფასსაც იღებს. ჩვენი აზრით, ამ ორ თანამდებობაზე ერთდროულად მუშაობით, მას ინტერესთა კონფლიქტის ეპიცენტრში აქცევს"*, - ამბობს "TYR სპორტის" ვექილი **ლარი ჰილტონი**.

სარჩელში "TYR სპორტს" მოჰყავს შუბერტის არაერთი გამონათქვამი (რომელთაგან რამდენიმეს ჩვენი გაზეთის მკითხველიც იცნობს), რომლებშიც მწვრთნელი "სპიდოს" უახლეს ეკიპირება "LZR რეისერის" უპირატესობებზე ლაპარაკობს და ამით, ფაქტობრივად, მას რეკლამირებასაც უწევს.

კერძოდ, მწვრთნელმა ყველა მოცურავეს, რომლებიც აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევ ტურნირზე აპირებენ მონაწილეობას, ურჩია, რომ მათ "სპიდოს" ეკიპირება გამოიყენონ. არადა, ბევრი მათგანი კონკურენტი კომპანიების ეკიპირებით სარგებლობს, ბევრს კი ამ კომპანიებთან სპონსორული კონტრაქტებიც აქვს გაფორმებული.

"TYR სპორტს" ბევრ ცნობილ ამერიკელ მოცურავესთან აქვს სპონსორული კონტრაქტი. მსოფლიოს რეკორდსმენებს, **ბრენდან ჰანსენსა** და **აარონ პირსოლს** ასეთივე კონტრაქტები "ნაიკთან" აკავშირებთ.

*"ყველას ვურჩევ, თუ პეკინში მოხვედრა სურთ, ოლიმპიურ შესარჩევზე "სპიდოს" ეკიპირებით იასპარეზონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დიდი შანსი აქვთ, ოლიმპიადას ტელეეკრანიდან უყურონ. ბევრს ფულსა და ოლიმპიურ მედალს შორის არჩევანი ექნება გასაკეთებელი"*, - ამბობს შუბერტი.



ცნობისთვის, მას შემდეგ, რაც "სპიდომ" თავისი სასწაულებრივი ეკიპირების წარმოება დაიწყო (თებერვალში), მსოფლიოს 37 რეკორდი გაუმჯობესდა (მათგან ნახევარზე მეტი სტანდარტულ, 50-მეტრიან აუზში). რეკორდების ცვენამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ეკიპირების გამოყენების მიზანშეწონილობა. ბევრმა სპეციალისტმა ის ტექნოლოგიურ დოპინგადაც კი მოიხსენია. მაგრამ ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ "სპიდოს" ამ ეკიპირების გამოყენების უფლება მისცა, რითაც თითქოს, პოლემიკას წერტილი დაესვა.

"სპიდო" აცხადებს, რომ ახალი ეკიპირება ძველთან შედარებით, ორპროცენტიან უპირატესობას იძლევა. ეს არცთუ ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცურვაში ხშირად ყველაფერს წამის მეასედები წყვეტს.

ჰილტონი კი ამბობს, რომ მას პრეტენზია არ აქვს კონკურენტი კომპანიის მიერ შექმნილ ახალ ეკიპირებასთან. *"შემიძლია განვაცხადო, რომ "სპიდომ" შესანიშნავი ეკიპირება მოამზადა. ჩვენ კი პრეტენზიები იმ გამონათქვამების გამო გაგვიჩნდა, რომლებიც აშშ-ის ნაკრების მწვრთნელს ეკუთვნის"*, - დასძენს ჰილტონი.

სხვათა შორის, "TYR სპორტი" მოცურავეთა მდგომარეობას გაგებით ეკიდება და თავის კლიენტებს კონტრაქტისგან ყოველგვარი ტვირთის გარეშე ათავისუფლებს. კალიფორნიული კომპანია აცხადებს, რომ არავისგან არანაირი ზარალის ანაზღაურებას არ მოითხოვს, თუმცა დასძენს, რომ "სპიდოს" მიერ ახალი ეკიპირების წარმოების დაწყების შემდეგ, უკვე ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი იზარალა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## კალათბურთი

# დერონი იუტაში რჩება



პირველ ივლისს, "იუტა ჯაზის" ხელმძღვანელობა ახალ კონტრაქტს შესთავაზებს თავის ძირითად გამთამაშებელს, **დერონ უილიამსს**. მომავალი ხელშეკრულების თანახმად, დერონი "ჯაზმენთა" რიგებში კიდევ 5 წლით დარჩება და ამ დროის განმავლობაში 80 ათას დოლარს მიიღებს. ეს კლუბის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გარიგება იქნება - აცხადებს "იუტას" ხელმძღვანელობა.

*"აქ დიდი ხნით ვაპირებ დარჩენას - ასეთია ჩემი გეგმა. "იუტა" ძალიან მომწონს. ბრწყინვალე გუნდი გვყავს, შესანიშნავი მწვრთნელები და რაც მთავარია, ჩემპიონატის მოგების შანსი გვაქვს. ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია"*, - მოჰყავს კალათბურთელის სიტყვები გაზეთ Salt Lake Tribune-ს.

*"დერონთან კონტრაქტის გაფორმება ჩვენი მომავალი წარმატების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ეჭვი არ მეპარება, რომ "ჯაზის" ხელმძღვანელობა შეძლებს ამ კალათბურთელის შენარჩუნებას"*, - ეს უკვე "იუტას" მწვრთნელის **ჯერი სლოუნის** სიტყვებია.

**გია თვალაბეიშვილი**

# ხარებს ლუკასი ჩაიბარებს?

"ჩიკაგო ბულზი" კვლავაც ახალ მწვრთნელს ეძებს. კლუბის პრესსამსახურის ცნობით, კანდიდატთა სია შემცირდა და ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი "კლივლენდ კავალიერზის" ყოფილი დამრიგებელი **ჯონ ლუკასი** გახდა.

"კლივლენდმა" ლუკასი 2003 წელს გაათავისუფლა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ორ არასრულ სეზონში, "კავალიერზმა" ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით 37 მატჩი მოიგო და 87-ში მარცხი განიცადა.

"ბოსტონ სელტიქსის" მცველი **სემ კასელი**, რომელიც ლუკასის ხელმძღვანელობით სეზონებს შორის არდადეგებზე ვარჯიშობდა, აცხადებს, რომ ამ მწვრთნელს კიდევ ერთხელ უნდა მიეცეს თავის გამოჩენის შანსი: *"ლუკასი "ბულზისთვის" შესანიშნავი ვარიანტია. მას არ ახასიათებს მოთამაშეებზე ზეწოლა და ამასთან ერთად, ისინი კარგ ფორმაში შეხვდებიან სეზონს. კარგად ვიცი ლუკასის მოთხოვნები"*.

**გია თვალაბეიშვილი**

## მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი

**V ეტაპი**

**საფრანგეთის გრან-პრი**

**125 cc**

1. მაიკ დი მელიო (საფრანგეთი, "აპრილია") - 10.08,574; 2. ბრედლი სმიტი (ბრიტანეთი, "აპრილია") - +0,800; 3. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, "აპრილია") - +3,077; 4. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, "დერბი") - +10"407; 5. ანდრეა იანონე (იტალია, "აპრილია") - +11,697; 6. შტეფან ბრადლი (გერმანია, "აპრილია") - +11,881.

საერთო ჩათვლა: 1. მაიკ დი მელიო - 74 ქულა; 2. ნიკოლას ტეროლი - 66; 3. სიმონე კორსი (იტალია, "აპრილია") - 62 ქულა; 4-5. შტეფან ბრადლი, ხოან ოლივე (ესპანეთი, "დერბი") - 58; 6. ანდრეა იანონე - 43.

**250 cc**

1. ალექს დებონი (ესპანეთი, "აპრილია") - 47.27,406; 2. მარკო სიმონჩელი (იტალია, KTM) - +4,816; . მატია პაზინი (იტალია, "აპრილია") - +4,998; 4. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, "ჰონდა") - +5,770; 5. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) - +6,197; 6. მანუელ პოჯალი (სან მარინო, "ხილერა") - +6,474.

საერთო ჩათვლა: 1. მიკა კალიო - 93 ქულა; 2. მატია პაზინი - 77; 3-4. ალექს დებონი, იუკი ტაკაჰაში - 59; 5-7. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია"), მარკო სიმონჩელი, ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) - 53.

**მოტოგრანპრი**

1. ვალენტინო როსი (იტალია, "იამაჰა") - 44.30,799; 2. ხორხე ლორენსო (ესპანეთი, "იამაჰა") - +4,997; 3. კოლინ ედვარდსი (აშშ, "იამაჰა") - +6,805; 4. დანიელ პედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") - +10,157; 5. კრის ვერმოილენი (ავსტრალია, "სუძუკი") - +21,762; 6. ანდრეა დოვიციოზი (იტალია, "ჰონდა") - +22,395.

საერთო ჩათვლა: 1. ვალენტინო როსი - 97 ქულა; 2-3. დანიელ პედროსა, ხორხე ლორენსო - 94; 4. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - 56; 5. კოლინ ედვარდსი - 47; 6. ლორის კაპიროსი (ესპანეთი, "სუძუკი") - 42.

## რალი. მსოფლიო ჩემპიონატი

**VI ეტაპი. იტალიის რალი**

1. სებასტიან ლოები (საფრანგეთი, "სიტროენი") - 3:57.17,2; 2. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, "ფორდი") - +10,6; 3. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, "ფორდი") - +15"3; 4. ჯიჯი გალი (იტალია, "ფორდი") - +1.42,5; 5. დანიელ სორდო (ესპანეთი, "სიტროენი") - +2.05,6; 6. კრის ატკინსონი (ბრიტანეთი, "სუბარუ) - +5.08.6; 7. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, "ფორდი") - +6.01,0; 8. ურმო აავა (ესტონეთი, "სიტროენი") - +6'21"3.

საერთო ჩათვლა: 1. მიკო ჰირვონენი - 43 ქულა; 2. სებასტიან ლოები - 40; 3. ატკინსონი - 31; 4. იარი-მატი ლატვალა - 24; 5. დანიელ სორდო (ესპანეთი, "სიტროენი") - 21; 6. ჯიჯი გალი - 17; 7. ჰენინგ სოლბერგი - 11; 8. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, "სუბარუ") - 9; 9. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, "ფორდი") - 8; 10. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, "ფორდი") - 7.

კონსტრუქტორთა ჩათვლა: 1. ფორდი - 71 ქულა; 2. სიტროენი - 64; 3. სუბარუ - 42; 4. სტობარტ-ფორდი - 34.

## კალათბურთი. NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

| ბოსტონი-კლივლენდი | 97:92 |
|---|---|

18:13, 32:27, 23:28, 24:24

ბ: პირსი (41+5 პასი), გარნეტი (13+13 მოხსნა), ბრაუნი (10+6 მოხსნა), რონდო (8+8 მოხსნა+8 პასი).

კ: ლ. ჯეიმსი (45+6 პასი), დელონტე უესტი (15+6 პასი).

**სერია 4:3**

## ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

**აღმოსავლეთი**

| პიტსბურგ (2)-ფილადელ (6) | 6:0 |
|---|---|

2:0, 3:0, 1:0

გოლები: 1:0 მელოუნი-5 (კროსბი-16, მარიან ჰოსა-8), 2:0 მალკინი-9 (მელოუნი-9), 3:0 მარიან ჰოსა-9 (კროსბი-17, ტელბოტი-4), 4:0 მელოუნი-6 (გონჩარი-10, მარიან ჰოსა-9), 5:0 ჯ. სტაალი-6 (ტელბოტი-5, ჰოლი-1), 6:0 დუპუი-2 (მარიან ჰოსა-10, ორპიკი-2).

**სერია 4:1**

# ბინუმის მეორე ოპერაცია

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** ტრავმირებულ მარცხენა მუხლზე კიდევ ერთ ოპერაციას გაიკეთებს. ართროსკოპიული ოპერაცია ამ დღეებში ნიუ იორკის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარდება.

*"დიდი იმედი მაქვს, მას ყველაფერი წესრიგში ექნება. ეს ბიჭი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ჩვენი წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო, ის აგრეთვე "ლეიკერსის" მომავალი დიდების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება"*, - აცხადებს "ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი**.

ბინუმისთვის ეს ამ სეზონში მეორე ოპერაციაა. იანვარში, ახალგაზრდა ცენტრმა "მემფისთან" მატჩში გაიწყვიტა მუხლის მყესები და წლევანდელი სეზონი მისთვის სწორედ იმ შეხვედრაში დასრულდა.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა. პეკინი 2008

# მუთლუ მეოთხე ოლიმპიურ ოქროს უმიზნებს



სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, თურქი ძალოსანი **ჰალილ მუთლუ** არ მალავს, რომ აპირებს, გახდეს პირველი ძალოსანი, ვინც ოთხი ოლიმპიური ოქროს მოპოვებას შეძლებს. ორწლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის მიუხედავად, მუთლუ ირწმუნება, რომ კარგ ფორმაშია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, პეკინში ოქროსთვის ბრძოლას შეძლებს.

სტეროიდების მიღების გამო, მუთლუს 2005 წელს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ფიცარნაგზე დაბრუნებულმა, ერთი თვის წინათ ევროპის ჩემპიონატზე (ლინიანო, იტალია) იასპარეზა და 56 კგ-მდე წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალს დაეუფლა. რა თქმა უნდა, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონისთვის ეს კრახის ტოლფასია, თუმცა თავად ძალოსანი ამბობს, რომ პეკინამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი და ფორმის პიკს სწორედ საპეკინოდ მიაღწევს, ამ ეტაპზე კი იტალიაში ნაჩვენები შედეგი ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული.

*"ძალიან მინდა, გავხდე პირველი ძალოსანი, ვინც ოთხ ოლიმპიურ ოქროს მოიპოვებს. ახლა მთლიანად პეკინზე ვარ კონცენტრირებული. ლინიანოში მოპოვებული ვერცხლი ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ეს ჩემთვის ოფიციალური ვარჯიში იყო. დარწმუნებული ვარ, რომ პეკინში მედლის მოპოვებას შევძლებ. ოღონდ, რა ფერისა იქნება ეს მედალი, ამის თქმა ახლა ძნელია"*, - ამბობს მუთლუ, ვისაც იტალიაში ასპარეზობისას ეტყობოდა, რომ ძველებურად ღონიერი და გამძლე ველარ არის, თუმცა შემართება ჯერაც არ დაუკარგავს. ლინიანოში ასპარეზობისას, მან ორივე ცდის ჯამში 269 (ათენში 295 კგ ასწია) კილოგრამი ასწია.

*"რა თქმა უნდა, ეს შედეგი ოლიმპიადაზე ვერ დამაკმაყოფილებს. იქ სხვა დონე იქნება. იტალიაში ჩემს ისე-რა გამოსვლას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. სეზონისთვის მზადების პერიოდში რამდენჯერმე ტრავმა მივიღე, რაც სტრესულ მდგომარეობაში მაგდებდა. მოკლედ, ლინიანოსთვის სასურველ ფორმაში არ ვიყავი"*, - ამბობს მუთლუ, ვინც "პატარა დინამოს" მეტსახელითაცაა ცნობილი.

თურქი ძალოსანი ბულგარეთში დაიბადა და ძალოსნის კარიერაც იქ დაიწყო, თურქეთში კი 16 წლისა გადასახლდა. მან აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა სტეროიდი გამოიყენა, თუმცა ისიც მტკიცედ განაცხადა, რომ აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში არავინ დახმარებია.

პეკინში თავის მთავარ კონკურენტებად მუთლუ ჩინელ ძალოსნებს მიიჩნევს. *"მათ ყოველთვის ვამარცხებდი, მაგრამ ყოველ მომდევნო ოლიმპიადაზე მათგან სულ უფრო მედგარ წინააღმდეგობას ვაწყდებოდი. დარწმუნებული ვარ, ამჯერად ყველაზე მეტად მონდომებულები იქნებიან, რადგან შინ იასპარეზებენ. მეც უკეთ მომზადება მმართებს, რათა მათ კიდევ ერთხელ ვაჯობო"*, - ამბობს მუთლუ, ვინც პეკინში ასპარეზობისას, 35 წლისა იქნება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჩოგბურთი

# გასკემ მწვრთნელი შეიცვალა



როლან გაროსის სტარტამდე ერთი კვირით ადრე, საფრანგეთის საუკეთესო ჩოგბურთელმა **რიშარ გასკემ** თავისი მწვრთნელი **ერიკ დებლიკერი** დაითხოვა. გასკეს თქმით, მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, დებლიკერთან მისი ურთიერთობა არ შეიცვლება.

*"ერიკი ჩემს მეგობრად დარჩება. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შევძელი რეიტინგის საუკეთესო ათეულში შესვლა, თუმცა წლეულს, ჩვენს თანამშრომლობას ეფექტი უკვე აღარ ჰქონდა"*, - განაცხადა 22 წლის ჩოგბურთელმა.

წლევანდელ სეზონში, რიშარ გასკემ 19 მატჩი გამართა, მოიგო ათი შეხვედრა და ცხრაში მარცხი იწვნია. რომისა და ჰამბურგის მასტერსებზე, ფრანგმა პირველი წრის ბარიერი ვერ გადალახა.

ცნობილი ხდება, რომ როლან გაროსისთვის გასკეს ჯილამ პეირე მოამზადებს.

**გია თვალაბეიშვილი**

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6675 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5585 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5225 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3290 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2730 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2410 |
| 7(7). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2115 |
| 8(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1985 |
| 9(9). რიშარ გასკე (საფ) | 1630 |
| 10(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1575 |
| 11(14). ენდი მარეი (ბრიტ) | 1480 |
| 12(11). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1460 |
| 13(16). ტომი რობრედო (ესპ) | 1430 |
| 14(15). ხუან მონაკო (არგ) | 1430 |
| 15(18). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1420 |
| 16(13). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1410 |
| 17(12). კარლოს მოია (ესპ) | 1340 |
| 18(20). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 1335 |
| 19(21). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1270 |
| 20(17). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1270 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 521 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 510 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 360 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 290 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 213 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 204 |
| 7(9). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 185 |
| 8(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 182 |
| 9(7). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 181 |
| 10(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 176 |
| 11(11). ენდი მარეი (ბრიტ) | 159 |
| 12(12). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 142 |
| 13(13). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 130 |
| 14(14). მარდი ფიში (აშშ) | 123 |
| 15(20). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 121 |
| 16(15). მიხაილ იუჟნი (რუს) | 119 |
| 17(16). მიხაელ ლოდრა (საფ) | 118 |
| 18(16). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 111 |
| 19(24). ხუან მონაკო (არგ) | 110 |
| 20(21). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 109 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2 719 094 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 2 292 541 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 254 959 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 103 486 |
| 5. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 770 315 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 731 376 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპ) | 592 120 |
| 8. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 586 891 |
| 9. მიხაელ ლოდრა (საფ) | 572 332 |
| 10. ენდი მარეი (ბრიტ) | 521 298 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 517 527 |
| 12. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 476 133 |
| 13. მარდი ფიში (აშშ) | 445 857 |
| 14. დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 408 002 |
| 15. ტომი რობრედო (ესპ) | 389 599 |
| 16. მიხაილ იუჟნი (რუს) | 388 952 |
| 17. იგორ ანდრეევი (რუს) | 351 433 |
| 18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 349 036 |
| 19. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 346 853 |
| 20. იარკო ნიემინენი (ფინ) | 343 487 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(2). მარია შარაპოვა (რუს) | 4181 |
| 2(3). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3922 |
| 3(4). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3755 |
| 4(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3365 |
| 5(6). სერენა უილიამსი (აშშ) | 2836 |
| 6(8). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2731 |
| 7(7). ელენა დემენტიევა (რუს) | 2630 |
| 8(9). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2626 |
| 9(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2178 |
| 10(10). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2122 |
| 11(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1830 |
| 12(13). ვერა ზვონარევა (რუს) | 1772 |
| 13(15). აგნეს შავაი (უნგ) | 1682 |
| 14(14). დინარა საფინა (რუს) | 1662 |
| 15(16). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1533 |
| 16(17). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1435 |
| 17(19). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1248 |
| 18(18). შაარ პეერი (ისრ) | 1215 |
| 19(20). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1201 |
| 20(34). ალიზე კორნე (საფ) | 1160 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 2255 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2055 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 1675 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1671 |
| 5. ვერა ზვონარევა (რუს) | 1322 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1230 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 1186 |
| 8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 922 |
| 9. ალიზე კორნე (საფ) | 834 |
| 10. დინარა საფინა (რუს) | 833 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 786 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 720 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიც) | 693 |
| 14. ვენუს უილიამსი (აშშ) | 676 |
| 15. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 652 |
| 16. ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 625 |
| 17. ნა ლი (ჩინ) | 565 |
| 18. აგნეს შავაი (უნგ) | 557 |
| 19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 549 |
| 20. ფლავია პენეტა (იტა) | 546 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1 798 751 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 102 693 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 076 598 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 074 680 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 611 250 |
| 6. ვერა ზვონარევა (რუს) | 599 254 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 577 318 |
| 8. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 458 470 |
| 9. დინარა საფინა (რუს) | 449 912 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 421 643 |
| 11. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 415 950 |
| 12. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 355 654 |
| 13. აი სუგიამა (იაპ) | 339 490 |
| 14. ვენუს უილიამსი (აშშ) | 328 428 |
| 15. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 320 515 |
| 16. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 318 687 |
| 17. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 296 947 |
| 18. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 291 581 |
| 19. შაარ პეერი (ისრ) | 280 958 |
| 20. ალიზე კორნე (საფ) | 239 590 |

## TV სპორტი

### 20 მაისი. სამშაბათი

**I არხი**

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბარსელონა. საპასუხო მატჩი.
14:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:45 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:55 ჩემპიონთა ლიგა. ფინალისწინა პრესკონფერენცია და გუნდების ვარჯიშები (LIVE).
21:00 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ჩელსი-ლივერპული. საპასუხო მატჩი.
00:10 90 წუთი - საფეხბურთო თოქ-შოუ.
01:40 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:43 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:55 სპორტკლუბი.
10:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
11:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:45 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჩეხეთი-რუსეთი. კანადა.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. გერმანია (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
19:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:00 ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/2 ფინალი.
23:50 სპორტკლუბი.
00:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:20 სპორტკლუბი.
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
03:00 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
03:30 ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
06:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 მარათონი.
11:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
11:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
12:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბარსელონა. საპასუხო მატჩი.
13:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ჩელსი-ლივერპული. საპასუხო მატჩი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. IX რაუნდი. რომი. იტალია.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. X რაუნდი. რომი. იტალია (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ჩილე. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
00:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
01:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
02:15 სპიდვეი. პოლონეთის გრან-პრი.
03:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი.
13:00 ლაკროსი. აშშ-ის ეროვნული ლიგა. ფინალი. ბაფალო-პორტლენდი.
14:00 ახალი ამბები.
16:30 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
17:45 ლაკროსი. აშშ-ის ეროვნული ლიგა. ფინალი. ბაფალო-პორტლენდი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ.
21:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი.
23:30 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| საბერძნეთი-კვიპროსი | 2:0 |
| **შოტლანდია** | |
| სტ. მირენი-რეინჯერსი | 0:3 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1:1 |
| **ისლანდია** | |
| ფილკირი-ვალური | 2:0 |
| ჰკ-კეფლავიკი | 1:2 |
| ტროტური-ჰაფნარი | 4:4 |
| გრინდავიკი-ფიოლნირი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰიკ-ტამპერე | 5:1 |
| **სლოვენია** | |
| ინტერბლოკი-დომჟალე | 2:3 |
| **უნგრეთი** | |
| ჰონვედი-ვაშაში | 0:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. კასაბლანკა** | |
| კალერი-ასკიონე | 3:6, 6:1, 6:2 |
| გუჩიონე-შუტლერი | 4:6, 7:6, 2:6 |
| სიმონი-სერა | 6:2, 5:7, 6:3 |
| კუევასი-იუნი | 6:4, 6:1 |
| კორია-პაშანსკი | 4:6, 6:4, 6:3 |
| ჟიკელი-რამირეს იდალგო | 6:3, 6:0 |
| ელ აინაუი-ჰანესკუ | 6:2, 6:7, 6:3 |
| ვასალო არგელო-უაჰაბი | 5:7, 2:6 |
| ბენეტო-მაიერი | 2:6, 6:3, 6:4 |
| ცონგა-მონტანიესი | 6:4, 7:6 |
| კლემანი-ვენტურა | 6:7, 1:6 |
| მონფილსი-გარსია ლოპესი | 6:7, 7:5, 6:0 |
| ერნანდესი-დანჩევიჩი | შეწყდა |
| **ATP. პორტშახი** | |
| ნავარო პასტორი-სპეიდი | 6:4, 6:4 |
| ვანეკი-ფერკერკი | 7:5, 4:6, 6:2 |
| მელცერი-იანგი | 7:5, 6:2 |
| ხიმენო ტრავერი-ეშაუერი | 6:4, 6:2 |
| სეპი-გულბისი | 1:6, 6:4, 6:3 |
| დავიდენკო-აიტცინგერი | 6:1, 6:1 |
| ზვერევი-სელა | შეწყდა |
| ქუერი-მარაში | შეწყდა |
| **ATP. გუნდური მს. ჩემპიონატი** | |
| ჩელა-იოჰანსონი | 6:2, 6:1 |
| ფ. ლოპესი-კიფერი | გადაიდო |
| **WTA. სტამბოლი** | |
| კინგი-კუდრიავცევა | 6:1, 6:7, 6:3 |
| არვიდსონი-კლეპაჩი | 3:6, 6:7 |
| მორიგამი-ნაკამურა | 6:3, 6:7, 1:6 |
| როდიონოვა-ვიერინი | 6:3, 3:6, 1:6 |
| დომახოვსკა-ერაკოვიჩი | 7:6, 6:3 |
| დიტი-დუბუა | 2:6, 3:6 |
| გოვორცოვა-შენოგლუ | 6:3, 6:2 |
| კრეიბასი-ობზილერი | 6:2, 3:6, 6:4 |
| **WTA. სტრასბური** | |
| ერანი-დელაკუა | 5:7, 3:6 |
| კორიტცევა-სუგიამა | 5:7, 5:7 |
| კ. ბონდარენკო-კვიტოვა | 6:3, 4:6, 2:6 |
| პინი-კოენ ალორო | 6:7, 2:6 |
| პენგი-ოლარუ | 6:2, 7:6 |
| მედინა გარიგესი-ზაკოპალოვა | 7:6, 7:5 |
| პენეტა-დეში | 4:6, 6:2, 6:3 |




ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ჯოკოვიჩი ევროვიზიას გახსნის




მსოფლიოს მესამე ჩოგანს, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მხოლოდ ჩოგბურთი არ აინტერესებს. ცნობილია, რომ ავსტრალიის ღია პირველობის 20 წლის ჩემპიონი აქტიურ ცხოვრებას ეწევა და სულ მალე, "ჯოკერი" ევროპაში მთავარი მუსიკალური მოვლენის ცენტრში მოექცევა.

სერბეთში გაიმართება ევროვიზიის კონკურსი, რომლის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობას ჯოკოვიჩიც მიიღებს. როგორც ცნობილია, ამ გრანდიოზულ მუსიკალურ ფორუმს ჩოგბურთელის მშობლიური ქალაქი ბელგრადი მასპინძლობს.

გასულ წელს, ჯოკოვიჩმა ATP-ის სხვა ვარსკვლავებთან ერთად მიკროფონი დაიჭირა ხელში და სიმღერა ჩანერა. როგორც, სპეციალისტებმა განაცხადეს, სერბს თურმე ეს საქმეც კარგად გამოსდის და ვინ იცის, იქნებ საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ნოვაკმა ამ სფეროში სცადოს ბედი.

გია თვალაბეიშვილი

# ფინალისთვის მზადება



ესპანეთის ქალთა ნაკრებმა წლეულს ფედერაციის თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა - სექტემბერში ეს გუნდი მოქმედ ჩემპიონს, რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. მანამდე კი, ესპანელი ჩოგბურთელები საკუთარი შეხედულებისამებრ ატარებენ დროს.

სასიამოვნოდ გააკვირვა ძლიერი სქესის წარმომადგენლები **ნურია ლაგოსტერა ვივესმა,** რომელმაც Interviu-სთვის შიშველი ფოტოები გადაიღო.

*"შესანიშნავი სურათები გამოვიდა. შეიძლება ისეთი მაღალი (ჩოგბურთელის სიმაღლე 156 სანტიმეტრია) და ლამაზი არ ვარ, როგორიც რუსი ჩოგბურთელები არიან, მაგრამ ჩემი აზრით, მომხიბვლელობა არ მაკლია. იმედი მაქვს, რადგან ეს ნაბიჯი გადავდგი, უფრო მეტად დამაფასებენ საჩოგბურთო სამყაროში"*, - აცხადებს 27 წლის ესპანელი ჩოგბურთელი.

გია თვალაბეიშვილი

ავტოსპორტი

# მიკას სახლი დაეწვა

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



შაბათს, ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მიკა ჰაკინენი** ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. ფინელმა პილოტმა დროულად გაასწრო საკუთარი სახლიდან, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული. ეს ის სახლია, რომელიც ფინელმა საფრანგეთში, პროვანსის ერთ-ერთ სოფელში შეიძინა.

ხანძრის გაჩენის მომენტში ჰაკინენს ეძინა. მიკას გარდა, სახლში ორი ქალი იყო, რომელთაგან ერთ-ერთი მიკას ახალი შეყვარებული გახლდათ. საბედნიეროდ, სახლიდან გაქცევა სამივემ მოასწრო, მაგრამ "მაკლარენის" ყოფილი პილოტის ძაღლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ჰაკინენსა და მის სტუმრებს ტრავმები და დამწვრობები არ აღენიშნებოდათ. სამაგიეროდ, სახლის სამი სართულიდან ორი, მთლიანად დაიწვა. სავარაუდოდ, ხანძარი იმ ოთახში მოკლე ჩართვამ გამოიწვია, სადაც ფინელი თავის სარბოლო პრიზებს ინახავდა.

თავის დროზე, ჰაკინენმა ამ 10-საძინებლიან სახლში 12 მილიონი დოლარი გადაიხადა. ახლა ზარალს სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს, მაგრამ სამწუხაროდ, დაკარგულ პრიზებს აღარაფერი ეშველება.

გია თვალაბეიშვილი

# ბრილიანტები მაკლარენისთვის

ძველი ტრადიციის თანახმად, მონაკოს გრანპრიზე "მაკლარენის" პილოტები გუნდის ერთ-ერთი სპონსორის, კომპანია Steinmetz-ის ბრილიანტებით დამშვენებული ჩაფხუტებით გავლენ ტრასაზე.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, გასულ უიქ ენდზე წარადგინეს **ლუის ჰემილტონისა** და **ჰეიკი კოვალაინენის** ჩაფხუტები, რომლებზეც ალმასებით არის ამოტვიფრული პი-




ლოტების სახელები. ასევე ტრადიციის თანახმად, ფინიშის შემდეგ ეს ჩაფხუტები საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდება.

*"ხანდახან სპონსორები საინტერესო იდეებს გვთავაზობენ და ეს სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევათაგანია"*, - განაცხადა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ჰემილტონმა.

გია თვალაბეიშვილი

# ვინ არის მარსელ ნიდერჰაუზენი?

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** გააგრძელებს მოტორბოლებში მონაწილეობას. და თუ იმ ტურნირის დონითა და გუნდის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლის სახელითაც შუმიმ უნდა იასპარეზოს, ეს უკვე უბრალო ჰობის აღარ ჰგავს.

გერმანული გაზეთი "ბილდი" იუწყება, რომ 39 წლის პილოტი მონაწილეობას მიიღებს IDM-ის (Internationale Deutsche Motorradmeisterschaft, გერმანიის მთავარი მოტო-ჩემპიონატი) პირველობაში, რომელიც მომავალ უიქ ენდზე ოშერზლებენში გაიმართება.

შუმახერი, რომელიც "ფერარის" მრჩეველადაც გააგრძელებს მუშაობას, რბოლაზე **მარსელ ნიდერჰაუზენის** სახელით ჩაეწერება განაცხადში.

მიხაელს ასეთ დონეზე გამოსვლის ლიცენზია უკვე აქვს მიღებული. მომავალ რბოლაზე გერმანელი IDM-ის მოქმედი ჩემპიონის, Holzhauer Racing-ის ღირსებას დაიცავს.



გია თვალაბეიშვილი